

517 / 2

1949

65 603 II 81

1949  
603 II 81

7  
19 12



საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი

577/2

# ლივერაგურის მაგიანა

ნ ი ბ ნ ი 5

ნაჟუთი მუთრუ

45



## ხელნაწერთა აღწერილობა

I

შედგენილი იმ. ლოლაშვილის მიერ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა

თბილისი

1949

# ლიგიაგურის გავიანე

ნ ი ბ ნ ი 5

ნაკვეთი მეორე



## ხელნაწერთა აღწერილობა

I.

შედგენილი იმ. ლოლაშვილის მიერ



4874

პ/მგ. რედაქტორი: გიორგი ლეონიძე  
ტექ. რედაქტორი: დავით კომახიძე

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII. 49 წ. ქაღალდის ზომა 60X84. წიგნის ზომა  
6X9 $\frac{1}{2}$  საბეჭდო ფორმათა რაოდენობა 7.

შეკვეთა № 1781

ტირაჟი 2000

შე 01198

---

დ. პ. ბერიას საბ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ., 14  
Полиграфкомб. „Комунисти“ им Л. П. Берия, Тбилиси ул. Ленина № 14



## წინასიტყვაობა

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა თავისი არსებობის თითქმის ორი ათეულიწლის განმავლობაში შექმნა ხელნაწერების, იკონოგრაფიული ძეგლებისა და მემორიალური ნივთების საკმაოდ მდიდარი ფონდები, სადაც თავმოყრილ იქნა 20.293 ხელნაწერი დოკუმენტი, 11.766 იკონოგრაფიული ძეგლი და 729 მემორიალური ნივთი. სულ 32.693 ექსპონატი. სამუზეუმო ფასეულობათა ეს ძვირფასი კოლექციები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესასწავლად უმდიდრეს მასალებს შეიცავს. აქ ინახება ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების, გიორგი და დავით ერისთავების, ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის, ივანე მაჩაბლის, ანტონ ფურცელაძის, სერგეი მესხის, სოფ. მგალობლიშვილის, ნიკოლოზ მოურის, ნიკო ნიკოლაძის, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის, იროდიონ ევდოშვილისა და სხვა ცნობილ მწერალთა არქივები (ავტოგრაფები და ნუსხები), ფოტოსურათები და მემორიალური ნივთები. აქვეა დაცული ძველი ქართული ლიტერატურის უნიკალური ძეგლები: „ქილილა და დამანას“ დავითისეული ვერსია, „ომაინიანის“ ერთერთი ადრინდელი რედაქცია, XII საუკუნის ოთხთავი-სახარების ათონური ვერსია, „ამირან-დარეჯნიანის“ ჩაჩიკაშვილისეული ნუსხა და XVIII-XIX საუკუნეების ფილოსოფიურ-რელიგიური შინაარსის თხზულებათა ხელნაწერები, რომელთაც „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, და სხვ.

მუზეუმის კოლექტივს აღნიშნული ფონდების მოვლა-მოწესრიგებისათვის დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული: შედგენილია კატალოგები, ხელნაწერები დალაგებულია მწერალთა არქივების მიხედვით, ხოლო იკონოგრაფიული მასალა—ანბანზე, რაც ამითუ იმ მწერლის შესახებ არსებული მასალების შესწავლა-დამუშავებას საგრძნობლად აადვილებს. მიუხედავად ამისა, მუზეუმს დღემდე არა ჰქონდა შედგენილი ფონდების ზუსტი მეცნიერული აღწერილობა, რომელიც ქართული ლიტერატურის მკვლევრებს



სრულ წარმოდგენას მისცემდა ფონდებში დაცული ექსპონატების რაობასა და ვითარებაზე. ამიტომ მუზეუმის დავალებში <sup>1946</sup> წლის დასაწყისიდანვე მოვკიდე ხელი ძველი ქართული ხელნაწერებისა და ქართველ მწერალთა არქივების სრული აღწერილობის შედგენას. ამ მუშაობის შედეგად ქვეყნდება წინამდებარე ნაშრომი: „საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ქართული ხელნაწერების აღწერილობა“, რომელიც განზრახულია გამოცემულ იქნას ორ ტომად (რვა ნაკვეთად).

ეს აღწერილობა ჩატარებულია და ტექნიკურად გაფორმებულია იმ წესის მიხედვით, რომელიც ძირითადად მოხაზულია „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ I ტომის წინასიტყვაობაში (1946, გვ. I—IV). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩვენს აღწერილობაში ზოგიერთ ხელნაწერს საჭიროებისდა მიხედვით დამატებით ერთვის კოპენტარები. ამასთანავე ყველა მნიშვნელოვანი მინაწერი წარმოდგენილია სისრულით.

ი. ლოლაშვილი

ათონური ოთხთავი—[XII ს.]

244 ფ.; 6,5×9; პერგამენტი; ტყავგადაკრული ხის ყდა; სრული; ნუსხური (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); [XII საუკუნე]; ათონის ივერიის მონასტერი; მინიატურები: 7r, 77r, 115r, 180r, დაუწერელია: 1r, 6v, 75r—76v, 114r—v, 228 v.

„სახარება მათესი.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“... 8v—228 r.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა) წინასიტყვა: „ეგვები კარპანეს, საყვარელსა ძმასა, უფლისა მიერ გიკითხავ“... Iv—3r,

ბ) „ეგ თავეები მათეს სახარებისა“... 3r—6r.

ბოლოში ერთვის: „ზანდუკი სახარებისა სამიბელისა“... 229r—244v. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ათონის ივერიის მონასტერში დაახლოებით XII საუკუნეში. ტექსტი უაზლოდგება ჯრუჭისეულ სახარებას და დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის. იგი საქართველოში ჩამოუტანია მღვდელ-მონაზონ ილია სიმონის-ძე ფანცულაიას.

ხელნაწერს თან ერთვის მღვდელ-მონაზონ ი. ფანცულაიას ბარათი მარგის კაკაბაძისადმი:

„ს. კაკაბაძე! ამასთანავე გააზღებთ ტყავზე ნაწერ პატარა სახარებას, რომელიც მე მოტანილი მაქვს ძველ ათონიდან. რადგანაც ძალიან გაპირებულნი ვარ, გთხოვთ მომიხერხოთ ამ სახარების განადგება რომელიმე დაწესებულებაზე. მღვდელმონაზონი ილია სიმონის-ძე ფანცულაია“.

ამ ხელნაწერის შესახებ ს. კაკაბაძე წერს: „ტყავზე დაწერილი სახარება ოთხი ფერადიანი მინიატურით ჩამოტანილია ათონიდან მღვდელ-მონაზონ ილია სიმონის-ძე ფანცულაიასაგან, ხელნაწერს თან აქვს შეკეთებული იარაღი № 1 (ათონის მონასტრის წიგნსაცავისა). სახარება მიეკუთვნება დაახლოებით მე-13 ს-ნეს და წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად საინტერესო [ძველს] ქართული ენისათვის. თავისი ტექსტით ის უდგება ვერცთ წოდებულ ჯრუჭისეულ მე-10 ს-ნის ხელნაწერს“.

## კ რ ე ბ უ ლ ი — [XIX ს.]

—37 ფ.; 21×17; მოლურჯო ქაღალდი; ტყავის ყდა; სრული; მხედრული (სათურები სინგურით და საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია XIX ს. უკუნის დასაწყისში (ჰვირნიშანი—1808); დაუწერელია: გვ. 70—74.

1. „იანვარსა იდ. ცხორება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი. გვაკურთხე, მამაო.— მათ ეამთა [შინა], ოდეს იწყაა წმინდა და ყოვლად ქებული, დიდებული მთავარმოწამე გიორგი კაპადუკ[ი]ელი“... გვ. 1-55.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს არსენ ბერის მეტაფრასტულ ვერსიას და მთავრდება 49 გვერდზე სიტყვებით: „...შემდგომად [მისსა] ძემან მისმან რეე მიიღო მეფობა მისი და იგიცა წარვიდა კვალსა მამათა მისთასა შემკული ღვთისა სათნობითა.“ (შდრ.: „ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია“, I, 1946, გვ. 215—231). ამის შემდეგ მოყვანილია ის ცნობები ალექსანდრე მაკედონელისა და ვახტანგ გორგასალის შესახებ (გვ. 49—55), რომელნიც გამოქვეყნებულია თ. ყორღანის მიერ „ქრონიკების“ პირველ წიგნში (გვ. 50, 56); იწყება: „...უწყება ჯერ არს, თუ მეფენი ქართლისანი ვიეთ ტომნი იყვნეს“... მთავრდება: „... ესრეთ გან[ა]გეს ქართლისა ეკლესიათა წესი და ქცევა და ესრეთცა არს, ვიდრე დღეინდელად დღემდე სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“ ცნობები ამოკრეფილია ძველი ქართული საისტორიო წყაროებიდან (შდრ.: „საქართველოს საშოთხე“, 1882, გვ. 154—155).

2. „თვესა იანვარსა იდ. [დასდებელი] წმიდისა დედისა ჩენისა ნინოსი.— აღზრდილი უბიწოებითა], მტკიცე სარწმუნოებითა, მოძღუარი ქართლისა სანატრელი ნინო...“, გვ. 55—61.

წყდება: „...სახარება სტამბაში(!) წარუკითხეთ...“

3. [არსენ ბულმაისიმისძე]: „გალობანი წმიდისა [მოციქულისა] ნინოსანი, რომლისა თავნი იტყვიან: «ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენო.— გალობა ა, კმა ა.— სასწაულითა ქრისტე, აღახვენ ძნობად ბაგენი ჩემნი ქალწულისა დედისა და მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინო[ა]ს შესხმად...“, გვ. 61—69.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ (იხ. „ძვ. ქართ. ლიტ. კრესტომათია“, ტ. I, 1946, გვ. 388—390).

კრებული—[XIX ს.]

56 ფ.; 44×26; ქაღალდი; უყდო; სრული; მხედრული (საწყისი ასოები ასო-მთავრულით); გადაწერილია XIX საუკუნის შუა წლებში (კვირნიშანი—1845). დაუწერელია: გვ. 87—112.

1. „საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსვლისა.—და იყო, ოდეს გამოვიდა ადამ და ევაჲ, ცოლი მისი, სამოთხით გამოვიდეს...“, გვ. 1—10.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილი აქვს შემდეგი საყურადღებო ცნობა: „ამა წიგნსა ეწოდებოდა ბერძნულად აბუჯორფაჲ, რომელ არს სამოძღვროთა კითხვაჲ და არა ყოვლისა ერისა სანჯგომ ყოფაჲ უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა სჯულის კანონი“ (გვ. 10). ტექსტი გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის მიერ (იხ. „ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომატია“, ტ. I, 1946, გვ. 3—13).

2. „თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ეფრემისი: თარგმანება დაბადებისათვის ცისა და ქვეყანისა და ადამისათვის, ვითარ მიიცვალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას და ცვალება ნათესავთა, ვითარ ეპოვეთ ნათესავობა ქრისტესი ხორცთა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკასა თავს[ა] ადამისითგან ყოველთა მამისა ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღმრთის ჩვენისა პირველად. ხოლო ესე თარგმ[ა]ნა წმიდამან მამამან ჩვენმან ეფრემ და შობა მამათ-მთავარ[თა] ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე მაცხოვრისა ღმრთისა.—იყო დღესა პირველსა, რომელ არს თავი ყოველთა დღეთა კვირიაკე, რაჟამს დაბადა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა...“, გვ. 10—49.

შენიშვნა: თხზულება შესდგება შემდეგი თავებისაგან:

ა) „თარგმანებაჲ დაბადებისა.—მაშინ ეჩვენა ღმერთი აბრაჰამს და ჰრქუა მას: წარვედ ამის ქვეყნისაგან...“ გვ. 30—31.

ბ) „შესუენებაჲ იერუსალიმისა, ვითარ აღეშენა.—ვითარცა ცნეს კაცთა მათ საქმე მელქისედეკისი და მიესმა მეფეთა და წარმართთა...“ გვ. 31—33.

გ) „შთასვლა ისრაილთაჲ ეგვიპტედ.—მათ დღეთა შთავიდა იაკობ ძე იოსებისაჲ ეგვიპტედ. და იყო მუნ იჲ [წელი] და მოკლდა იაკობ ძე [იოსებისი] რჳჭ წლისა“... გვ. 33—34.

დ) „გამოსვლა ისრაილთა ეგვიპტით.—ხოლო ტომები ისრაილთა ესე არს: ლევ, იოაკიმ, მოსე, ისო, ძე ნავესი, ქალეზ, ძე იოფანესი“... გვ. 34.

ე) „მსაჯულთა.—და შემდგომად მოსესა იქმნა ისო, ძე ნავესი, განმაგებელი ძეთა ისრაილისათა კჲ წელსა“... გვ. 34—35.

ვ) „[აქა იწყების მეთობა] მეფეთა.—მიერთგან დადგა მათ ზედა მეფე, რომელსა ერქუა საულ, ძე კასისი“... გვ. 35—42.



ხ) „შობა მამათ-მთაუართა ადამისითგან ვიდრე ქტისტესამდე  
 ესერთ იწყო ტომები ადამისი: ადამ შვა სეით ევასაგან და შეირთო სეით  
 კალამანაჲ“... გვ. 42—49.

ეს „აპოკრიფი შესავლის სახით წამდღვარებული აქვს „ქართლის  
 ცხოვრების“ მარიაშ დედოფლისეულ ნუსხას და გამოქვეყნებულია აკად.  
 ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (გვ. 786—846). აკად. კ. კეკელიძის ახრით  
 იგი უთარგმნია ბერძნულიდან ლეონტი მროველს. (ლიტერატურა: „ქართ-  
 ლის ცხოვრების მარიაშ დედოფლისეული ვარიანტი,“ 1906, გვ. 786—846;  
 И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древ-  
 ней Армении: ТР, VIII, 1905, стр. 19—27; აკად. კ. კეკელიძე—  
 „ქართ. ლიტ. ისტორია“, ტ. I, 1941, გვ. 399—403).

3. სიბრძნისაგან ფილოსოფოსთასაჲ. — არა არს  
 სიგრძე ჟამთა ყოველთა მასწავლელ სიბრძნისა, არამედ ბუნება და  
 ზომით მიღებაჲ საზრდელისა...“ გვ. 49—54.

4. „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა. —  
 სიხარული ტანისა, სისწორე გულისა და სიხარულნი ქვეყნისანი...“  
 გვ. 54—56.

5. „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა ლა, ვითარმედ:  
 არა ჯერ არს უზომოდ გლოვაჲ მიცვალებულთათვის, არა-  
 მედ გულსმოდგინედ გლოვითა მკურვალითა ლოცვა და ვედრება  
 მათთვის ღმრთისა მიმართ და ჟამისწირვა, მიცემა გლახაკთა სახმა-  
 რისა მათისაგან. — და აწ ვინათგან ამას სიტყუასა მოვედით, მნებაჲს  
 მცირედ მათდა მიმართ თქმად, რომელნი უწესოდ და უზომოდ  
 იგლოვენ და ტყებასა იქმან მიცვალებულთათვის“... გვ. 56—59.

წყდება: „... აწ-ლა რაჲ განვიდა ამიერ სოფლით და აღარა  
 უფალ არს მოქცევად“...

6. [«კითხუა-მიგებაჲ»]: „წმიდისა და ნეტარისა მოციქულთა თა-  
 ვისა პავლესი, რომელმან სახედ მზისა მოვლო და განანათლა ყო-  
 ველი ქვეყანა, რომელი სულისა მიერ წმიდისა აღტაცებულ სამოთ-  
 ხედ, და აღიწია სამ ცამდე, და ესმენს სიტყუანი უთქმელნი და იზილ-  
 ნა საყოფელნი ცოდვილთა და მართალთანი. — იტყვის ნეტარი  
 პავლე...“ გვ. 59—66.

7. „კითხუა-მიგებაჲ იესოსი და განრღვეულისა.  
 ოდეს შევიდა იესო იერუსალიმად, მუნ იდგა განრღუსული, რომე-  
 ლი წვა ცხედარსა ზედა და კუნესოდა განქრილი შეუსუსნებლად...“  
 გვ. 66—67.

8. „თქმული მისივე: მოწყალეებისათვის მდიდრისა და  
 ლაზარესათვის გლახაკისა. — საყუარელნი, სამოთხესა შინა  
 მრალფერნი ყუავილნი არიან მდიდრად...“ გვ. 67—72.

9. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანეს  
ოქროპირისა: შიშისათვის ღმრთისა და სინანულისა.—სწავლასა ქეშმარიტსა გვასწავებს ჩვენ დავით წინასწარმეტ-  
ყულსი“... გვ. 73-83.

10. „თქმული მისივე: სინანულისათვის.—გვედრებით  
თქვენ, ძმანო ჩემნო საყვარელნო“... გვ. 83-85.

11. „თქმული მისივე: დაყუდებისათვის.—საყუარელნო  
ძმანო ჩემნო, მოიგეთ დაყუდება, ვითარცა ზღუდე რეალისა მტკი-  
ცე, რამეთუ დაყუდებაჲმან ზეშთა-გყოს შენ ყოველთა ვნებათა...“  
გვ. 85-86.

#### 4

##### არისტოტელე: პერიარმენია—[1760 წ.]

175 ფ.; 16×10; ქალღი, ტყავგადაკრული ხის ყდა; სრული; მხედრული  
(სათაური სინგურით და საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია 1760  
წელს (გვ. 349).

„დასაბამი და წინადადება წიგნთა, რომელი ითქმის ელინთა-  
მებრ პერიარმენიას, ხოლო ქართველთამებრ განმარტებისათვის,  
წარმოდებული უფროსად ბრძნისა არისტოტელისა მიერ, თარ-  
გმანებული და განმარტებული დავითის მიერ, არმანთა ფილასო-  
ფოსისა. პრაქცისი ა.—პირველად ღირს არს დადებად: რაჲ  
არს სახელი და რაჲ ზმნა, მერმე რაჲ არს უკუთქმა და წართქმა  
და აღმოჩინება და სიტყვა...“, გვ. 1-348.

შენიშვნა: თახულება შესდგება შემდეგი თავებისაგან;

ა. „თვის სახელისა.—სახელი არს კჳა ნიშნოვანი აღნაქვისა-მებრ,  
თვინიერ ქამისა, რომლისა არარაჲ ნაწილი არს ნიშნოვან განკიდებული...“  
გვ. 23-42.

ბ. „ზმნისათვის.—ზმნა არს, რომელი მართ დანიშნავს ქაჲსა“...  
გვ. 43-54.

გ. „სიტყვისათვის.—სიტყვა არს კჳა ნიშნოვანი, რომლისა ნაწილი  
რაიმე ნიშნოვან არს განკიდებული“... გვ. 54-348.

ანდერძი (გადამწერისა): „ქრისტესა დიდება უყუნითი უყუნისამდე,  
თვესა იანვარს კა, ქრისტეს აქეთ 1760“, გვ. 349.

#### 5

##### ბაუმეისტერი: განსაზღვრება ფილოსოფიისა—[1762 წ.]

166 ფ.; 14×9,5; ქალღი; ტყავგადაკრული ხის ყდა; სრული; მხედრული  
(სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურითა და ასომთავრულით); გადაწერი-  
ლია 1762 წელს (1v); დაუწერელია: 2v, 72v, 120v და 166v.





„**ფილოსოფია** ახალ პაექრობითი, მპყრობელი თვს შორის განსახლურებათა და დადებულებათა. განსახლურება ლოლიკისა.—ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა ნივთთა მათ, რომელნიცა არიან და იქმნებიან ანუ ნივთიერსა შინა სოფელსა და ანუ არსებათა შინა უნივთოთა შემთხუშულ იქმნებიან. მოკლედ: ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა საქმეთა“... 3r—166r.

**შენიშვნა:** თხულებას წინ უძღვის: ა. თავფურცელი (ნუსხურით): „**ფრიდერიკოს** ზრისტიანოს ბაუმეისტრისა, გორლიციურის ლიმნახისა რეკტორისა. დასაბამი **ფილოსოფიისა** ახლისა სარგებელად ყრმათა სწოლის შინათა ქმნილი. წიგნი განსახლურება **ფილოსოფიისა** მპყრობელი თვს შორის სახლურათა. ჩსაგ. ქართულსა კმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავეითიან-ბაგრატოვანისა; დროსა ყოვლად უბრწყინვალესისა და უმპყრობელისა დიდისა კელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნასა თვთმპყრობელისა ყოვლისა როსიისასა და მემკვიდრისა მისისა კეთილმორწმუნისა კელმწიფისა ცესარევიდისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა—7270. კორციელად შობითგან სიტყვსა ღმრთისა—1762, ინდიკტიონსა—10. თთუშსა მეთათრმეტესა—30“ (1r—v).

ბ. „**ანტონის** მიერ არხიეპისკოპოსისა დავეითიან-ბაგრატოვანისა წინასიტყვაობა წიგნისა განსახლურების **ფილოსოფიისა** ხუთ მუგდნი დასდებულნი.—**ფილოსოფოს**მან ბაუმეისტერ **ფრიდერიკოს**“.. და ა. შ. (2r). თხულებუბა შედგება შემდეგი თავებისაგან:

- ა. განსახლურება ლოლიკისა, 3r—46r.
- ბ. განსახლურება ინტოლოლიისა, 46r—72r.
- გ. განსახლურებანი კაზმოლოლიისანი, 73r—82r.
- დ. განსახლურებანი პსიხოლოგიასანი, 82r—112v.
- ე. განსახლურებანი ბუნებითისა ღვთისმეტყუელებისანი, 113r—120r
- ვ. განსახლურებანი **ფილოსოფიისა**გან საყოფაქცევოსა, 121r—136v
- ზ. განსახლურებანი საპოლიტიკონი, 137r—141r.
- ც. განსახლურებანი საფიზიკონი, 141v—143v.
- თ. პინაქს-სიტყუაობა ახლისა **ფილოსოფიისა** განსახლურებათა და დადებულებათა, ქმნილი ანბანთა ზედა, 145r—166r.

## 6

**იოანე სინელი: კლემაქსი—[1759—1762 წწ.]**

54 ფ.; 17×10,5; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (სათაური და საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია ბერი იუსტინე მალალაშვილის მიერ 1757-1762 წლებში ვლადიმირში (გვ. 108).

„**იოანესაგან სინელისა** სამ ათნი გვარი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი, ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწევნილ ხარ, ესენი თითო თავისგან ათ მუხლად მე იოანე დავლექსენ პირის-პირად“... გვ. 1-108.



შენიშვნა: იოანე სინელის „კლემასი“ ანუ „კიბე“ ქართულზე თარგმნილი და გალექსილია იოანე პეტრიწის მიერ (იხ. აკად. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტერატ. ისტორია“, 1941, I, გვ. 263-4). იგი ასკეტიკური ხასიათის თაზულებია და ძველ საქართველოში ფრიად გავრცელებული იყო. არსებობს მისი მრავალი ხელნაწერი. წინამდებარე ხელნაწერი გადაწერილია ბერი იუსტინეს მიერ ქ. ვლადიმირში. ანდერძში გვითხულობთ: „მეცოდვილმა ბერმა იუსტინემ აღეწერე რუსეთს, ვლადიმერს ყოფას“ (გვ. 108). გ. ლეონიძის პირადი მოსახრებით, ეს გადაწერილი ბერი იუსტინე უნდა იყოს მთავარეპისკოპოსი იუსტინე მაღალაშვილი, რომელზედაც პლატონ იოსელიანი ამბობს: „კაცი ფილოსოფოსი და გახრდილი დიდი კათალიკოსისაგან“ (იხ. „ცხოვრება ვიორგი მეცამეტისა“, 1936, გვ. 257; ხაზი ჩემია, ი. ლ.). აქედან გამომდინარე თხზულება გადაწერილი უნდა იყოს 1757-1762 წლებში, როდესაც ანტონ პირველი კათალიკოსი იყო განმგებელი და მთავარეპისკოპოსი ვლადიმირის ეპარქიისა, ხოლო იუსტინე მაღალაშვილი—მისი მზღებელი.

## 7

### თომა კემფელი: ქრისტეს თანა-შედგომასა ზედა—[XIX ს.]

170 ფ.; 10,5×16,5; ქალაქი; მუყაოს ყდა (დაშლილი); არასრული (აკლია მეოთხე წიგნი); მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია XIX საუკუნეში; დაუწერელია: გვ. 340.

„თომა კემფელი. ბერი ეკლესიური წესისაგან წმიდისა ოგოსტინესი. ქრისტეს თანა შემდგომასა ზედა. წიგნი პირველი. სახმარი ტუქსვანი სულიერი ცხოვრებისათვის. თავი პირველი. ქრისტეს თანა შედგომასა ზედა და ყოველი სულიერი სოფლისა ამის ამოებების გალახვასა ზედა...“ გვ. 16-339.

წყდება: „...ჰქმენ ჩემდა სანატრელი სათნო ყოფა შენი და ნუ დასჩაგრავე ცოდვილსა ცხოვრებასა ჩემსა, რომელი იმთონად ცხადად და უკეთესად არავისაგან არს ნაცნობ, რავდენათაც შენგანა მხოლოდ“...

შენიშვნა: თომა კემფელის (1380-1471) მისტიური შინაარსის თხზულება „ქრისტეს თანა-შედგომასა ზედა“, ე. ი. „მიბძვა ქრისტესი“ საშუალო საუკუნეების სასულიერო წრეებში ძლიერ გავრცელებული იყო. იგი ქართულად ლათინური ენიდან არის თარგმნილი დაგით ტულუკა-შვილის მიერ. ეს დაგითი 1724 წლის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანს რომში გაუგზავნია სასწავლებლად. იქ მას ფილოსოფიური განათლება მიუღია, 1732 წლის 22 მარტს პრეფექტო კარდინალის წინაშე დაუცავეს საჯარო დისერტაცია ფილოსოფიაში; ხოლო ერთი წლის შემდეგ უკუერთებთან მღვდლად და კათუცინებთან მონახონად შესულა. 1734 წლის 21 მარტს გარდაცვლილა 30 წლის ახალგაზრდა (იხ. მ. თამარაშვილის—„ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის“, 1902, გვ. 343-345). როგორც ჩანს, დაგითს „ქრისტეს თანა-შედგომასა ზედა“ უთარგმნია 1733-1734 წლებში.



თარგმანს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „თომა კემფელი, თბილისი წიგნი. ქრისტესთან შედგომასა ზედა, რომელი იყო ბერძენულ-ლესიერი, წესისაგან წმიდისა აგვისტინესი, ითარგმნა ლათინური ენისაგან წმიდა ჰრომის ქალაქსა შინა, ქართულის მხედრულ ენასა ზედა, საქართველოს გორელი ტლუკაანთ დავითისაგან, მთაწარმასა კლემენტოზ მეთორმეტე ჰრომის პაპისასა, სასწავლოსა შინა უცხოთასა. რომელსა ლათინურად ეწოდებინ: ფრო-ფაგანდა-ფიდუ. სადი-დებლად იესოსა მარტკლობისათჳს და სასარგებლოდ ძმათა და დათა სულიერთა სულთათჳს. ქორონიკონი ქრისტეს შობას აქეთ ჩლლდ, ესე იგი არს: ათას შვიდას ოცდა თოთხმეტი, იანვრის დამდეგს, ბრძანებითა უფროსთათა“ (გვ. 1).

ბ. ტლუკაშვილი დავითისაგან დაწერილი შესავალი, რომელშიც განხილულია თომა კემფელის თხზულების მნიშვნელობა.

აქვე მოყვანილია სხვადასხვა ცნობილ პირთა შეხედულებანი აღნიშნულ წიგნზე და თომა კემფელის ბიოგრაფია (გვ. 2-15). ამ შესავალ წერილში საყურადღებოა მიმართვა „წამკითხავთათვის“:

„... აწე ქრისტეს მიერ ძმანო სულიერნო, რადგან ეს წიგნი თითქმის ყოველთ გუართ ენახედ გადათარგმანებული არის, აწე მე ვიფიქრე, რომე ქართულის გვარი ამ მადლისაგან არ გამოვარდეს და არც დანატრულდეს. აწე ქრისტეს მიერ თქვენმა სიყვარულმა შემძრა და ჯადმოვთარგმნე ეს ქრისტეს მიდევნების წიგნი ლათინურის ენისაგან ქართულის ენასა ზედა და ასრე იცოდეთ, რომ ეს წიგნი ყოელის ქების ღირსი არის, ამიტომ რომე არა თუ მარტო მორწმუნეთაგან, მაგრამ ურწმუნოთაგანაც დიდად მიჩნეული არის. ამ წიგნმა ყოელს ქვეყანასა გზა გახსნა. არა წიგნი არც ამჟონად ყოელთაგან სანატრელი და საკითხავი დიდთაგან, შუათანათაგან და მცირეთაგან, რამთონათაც ეს წიგნი. არა წიგნი არის ამთონს სხვადასხვა ენახედ გარდათარგმანებული, რამთონებდაც ესეა. არა წიგნი არის ყოელთაგან იმთნად ნაქები, რამთონათაც ესა... თუ ამას ასრე არ დაიჯერებთ, სცადეთ თქვენვე თქვენში: წაიკითხეთ და მაშინ შეიტყობთ სიტყვის ძალსა და სკამთ ზეციერს მანანასა, რომელსა შინა არიან ყოელნი გემონი. ეს წიგნი არის ყოელის სულის ჭირის წამალი, ამ წიგნში იცნობის დაუსრულებელი ღვთის განგებულება. ამაში არის მოწყვნილთ გულისდადება, ამით კაცი მრავალს რამესა და ლოცვის რიგსა და გზასა ისწავლის. ამით კეთილად იცოცნლებს და ამით წმიდათ სიკუდილის ცოდნას ისწავლის. ეს წიგნი იქონიეთ თქვენს საყვარელთა, უბიდან ნუ მოიშორებთ, კიდევ და კიდევ წაიკითხეთ. ასრე იცოდეთ, რომ რა გინდ ისიფ და ისიფ თავი ათჯერ ერთმანთხედ წაიკითხოთ, უკეთესს და უკეთესს სულიერს სხვადასხვა გემოს ნახავთ“... (გვ. 8-10; შდრ.: საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, 1946, I, გვ. 322).

თომა კემფელის თხზულების ქართული თარგმანის ერთი ხელნაწერი დაცულია ქ. რომში, ვატიკანის ბიბლიოთეკაში. ამის შესახებ ცნობას იძლევა მიქელ თამარაშვილი თავის წერილში „ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში“ („ივერია“, 1903, № 137) და იქვე აქვეყნებს ამ ხელნაწერის აღწერილობას:

„ხელნაწერი თომა კემფელი, ოთხი წიგნი, ზომა მილ.: 167x100. გვ. 467. რომში გადათარგმნილი მხედრულად საქართველ“

ლს გორელი ტლუკაანთ დავითასაგან, 1734 წ. იანვრის  
1. მშვენიერად შეკაზმული. ბოლოსი ეს წარწერა აქვს: „აწე, ძმანთა  
დანთ სულიერნო, რაც ამ წიგნის წაკითხვითა გემო ნახოთ და სულიე-  
რად ინაყოფიეროთ, ღმერთს შეავედრეთ და იყოს მისივე სადიდებლად  
და, თუ რომ სიტყვათა ღუღარჯილობა, გინა უშვენიერ-  
რება იხილოთ, მე დამაბრალეთ ამისათვის, რომე  
მრავალნი სახელნი და სიტყვანი ქართულნი თავათ  
პირველ არ ვიცოდი და, თუ რამე ვიცოდი, ისიც და-  
მავიწყდა, ამისათვის მრავლის შრომითა, რუდუნებითა, ზრახვითა  
და სასჯელითა ძლივ გადმოვთარგმნე ლათინურის ენისაგან, ამისათვის,  
რომე ეს წიგნი მრავალთ სხვადასხვა ტომთა ენათა ზედა გადათარგმნე-  
ბული არის და მივიზრახე არამცა და არამც ჩუენი გვარი ამ სიკეთის  
ნატრული დარჩეს, ამისათვის გადმოვთარგმნე და ჩემი უცოდინარობი-  
სათვის და ნაკლებობისათვის შენდობას ვითხოვ მე, ყოვლად მზა და ყოვ-  
ლად მაჟურვალე მონა საქართველოს, გორელი ტლუკაანთ პაპას შვილი  
დავითი“ (ნახი ჩემია, ი. ლ.).

მოყვანილი ამონაწერებიდან ირკვევა, რომ დავით ტლუკაშვილს  
თომა კემფელის თხზულება „ქრისტეს თანა-შედგომასა ზედა“ უთარგმნია  
ქ. რომში. შემცდარია ნ. კიკინაძის ახრი, თითქოს დავით ტლუკაშვილს  
ქუთაისში ემოლდაწნოს და აღნიშნული თხზულება იქვე ეთარგმნოს  
(იხ. ნ. კიკინაძე—„უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყუ-  
რადღებისა და გორელი პატრი ტლუკაანთ დავითა“, 1898, გვ. 75). რო-  
გორც ზევით აღვნიშნეთ, 20 წლის ტაბუკი დავითი 1724 წელს გაემგზავ-  
რა რომში და უდროო სიკვდილის გამო საქარაველოს აღარც დაბრუ-  
ნებია და, რასაკვირველია, ის საქართველოში ვერც გასწევდა სამთარგმ-  
ნელო მოღვაწეობას.

## 8

### ცხოვრება ანდრია სალოსისაჲ—[1862 წ.]

114 ფ.; 21×17; ქალაღი; მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერლია  
სტეფანე ნადირაძის მიერ 1862 წელს (გვ. 224); დაუწერელია: გვ.: 225, 226, 228.

„ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა ანდრიასი,  
რომელი იქმნა სალოს ქრისტესთჳს. გვაკურთხენ, მამაო.—ძმანო  
ჩემნო, საყვარელნო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და  
გაუწყო თქუენ, რაჲ არს საქმე ესე კეთილი“... გვ. I—224.

შენიშვნა: ანდრია სალოსი X საუკუნის მოღვაწეა. იგი გარდაცვლი-  
ლა დაახლოებით 939—960 წლებში. მისი ცხოვრება აღუწერია ნიკიფორე  
ხეცესს, მაგრამ ეს ნაშრომი ზელთ ჩავარდნია ვილაც უცნობ კომპილია-  
ტორს, რომელსაც იგი გაუწვცია აპოკრიფული ლეგენდებით. ამიტომ სა-  
ბერძნეთის ეკლესიამ „ცხოვრებაჲ ანდრია სალოსისაჲ“ მწვალებლურ  
თხზულებად მიიჩნია და ხმარებიდან ამოიღო („არა შეიწყნარა“). ეფთვიმე

აფონელი ამბობს: „წიგნი, რომელსა «აბუჯოროვა» ჰრქვიან (საუბარია ანდრია სალოსის ცნობრ ბაზე, ი. ლ.), ვჭგონებ, თუ წვალებამა ცხადი რაჲმს სწერია, გარნა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყუელ არს და ეკლესიამ საბერძნეთისამ არა შეიწყნარებს“... (იხ. თ. ჟორდანიას, „ქრონიკები“, II, გვ. 83). მიუხედავად ამისა ეს „შეუწყნარებელი“ წიგნი ეფთვიმე ათონელის სიცოცხლეშივე უთარგმნიათ ქართულად იმავე ლიტერატურულ სკოლაში, სადაც ეფთვიმე მოღვაწეობდა (იხ. კ. ვეკელიძე—„ქართ. ლიტ. ისტორია“, ტ. I, 397). თხზულება არ არის გამოცემული, ინახება ხელნაწერების სახით.

**ანდერძი** (გადამწერისა): „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეიწყალე გადამწერელი ამის მღვდელი ს. კ. ეფანე ნადირაძე მეოცნობითა ანდრია ქრისტესთვის სალოსისათა და ყოველთა წმიდათა შენთათა. ამინ. დასაბამითგან წელთა 7370, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა 1862, თუშსა თებერვალსა, ცამეტსა დღესა“ (გვ. 224).

## 9

### გერმანე მონაზონი: კითხვა-მიგება მოძღვარ-მოწაფისა—[1862 წ.]

72 ფ.; 21×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (ზოგან საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია მარკოზ სალარიძის მიერ 1862 წელს; დაუწერელია: ფ. I და II, გვ. 4, 150—154.

„წიგნი მოძღვარ-მოწაფისა. თავი ა: სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა. მოწაფე ჰკითხავს და მოძღვარი ასწავლის. უწყოდეთ, რამეთუ მოწაფე იტყვის მოწაფესა და მოძღვარი იტყვის მოძღვარსა. კითხვა პირველი.—მოწ.: ვინ არს ღმერთი ან რა შეუძლია? მოძ.: ღმერთი ძლიერი არის და გელმწიფე და დამბადებელი ყოვლისა ხილულისა და უხილავისა, ცათა და ქვეყანის შემოქმედი“... გვ. 5—149.

**შენიშვნა:** თხზულება, რომელიც დაწერილია კითხვა-მიგების ენით, ქრისტიანულ-დიდაქტიკური ხასიათისაა და შესდგება ორი თავისაგან: 1. „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლა მოწაფისა“ (გვ. 5—56) და 2. „სწავლა შეიდის საიდუმლოსი შემოკლებულად თქმული“ (გვ. 57—149). წინ უძღვის ვახტანგ მეექვსისა და გერმანე ხუცესმონაზონის წინასიტყვაობა. ტექსტი დაბეჭდილია ვახტანგის სტამბაში 1711 წელს, ნაბეჭდი თხზულების აღწერილობა იხ. „ქართულ წიგნში“ (ტ. I, 1941, გვ. 17—18), ეს ხელნაწერი კი გადაწერილია ვახტანგის გამოცემიდან.

**ანდერძი** (გადამწერისა): „გასრულდა ესე სწავლა შეიდის საიდუმლოსი კელითა ცოდვილის მღვდლის მარკოზ სალარიძისათა, წელსა ჰყაბ-სა, დეკემბერს, იგ-სა დღესა. წარმოკითხველთაგან შენდობასა გვედრები, რათა თქვენსა შეგენდვენ ცთომანი თქვენნი“ (გვ. 149).

გადამწერის ხელით I ყდის v-ზე მიწერილია: „ესე მოძღვარ-მოწაფის კითხვა-მიგება ეკუთვნის მღვდელს მარკოზ სალა-

რიძეს, რადგან თავისით კელით არს აღწერილი, შებენილი თავისის სა-  
ფასითა. ჩუგბ-სა წელსა და თვესა დეკემბერს, იგ-ს დღესა“.

მინაწერი: „სიყვარულისა გამო და სულიერობრივის ნათესაობისა-  
თვის, გუთენის კნიაზ როსტომ აბაშიძეს, ცოდვილის მღვდლის  
მარკოზ სალარიძისაგან საჩუქრად. ღმერთმან მშვიდობაში და სულის სი-  
ნანულში მოაზმაროს“... (იქვე).

## 10

### სიბრძნე ბალავარისა—[XIX ს.]

30 ფ.; 32×21; ქალაღი; უყდო (დაშლილი); სრული; მხედრული (სათაური  
და საწისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია XIX საუკუნის პირველ ნახე-  
ვარში (პალეოგრაფიული ნიშნები); დაუწერელია: 30r—v.

„სიბრძნე ბალავარისა, თქმული მამისა ისაკისა, ძისა  
სოფრონ პალესტინელისა მიერ.—მოვედ ოდესმე ქუწყანასა იოპეტს  
და მუნ ვჰპოვე მე წიგნი ესე ინდოთა მეფისა საწიგნესა, რომელსა  
შინა წერილ არიან საქმენი ამის სოფლისანი. იყო ვინმე ქუწყანასა  
ინდოეთისასა მეფე, რომელსა ადგილსა რქვან ბოლატ...“ 1r—29v.

შენიშვნა: თხზულება გამოცემულია რამდენჯერმე. ხელნაწერი იძლევა  
უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობას.

## 11

### ლოცვანი კათოლიკე ეკლესიისა—[XIX ს.]

201 ფ.; 12×8; ქალაღი; ტყავგადაკრული ზის ტეიფრული ყდა; სრული;  
მხედრული (სათაურები და საწისი ასოები სინგურით); გადაწერილი უნდა იყოს  
XIX საუკუნის პირველ ნახევარში (პალეოგრაფიული ნიშნები); დაუწერელია:  
გვ. 348—402.

„დილის ლოცვა.—სახელითა, მამისათა და ძისათა და სუ-  
ლისათა წმიდისათა. ამენ. უფალო, აღახვენ პირი ჩენი, რათა უგა-  
ლობდეთ წმიდასა სახელსა შენსა“... გვ. 1—347.

## 12

### ლოცვანი—[1884 წ.]

272 ფ.; 12,5×10; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრუ-  
ლი; გადაწერილი ითანე მაისურაძისაგან 1884 წელს; დაუწერელია: გვ. 478—544.

„[ლოცვანი]: ლოცუა უწინარეს ძილისა.—ღმერთო ყოვლისა  
მპყრობელო, რომელმან განზრახუთა შენითა ღირს-მყავ მე მიწვენად  
ქამსა ამის ღამისასა...“ გვ. 3—450, 460—477.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა) თავფურცელი: „ლოცვანი საქართველოს კათოლიკეთათვის, შეკრებილი იოანე მაისურაძისაგან. 1884“.

ბ) „წარმითხველისადმი: წიგნი ესე, რომელი შეიცავს თვის შორის სხუა და სხუათა სათნოთ რჩეულთ, ღუთის-მსახურებით და ფრიად სახმართ ლოცუათა ქართული ენის მოუბართ კათოლიკეთათვის, დაიბეჭდების წარსაგებელითა იოანე მაისურაძისა, უფროს სადიდებლად ღუთისა და სასარგებლოდ სულთა, დახსნილთა დაუფასებელითა სისხლითა იესო ქრისტე უფლისა და მაცხოვრისა ჩუშნისა, რომელ არს ღმერთი კურთხეულ უკუნისამდე“. გვ. 1.

ბოლოში ერთვის: სამიგბელი, გვ. 451—459:

## 13

### ლოცვანი „მადლის წყარო“—[1858 წ.]

171 ფ.; 17×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია ტირაქუ იაკობ მურადოვისსა და აგვისტინე იაკობის-ძე ყანდინოვის მიერ 1858 წელს (გვ. 1 და 341).

„წიგნი ლოცვისა, რომელსა სახელად ეწოდების მადლის წყარო, რომელსა შინა შეიცმიან ფერად-ფერადი მხურვალე და მარგებლოანი ფრიად საკირო ლოცვანი, სომხურისაგან ნათარგმნნი, და რომელნი გულის-ტანჯვის გაწმედის სურვილით მიახლოვდებიან, მოაკვდინებენ ქვეყნიურს მწყურვლობასა და ამავ წყაროს წყლის მიერ აღმოაცენენ ნაყოფიერთა ზეციერთა სურნელებისასა. რომელი აღიწერა ტირაქუ იაკობ მურადოვის ჯელითა ქუთაისსა შინა.—დილის ლოცვა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამენ. უფალო, აღაბვენ პირი ჩვენნი“... გვ. 1—342.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა კელითა ფრიად უღირსი მონისა ღუთისა აზნაურის აგვისტინე იაკობის-ძის ყანდინოვისსათა. აღმომკითხველნი, გთხოვთ თითოს მამაო ჩვენოთი და გინაროდნით შემეწოდეთ. რაც შემეცდინოს, შენდობას ვითხოვ. 1858-სა, დეკემბრის 20. ღუთით.“

გადამწერისვე ხელით მეორე გვერდზე მიწერილია: „ესე წიგნი ეკუთვნის მ კლასის იაგორ ივანიჩ ზუბალოვის ასულს, ანნას—კნენიანს ჩოლაყაევისსა. საოხად სულისათვის მოხმარდეს და მადლით ამისათა გვედრებით, უფალო, წესისა ამის ნაცვლად აღმოაცენენ ნაყოფი სულსა შინა ჩემსა. ამენ.“ (გვ. 341—342).

## 14

### ხრონოღრაფი—[1813 წ.]

252 ფ.; 21×17; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული ზის მოცლებული ყდა (დაშლილი); სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია ქრისტეფორე ალაიბგოვის მიერ 1813 წელს (გვ. 503).



„ბ რ ო ნ ო ლ რ ა ფ ი.—დასაბამად ქმნა ლმერთმან ცა და ქვეყნა, უკანასკნელ ყოველთასა დაბადა ადამ, ხოლო იცოცხლა ადამ წელნი ცხრაას ოცდაათი და მოკვდა მასვე დღესა, რომელსა დაიბადა“... გვ. 1—504.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა წიგნი ესე ბ რ ო ნ ო ლ რ ა ფ ი კელითა ფრიად ცოდვილის ქ რ ის ტ ე ფ ო რ გ მღვდლის ა ლ ა ი ბ ე გ ო ვ ი ს ა თ ა. მკითხველთა გვედრებით, მეტნაკლებობისთვის ნუ მწყევთ, რამეთუ დედანი უფრო ძნელ საკითხავ ხელი იყო, რომელ რუსულის კალმის წვერს უგვარებდა, და ამისათვის მეც ფრიადი შრომა მაჩვენა. წელსა ჩუიგ, თვესა მარტსა კმ, ქორონიკონსა ფა.“ (გვ. 503).

### 15

#### უ ა მ ნ ი—[XIX ს.]

264 ფ.; 10×7; ქალაღი; ტყავგადაკრული ზის ნახევრად ავარდნილი ყდა (დასაწყისი დაშლილია); სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია უნდა იყოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ბალეთგრაფიული ნიშნები).

„უ ა მ ნ ი.—ძალითა ღვთისათა რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანეთ ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა: უფალო იესო ქრისტე ლმერთო, ჩვენ შეგვიწყალენ, ჩვენ. ამინ“... გვ. 1—264.

487h

### 16

#### კ რ ე ბ უ ლ ი—[1823 წ.]

106 ფ.; 9×7; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ავარდნილი ყდა; სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); ილიუსტრირებული (Iv, 8v); გადაწერილია 1823 წელს; დაუწერელია: 1r, 8r, 58v, 96v.

1. [ლოცვანი]: „ოდეს აღვსდგე ძილისაგან, მყის განვეშორო ძილისა უღებებასა და ვიწყო ლოცვად ძალისაებრ გულსმოდგინებისა ჩემისა...“ 2r—7v.

2. [დაუჯდომელი ღვთისმშობელისა]: „იბაკონი და იკოსნი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისანი. ჳმა მ.—ბრძანებული საიდუმლო მიიღო გონიერად“... 9r—58r.

3. [პარაკლისი ღვთისმშობელისა]: „მოვედ თაყვანისვსცეთ ლმერთსა ჩვენსა...“ 59r—95v.

4. „სათვალავი ხსნილისა და მარხვისა, თუ ვითარ იცნობების“... 97r—98v.

2. ხელნაწერების აღწერილობა.



5. „ათორმეტნი თთვენი. საცნობელნი დღეთა და ღამეთა, ღამეთა და დღეთასა, და საჩინოთა დღესასწაულითა ღამეთა... 98 v—107 v.

ანდერძი (გადამწერისა): „აქა ლოცვათა შინა შენთა მოიხსენე ამისი აღმწერი, რათა შენცა მოკსენებულ იქმნე სასუფეველსა ღვთისასა“ (96 r)... „აღიწერა აგვისტოს კბ, ქრისტეს აქათ ჩყკვ“ (107 v).

## 17

### კარაბადინი—[XIX ს.]

92 ფ.; 31×19; ქალაღდი; მუყაოს ყდა; არასრული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც, ხელნაწერი დაკაზმულია ისეთი პირის მიერ, რომელსაც არა სცოდნია ქართული ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა, რის გამოც ხელნაწერის გვერდები არეულია; აკინძულია ამ თანმიმდევრობით; სშა-სო, 45წ-სლგ და აგ-რმდ, თავი ბოლოშია შეკინძული და ბოლო — თავში); მხედრული (სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია XIX საუკუნის 30-იან წლებში (კვირნიშანი—1820).

„... მანქი და ეს ხორბალი ერთმანერთხედა შეზავებული არის და სტომაქის მაშვენო და შემრგო. და თუ უზომოან კაცმან ხორბალი დაღეჭოს და მსივანსა ალაგზედა დაიდვას, მაშინვე სიმსინე დაჰთანტოს და გააქარვოს... გვ. აგ-სო.

წყდება: „... ქათმის ღვიძლი დაშაქრული დაადევით, ძალის ბილწი დაშაქრული დაადევით, მკბენარი მოკლას და სცხოს, თუ მისი რამე სიმსინე დარჩეს თავს, საწყუეტელას ძირი დანაყოს და მალ-მალ დაშინებით დასცხოს სა“...

## 18

### კრებული—[1836 წ.]

120 ფ.; 10,5×5; ქალაღდი; კაღენკორგადაკრული ზის ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია 1836 წელს იაკობ გრიგოლის-ძე წიტიკოვის მიერ (გვ. 234-235); მეორე ფურცლის v გვერდი დაუნომრავია, გადამწერს დაუწერავი დარჩენია და შემდეგ ვიღაცას შეუვსია.

1. „იბაკონი წმიდისა ღუთისმშობელისა, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების. — ზესთა მბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწის უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან სამაგლობელსა აღვსწერ, ღვთისმშობელო ქალწულო“... გვ. 1-110.



2. „პარაკლისი სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა.—ლოცვა წმიდათა მამათა ჩვენთა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენი, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ...“ გვ. 111-149

3. „ლოცვა ძილად დაწოლისა, სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა მიმართ სამარადისო.—ყოელისა ნათესავისა კაცთასა სასოებო და სიტკობებო...“ გვ. 195-199.

4. «საუკუნო თვის დადგვი და ქორონიკონი», გვ. 201-234.

ანდერძი: „აღესრულა, დიდება ღმერთსა, ივლისის ა, ქორონიკონს ჩყლე, მწერლობითა იაკობ გრიგოლის-ძის წიტიკოვისათა. უკეთუ მეტნაკლები იყოს რამე, შენდობას ვითხოვ. ქრისტიანენი უცხოს ქვეყანაში რომ მგზავრობენ, თუ გარგოსთ ვისმე რამე, ცხოვნებას მიბრძანებდეთ. ღმერთმა თქვენც სასუფეველსა ცათასა ღირს-გყოთ, ამინ“. გვ. 234-236.  
მინაწერები მოეპოვება 234-238 გვ-ზე.

### 19

#### აღსარება მართლისა სარწმუნოებისა—[XVIII ს.]

113 ფ.; 17,5×15; ქალაღდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; არასრული (აკლია თავსა და ბოლოში); ნუსხური (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილი ღნდა იყოს XVIII საუკუნის დასაწყისში (პალეოგრაფიული ნიშნები). დაუწერელია: 23 v და 109 v.

„აღსარება მართლისა სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა მართალ-მადიდებელთა წმიდისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა.—კითხვა ა: რა ჯერ არს დამარხუად მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მიერ, რათა დაიმკვიდრონ ცხოვრება საუკუნო? მიგება: სარწმუნოება მართალი და საქმენი კეთილი“... 9r-109r.

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია არჩილ მეფის მიერ, შესდგება სამი ნაწილისაგან და დაწერილია კითხვა-მიგების საბით. წინ უძღვის: ა. საგნობრივი საძიებელი (2r-4r), ბ. წინასიტყვა, სადაც მოთხრობილია „აღსარების“ დაწერის ისტორია (4v-7v). იგი დათარიღებულია 1662 წლით.

ბოლოში ერთგვის: ა. „შვდთა მომკვედინებითი ცოდვათა უპირველესი, თქმული ნიკოლოზ მიტროპოლიტისა მიერ თრბელიანისა“ (110r-112v). ბ. „აღვიარება—მართლმადიდებელთა ქეშმარიტი“, (113r-v).

### 20

#### ოთხთავი —[1818 წ.]

124 ფ.; 31×21; მთლურჯო ქალაღდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; სრული; მხედრული (სათაურები სინგურით და საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია ავთანდილ ბეგთაბეგოვის მიერ 1818 წელს (გვ. 243); დაუწერელია: გვ. 1-2, 68-70, 110-112, 183-184, 244-248.

„სახარება მატესი. თავი ა.—წიგნი შობისა იესო ქრისტისა... გვ. 3-238.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის სახარების საძიებელი, გვ. 239-243.

ანდერძი (გადამწერისა): „სიკბაბუკესა შინა დავშურ და აღვსწერე კელითა ჩემითა წმიდა ესე სახარება. აღმოკითხულნო, უკეთუ ცთომილება რაჲმე ჰსენათ, ნუ მგმობთ და ნუ უგულუბელ-მყოფთ, მკითხველნო ამისნო, გთხოვთ მე. თავადი ავთანდილ ბეგთაბეგოვი. დასრულდა ესე წმიდა სახარება იანვრის [...], წელს ჩყიშ. (გვ. 243).

შინაწერი: „კნიაზო ბეგთაბეგ ავთანდილის ძე, კაბუკობისა შრომა მამის შენისა, მონიჭებული სახსოვრათ, დიდად დასაფასებელ არს ჩემგან. ამგვარი სახსოვარი უნდა დაშთეს მემკვიდრეთ. ამისთვის მოკიდღენი თქვენ და ვისურვებ გმსაზუროს სამაგალითოდ სწავლის მოყვარეობასა. აზნაური ანაწარე აღზახიშვილი. იანვარს ჩყაბ წელს, გორის ქალაქს“ (იქვე).

## 21

### კრებული—[1732 წ.]

208 ფ.; 9,5×15; ქალღიმი; ტყავადაკრული ზის ტვიფრული ყდა; ნუსხური (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); თავნაკლული; გადაწერილია 1732 წელს ქ. თბილისს.

1. [ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი].—„... და შეშფოთებულად. და ამტკიცენ მოაზნი შენნი მართლმადიდებლობასა...“ 1 r—61 v.

2. „გალობანი სინანულისანი, თქმულნი წმიდისა ანდრია იმერუსალიმელისანი, კრიტელ მთავარ-ეპისკოპოსისანი. აგალობად, ჳმა ა.—ყოველი შემწე და მკსნელ და მფარველ“... 62 r—75 r.

3. [თვენი]:—„თუესა სეკედნებერსა აქუს ღღე ლ, ღღესა აქუს ჟამი იზ და ღამესა ჟამი იზ, დაწყებად ინდიკტიონისა ესე იგი არს ახლისა წელიწადისა“... 77 r-192 v.

4. „წმიდისა აღვსებასა ცისკრად.—შემდგომად წიგნის კითხვისა შეიმშოს მღდელთ-მთავარი, გინა მღდელი სრულიად თეთრითა და აღილოს ჯვარი პატიოსანი და საცეცხლური სასანთლეთი აღნთებული“... 193 r—196 v.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის „ქორონიკონი“.. (196 r-206 r).

ანდერძი (შემკვეთისა): „შე მანგლელ-წილკნელ-ტვილელ მიტრთაილიტმან არსენ აღვაწერიენ ესე წიგნი საკსრადსულთა და კორცთა ჩემთა, ვინც მემთხულოდეთ, შენდობას გვიბრძანებდეთ.“ (195 v).

ანდერძი (გადამწერისა): „ქრისტეს აქეთ ათას შვდას ოცდა თორმეტსა, ქალაქსა ტფილისსა.“ (195 v).



- მინაწერი: ა. მხედრულით: „ბატონისშვილის გრიგოლის ა[რის]“ (206 v).
- ბ. სხვა ხელით: „მამაო სოფროშ, შენ გებარებოდეს ეს წიგნი და ჩემი თავი. თუ არ დამიკარგავ, შენ იცი მამაშვილობას. მომლოდნი ვიქნები. ჯ. მ. იეროდიაკონი ანთიმოს. ჩუობ-ს წ., აპრილს კვ-ს დ[ღეს]ა.“ (I ყდის v).
- გ. სხვა ხელით: „ანთიმოს გარდაიცვალა 1918 წ. 18 ნოემბ.“ (I r).
- დ. იმავე ხელით: „1918 წ. 20 ნოემბ. არხ. ანთიმოსის გადაცვალების შემდეგ ეს წიგნი ეკუთნის მღვდელმონაზონს ზენონს“ (I v).

## 22

### კრებული—[XIX ს.]

13 ფ; 22x35; ქალაღი; უხლო; სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია XIX საუკუნის 80-იან წლებში (ფურცლებს შავად ნათითრები ატყვია. როგორც ჩანს, ასოთამწყობებს სჭვრიათ ხელში); შეძენილია ილია ჭყონიას ოჯახიდან.

1. „მოთხოება ქვათახევის მონასტერსა შინა წამებულთა მოწამეთათვის.—ბაგრატ მეექვსეს ზე ნათესავით დავითიან-ბაგრატოვანისასა, ძის წულისასა გიორგი მეოთხისა ბრწყინვალედ ზედ წოდებულისა, რომელიცა მონარხოზით მართვიდა ყოველსა ივერიასა“... 1r—3r.

2. „წამება წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისსა შინა ვნებულთათვის.—ჯალალედინ სულტანი ხუარასნისა და ზედ წოდებით ხუარასმშად, მეფე ყოვლისა სპარსეთისა და მპყრობელი ხუარასნისა ვიდრე ინდოეთამდე და სხუათა ადგილთაჲცა მფლობელი, ესე ძლეულ იქმნა ბრძოლასა შინა დიდისა თათარისაგან ჩინელთა“... 3v—7v.

3. „მოთხოება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისათვის.—[იყო] ამირმუმლი ვინმე, რომელიც ჰფლობდა არაბთა, სირთა და მილთა. წარმოავლინა [მან] მხედრობითა თვისითა ქართლსა ზედა ნათესავი თვისი სარაკინელი აჰმად და ჰყო ესე აჰმად მთავრად მხედრობისა თვისისა“... 8r—11v.

4. „ცხოვრება წმიდისა მოწამისა იაკობ სპარსისა... გვაკურთხენ, მამაო.—იყო ნეტარი იაკობ დამკვიდრებულ ქალაქსა შინა ბითალაპატ, სოფელსა მას შინა ხეზისონელთასა“... 12r—13r.

წყდება: „... ნუ უკუშ მანცა გარე მიიქციოს პირი მისი ჩემგან მას...“

შენიშვნა: ბოლოში ერთვის დეკანოზი გიორგი ხელაძის შენიშვნა: „В этой рукописи нет ничего противного правилам духовной цензуры. Читал Протоиерей Георгий Хеладзе. 28 Августа, 1882 г. Тифлис“ (13r).

## შემოკლებული ისტორია კიროსისათვის—[1832—1834 წწ.]

24 ფ.; 17×20,5; ქალაღდი; მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (აბზაცის საწყისი სიტყვები ასომთავრულით); გადაწერილია 1832—1834 წლებში (იხ. ჭვირნიშანი—1832 და მე-3 ფურცლის v გვერდზე მინაწერი); დაუწერელია: 1 v, 2 r—v, 3 r, 20 r—24 v; შეძენილია ილია ჭყონიას თჯაზიდან.

„შემოკლებული ისტორია კიროსისათვის.—ქამთა სომეხთა მეფისა ტიგრანისათა წინასწარმეტყუჴლთაგან ქებით მოსწაფებულნი, ცხებულნი ღისა გამოჴსჩნდა კიროს, მეფედ და დამაფუძნებელად ტახტისა სპარსთა მეფობისათა, რომელიცა იქმნა მეგობრად ხსენებულისა მის მეფისა ტიგრანისა...“ 4 r—19 v.

შენიშვნა: ტექსტის ზოგიერთი სიტყვა ახსნილია ხელნაწერის აწიებზე გამოტანილი სქოლიებით. თხზულება დაყოფილია 5 თავად.

მინაწერები: ა). „ორნი სათნოებანი საჭირო არიედ კელმწიფისადა: გონიერება ბრძანებათა შინა და ზრუნვა ნამდვილ აღსრულებისათვის მათისა“ (1 r).

ბ). „ჩაღღ-ს წელს თებერვლის ა-ს დ[ღეს] დისწულმა აღეჴსან დრე დავითის-ძემ კნიაზ თარხანოვმა მარჴჴა ეს კვიროსის ცხოვრება შობასა თვისსა კნიაზ გრიგოლ წერეთელს“ (3 v).

## 24

## კრებული—[XVIII ს.]

64 ფ.; 9,5×14; ქალაღდი; ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა; სრული მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები ნუსხურითა და სინგურით); [XVIII საუკ.]; დაუწერელია: 2 r, 12 r—v, 23 v—24 v, 37 r—v, 63 v, 64 v. ხელნაწერი 1848 წელს დიმიტრი მეღვინეთ-ხუცესოვს უჩუქებია ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისათვის (გვ. 63 r).

1. „წმიდისა და ღმრთით შემოსილისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისა სწავლანი რაოდენნიმე მცირენი, გამოკრებულნი ლოცუსათუს და სხუათა სათნოებათათუს.—თჴუა ჩუენმან ვასილი: ლოცუა უზნობა არს გონებითა ღმრთისა მიმართ...“ 2 v—11 v.

2. „სათნოებათათუს, რომელნი საჭირო არიან სულისა ცხოვრებისათუს.—სამნი სათნოებანი არიან საძიებელნი და საჭირონი: სამშვიდე, მოსწრაფება და სიმჴნე...“ 13 r—18 r.

3. „სიტყვანი და სწავლანი სარგებელნი სულისანი, გამოკრებულნი სამოთოთა წერილთაგან და წიგნთა მამათა.— ვითარცა სარწმუნოება ჴეშმარიტისა ჴრისტეანისა, თუნიერ საქმეთა

კეთილთასა მკუდარ არს, ეგრეთუჲ საქმენი კეთილნი თუნიერ მართლისა სარწმუნოებისა მკუდარ არიან...“ 18 r—23 r.

4. „სწავლანი სარგებელნი სულისანი ფრიად შუწნიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა ნილოსნი.—“შიში ღმრთისაჲ გაქუნდინ და სურვილი და ყოველთა მიმართ განწმედლილად იგმევდ წამებასა სუნდისისასა“... 25 r—31 r.

5. „მისუჲ წმიდისა ნილოსაგან ღნომნი განმაყენებელნი განხრწნადთაგან და შემაერთებელნი უხრწნელთა თანა.—გზა სათნოებათა მიმართ კეთილ და მოკლე არს...“ 31 v—36 v.

6. [ნიკოლოზ ორბელიანი]: „აწ უკუჲ არიან ესენი შუდნი მომაკუდინებელნი ცოდუანი და მათნი მომკულელნი და სულისა განმაცხოველებელნი სათნოებანი შუდთა მათ მომკულელთა ცოდუათაგანი. პირველი უკუჲ ამპარტავენება.—ამპარტავენება ეს არის, რასაც თუსი ნათქუამი და ნაქმარი დიდად მოსწონდეს და დიდათ დიდების მოყუარე იყოს და სწავლების მოთაკილე“... 38 r—63 r.

შენიშვნა: წინ ერთვის სარჩევი: „ამას მცირესა წიგნსა შინა პირველად არიან“... 1 r-v.

შინაწერები: ა) ეს წიგნი [ . . . ] არის. ვინც მოიპართს, ვისიც ნათქოზია ეს წიგნი (არის), გაუწყრეს იმისი მადლი, ამინ. გიორგიობას ზქორონიკონს უნჯ.“ (გვ. 64 r).

ბ) ეს წიგნი ვაჩუქე სახსოვრად სიძეს დიმიტრი ბაქრაძე 1848 წელსა. მოყვარე დიმი. მღვინეთხუცესოვი“. (გვ. 63).

გ) დიმიტრი ბაქრაძის ხელით: „დ. ხ. ბაქრაძე“, გვ. 1 r.

## 25

ბახილი კესარიელი: მიცვალება წმიდისა ღმრთისმშობლისა—  
[1871 წ.]

44 ფ.; 10,5×17; ქალაღი; მუყათს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია 1871 წელს.

„თვესა აგვისტოსა იე. მიცვალება წმიდისა ღმრთისმშობლისა ქუსყანით ზეცად, თქმული წმიდისა მამისა ჩუწნისა კესარიელისა ბახილისი. გვაკურთხენ მამაო. წინაშე ღმრთისა და მაცხოვრისა, რომელმან საიდუმლო საკვირველი აღასრულა ცასა ქუსშე და ქუსყანასა, ღმრთისა მიერ დედისათვის, სამეზამან წმინდამან, ცხოველმან დაუსაბამომან, დამბადებელმან ყოველთამან, რომელი არს მამა, ძე და სული წმიდა, ღმერთი და უფალი, ამინ. ღირს მყენა საშინელსა საიდუმლოსა ხილვად, რომელსაცა მომაწიფნა ხილვად განცხადებულსა, სასურველსა ჩემთვის, თანადგომითა ზეგარდამო გამორჩეულისა მნათობისა დიდისა



სახისა ჩემისა და მოძღვრისა ეფრემისათა, რომლისკენაცა  
 ორთავე ვიღვაწეთ და ბიზანტიით გამოვიღეთ თქმულისაგანაჲნიჲ  
 ნე ღმრთისმეტყველისა, სიბრძნით აღწერილი და სატრფია-  
 ლოდ თქმული უფლისა მიმართ.—

რაჟამს სულისაგან წმიდისა ღმრთისმშობელმან მარიამ ჟამი  
 განსვლისა მისისა ამიერ სოფლით გულისხმა-ყო განსვლად და  
 ძისა თვისისა თანა აღსვლად, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა  
 სულისათა „... გვ. 1—88.

ანდერძი (გადამწერისა): „ჩუო-სა წელსა, თებერვლის იჲ-სა“. გვ. 88.

## 26

### სწავლა-ქადაგება—[1865 წ.]

6 ფ.; 17×21; ქალაღი; უყდო; დაშლილი; სრული; მხედრული (სათაური და  
 აბზაცის საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია 1865 წელს.

„სრულიად ყოველთა ქრისტეს მორწმუნისა ერისათვის ვალი  
 გვაქუს, რომ მარადღე თქვენის სულის სარგებელს უნდა გასწავლი-  
 დეთ, და თქვენც ის ვალი ვაქუსთ, რომ ჩუენს მოხსენებულს გულს-  
 მოდგინებით ისმენდეთ და ყურს მოუგდებდეთ. — საყუარელხო  
 ძმანო ჩემო, იტყვის მახარებელი ლუკა სახარებასა შინა, ვითარ-  
 მედ: შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა  
 და მერმე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“... 1r—6v.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, შეიწყალე დამწერი ამისი გლა-  
 ხაკი მონაზონი. ჩყდგ-ს, \* ოქტომბერსა“. 6v,  
 მინაწერი: „ივანე ერისთავი“. 6v.

## 27

### შელოცვანი—[XIX ს.]

18 ფ.; 17×22; ქალაღი; უყდო; დაშლილი და დაზიანებული; თავდაბო-  
 ლონაკლული; მხედრული; [XIX ს.].

[შელოცვანი]: „ზენასაც წაგაღებინეთ, ქვენასაც ქრისტე  
 მომენმარება, მკურნალი გააქრობს, ამინით ლოცვენ, ყოველი წმი-  
 დანი კურნებენ. ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი“... 1r—18v.

წყდება: „... გაფიცებ სამოცდახუთს ანგელოზსა: არც გავია-  
 რო კაცის ტანში, მოგიტანო ჩემის ოქროს ნისკარტითა“...

## 28

### ბაასი დედისა და თავისი ასულისა—[XIX ს.]

5 ფ.; 22×36; უყდო; დაშლილი; ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]



ბაასი დედისა და თავის მცირეწლოვან ასულს  
 შორის. რას ნიშნავს წითელი კვერცხით მილოცვა ბრწყინვალე  
 ქრისტეს აღდგომის დღეს.—ქალი: ქრისტე აღსდგა, საყვარელო  
 დედავ. დედა: ქეშმარიტად აღსდგა, სასურველო შვილო“... 1r—5v.  
 წყდება: „... ქალი: ოდესცა გულსა ჩემსა სურის რამე კარ-  
 გი, ესეც ჩემის მცველის ანგელოსის ხმა არა არს? დედა...“

29

კრებული—[1772 წ.]

132 ფ.; 20X16; ქალაქი: უყდო (დაშლილი); არასრული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც); მხედრული (ზოგან სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია XVIII საუკუნეში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხელით; გადაწერა დამთავრებულია 1772 წელს (გვ. 134); ამავე წელს ხელნაწერი საბოლოოდ შეკინძული და დანაშრულია რვეულების მიხედვით; დაუწერილია: გვ. 18, 159, 170 და 264.

1. [მოსე ხონელი: ამირან-დარეჯანიანი. კარი მერვე].—„... ღივ მგოსანნი დგეს და იმღერდეს. დავსხედით ნადი-მად. მეფესა წინა დასტი ედგა წითლისა იაგუნდისა...“ გვ. 1—226.

წყდება: „... აქა დასრულდა კარი დილარის შვილის ჯიმშერისა და დაუსრულებელმცა არს სუფევა მეფობისა თქვენისა უკუნისამდე...“ გვ. 134.

შეშიშვნა: სულ გადარჩენილია ოთხი კარი: ა. მერვე: „ტილისმათა ამბავი“ (ბოლო ნაწილი, გვ. 1—17), ბ. მეათე: „მზისა ჰაბუჯისა ამბავი“ (გვ. 19—94) და გ. „ჯიმშერისა“ პირველი თავი: „ჯიმშერ ხაზართა მეფის დილარის შვილის ამბავი“, რომელიც თხზულებაში წოდებულია მე-თორმეტე კარად (გვ. 95—134). ამის შემდეგ შეკინძულია „ამირან-დარეჯანიანის“ მეცხრე კარი: „სუფედავლა დარისპანიძისა ამბავი“ (გვ. 135—226), რომელიც წყდება შემდეგ სიტყვებზე: „... მერვე მოქარავენნი მოვიდეს, ქება შეასხეს და ეგარე თქვეს: აბედმა ჩვენმა მოგიყვანა. რომელი ჩვენი წაუ-ლია, გვიბოძეთო“. რაც მათ ირემეს, უბოძა, მცირეთ ტურფათაგან კიდე თვალნი და მარგალიტი დავიჭირეთ“..

პირველი სამი კარი (მერვე, მეათე და მეთორმეტე) გადაწერილია 1772 წელს (გვ. 124), ხოლო მეცხრე—დაახლოებით XVIII ს-ის 50—60-იან წლებში.

„ამირან-დარეჯანიანის“ ეს ნაწყვეტები, რომელსაც ჩვენ პირობითად ჩაჩიკაშვილის ხელნაწერი ვუწოდებთ (იხ. ი. ლოლაშვილი—„ამირან-დარეჯანიანის ახალი ხელნაწერი“: გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948. № 7), გადაწერილია სხვადასხვა პირის მიერ იმ ხელნაწერიდან, რომელიც ამჟამად დაცულია საქ. სახ. მუზეუმის S ფონდში, 3708 ნომრით. ამ მოსახრებას ექვემდებარებოდა ადასტურებს მათი ტექსტუალური დამთხვევა და შემდეგი საყურადღებო ფაქტები:





1. „ამირან-დარეჯანიანის“ № 3708 ხელნაწერში მომდევნო გვერდის დასაწყისი სიტყვა გამოვრებულია წინა გვერდის ბოლოში, რომელშიც მოხსენიებულია არ აერიოს ფურცლებისა და გვერდების თანმიმდევრობა. ჩაჩიკაშვილის ხელნაწერით კი მეცხრე კარის გადაწერს № 3708 ნუსხიდან თავის ხელნაწერში შეუტანია როგორც გვერდების თანმიმდევრობის აღნიშვნები, ისე მომდევნო გვერდის დასაწყისი სიტყვები. მაგ.: № 3708 ხელნაწერის 68v იწყება ასე: „ა რ ა ა რ ი ს პ ი რ ს ა ყ ვ ე ლ ი ს ა ქ ე ვ ყ ა ნ ი ს ა ს ა“ .. აქედან სიტყვა „არა არის“ გამოვრებულია 68r-ის ბოლოს, სიტყვების—„ჩემებრი ჭაბუკი“-ს შემდეგ, ხოლო გადატანილი წინადადება ასეთი შინაარსის შემცველია: „ჩემებრი ჭაბუკი არა არის პირსა ყოვლისა ქვეყანისასა“. ჩაჩიკაშვილის ხელნაწერში კი ეს წინადადება ასე იკითხება: „ჩემებრი ჭაბუკი არა არის . . . . . არა არის პირსა ყოვლისა ქვეყანისასა“... (გვ. 140), რაც იმაზე მიუთითებს, რომ უკანასკნელში დაცულია № 3708 ხელნაწერის გვერდების თანმიმდევრობა (პაგინაცია).

2. ამავე მეცხრე კარის გადაწერს თავისი ხელნაწერის პაგინაცია გადაუტანია № 3708 ხელნაწერის მეცხრე კარში შესატყვისი ნიშნის აღნიშვნით. ასე მაგ.: ჩაჩიკაშვილის ხელნაწერით 211 გვერდი მთავრდება ასეთი სიტყვებით: „დარჩა მას დღესა ჯობნა ამირან დარეჯანის-მესა და მივედით საპურობოდ“ .., ხოლო № 3708 ხელნაწერის 68v-ზე სიტყვა „საპურობოდ“-ის შემდეგ იმავე მელნით, რომლითაც ჩაჩიკაშვილის ხელნაწერის მეცხრე კარია გადაწერილი, აღნიშოულია გვერდის დამთავრების ნიშანი. ასეთივე ნიშნებია 84v, 87r, 88v და 89v გვერდებზეც.

3. ჩაჩიკაშვილის ხელნაწერში „ამირან-დარეჯანიანის“ მეთორმეტე კარად აღნიშნულია „ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის აშბავი“ .. ასევე № 3708 ხელნაწერში „ჯიმშერიანის“ იგივე პირველი თავი წოდებულია „ამირან-დარეჯანიანის“ მეთორმეტე კარად.

4. იმავე მელნით, რომლითაც გადაწერილია ჩაჩიკაშვილის ხელნაწერის მერვე, მეათე და მეთორმეტე კარები, № 3708 ხელნაწერში მიწერილია მერვე კართან „ეს ერთი“ (გვ. 48v), მეათე კართან—„მეთრეთ ეს“ (გვ. 90v) და „ჯიმშერიანის“ დასაწყისში—„მესამე“ (გვ. 113v). ეს შინაწერები უდაოდ გადაწერის თანმიმდევრობაზე მიუთითებენ, ვინაიდან ჩაჩიკაშვილის ხელნაწერი სწორედ ამ თანმიმდევრობითაა გადაწერილი.

5. აღსანიშნავია ეს გარემოებაც, რომ მერვე, მეათე და მეთორმეტე კარების გადაწერს № 3708 ხელნაწერის ბოლოს (გვ. 154r) მიუწერია: „ეს კალამი არ ავად სწერს, მაგრამ მე უკეთესი მინდა“, ანდა „ვის კელ-გიყვია ლექსისა აღწერა, შაირობანი“... და სხვ.

ამ ხელნაწერთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ იხილეთ ჩემ წერილში (გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“ 1948, № 7).

2. [ბ ა რ ა მ-გ უ ლ ა ნ დ ა მ ი ა ნ ი]: „ქვეყანასა ურმულსასა (!) იყო ჰელმწიფე ქიშვარდ უკლებელი, მორკმული და სიმდიდრისაგან განლაღებული. ღვთისაგან არა ნივთი არ აკლდა რა, უძეობისა კიდე.“



რა ორმოცის წლისა გასრულდა შეიწყალა ღმერთმან და უმცროსი მწიგნობარი... გვ. 227—263.

ტექსტი წყდება გულანდამის მესამე წიგნზე შემდეგი სიტყვებით: „... ქვეყანათა მკირავი ხარ, მარტოდ სლვით რას იშობებ? ერთი ხელმწიფეთა შესწორება მოგინდომებია ჩემის მიჯნურობათა, მრავალნი სახელდებულნი მოსულან სა...“

ანდერძი („ამირან-დარეჯანიანის“ გადამწერისა): „თთუსა ნოემბერსა, კვ დ[ლესა], წელსა ჩლობ“ (გვ. 134).

მინაწერები მოიპოვება 159 და 164 გვ.-ზე.

საყურადღებოა არამწიგნობრული ხელით 159 გვერდზე მიწერილი ლექსი, რომელიც დაწერილია ალექსანდრე ყაზბეგის მიერ 1887 წლის 20 მაისს ქ. თელავში ნიკოლოზ მატარაძის პატარა ქალზე, რომელსაც სახელად თამრო ვრქვა:

„ჩვენი ჟუჟუნა თამრო კეკლუცი და ნაზია,  
ვინცა ნ[ა]ხ[ა]ვს იძ[ახი]ს: ღმერთო, რა ლ[ა]მაზია,  
სიყვარულით აღვსილი ეშის მწველი ძალია,  
სულ ხ[ა]ვერდებ გიყვარდეთ ორივე მისი თვალთა;  
მშველს[ა]ვით მოხდენილი, მარდი ვით მკვირცხლმალია,  
ტიკტიკი და ტიკტიკი,— იტყვით, რომ მერცხალია,  
მასთან ყველა გაფასდეს: გინდ ლეკი, გინდ ლაზია,  
და თავსაც შე[მ]ო[ე]ვლოს ვეროპა და აზია.  
ჩვენი ჟუჟუნა თამრო კეკლუცი და ნაზია,  
მისი ხილვა გაკვირვებთ, ისეთი ლ[ა]მაზია.  
სასუნებელს იას გავს, თამროს ხველა ჭიასა,  
სატკუნებლად აკოცებს თ[ა]ვის ბებერ ძიასა,  
მაშა გულში ჩაისვამს კეკლუცსა და იასა  
და დედა სიხარულით აკმევს თამროს ფიასა“.

ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს იმავე ხელით:  
„თამრო ოთხის წლისა იყო. ეს ლექსი ალექსანდრე გიორგის-ძე (!) კნიაზ ყაზბეგის მიერ დაწერა თამროზე. 1887. მაისის 20. თამრო გაიხარდოს, წაიკითხოს“ (იქვე).

ამ ლექსის ავტორგრაფი დაცულია ალ. ყაზბეგის არქივში (S 3997).

## 30

შოთა რუსთაველი: ვეფხისტყაოსანი—[1802 წ.]

168 ფ.; 20×17; ქალაქი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; არასრული (აკლია თავში ორი ფურცელი); ძველდრული (სათარები და სტროფის საწყისი სიტყვები სინგლრით); გადაწერილია ზირთველი თეონიშვილის მიერ 1802 წელს ქ. დუშეთში (გვ. 335).

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი, მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვასთან დასადარი...“ გვ. 3—335.

შენიშვნა: თხზულების ტექსტი გრძელი რედაქციისა. თავში და შიგადაშიგ ჩამატებულია სხეთი ტექსტები, რომლებიც ვაზტანგისეულ გამო-

ცემაში არ მოკოვებთან, ხოლო ბოლოში მთლად არის წარმოადგენილი ინდო-ხატაელთა ამბავი.

ანდერძი: „აღვწერე თავადმან გიორგი ს-ძე ბირთვედმან მანოვმან ქაშა მინა დღეშეთს ჴუზდის სუდში მსაჯულობისა ჩუკისასა. აღმოვიტხველნო, ვითაოვ საშლთო მიჯნურობით შეწყწარებისა წაგნსა ამასა, რომელიც განსრულდა ნოემბრის ი, ქორთიკონა უფ, წელსა ჩუპ“ (გვ. 335).

### 31

#### შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი—[XIX ს.]

185 ფ.: 20,5×17; ქალაქი: მუყაოა ყდა; ნაქლედი (აკლია თავსა და ბოლოში); მხედრული (სათაურება და სტროფა საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია XIX საუკუნის 30-იან წლებში (ჭვირნიშანი—1821).

„...იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უდევთ დიდი მძღვარი, ნურვინ გარვეთ ერთმანეთსა, გესმათ ჩემი ნაუბარი...“ Ir—185v. წყდება ავთანდილის ანდერძზე:

„...მიჯნურობისა საგმილმან დამწვა, ამავზნო მე მანდა, მზე მოკვეე, თავის გამოღმა შენ დამიტირე მზემან და“...

შენიშვნა: პოემის ტექსტი მომდინარეობს ვრცელი რედაქციიდან. შიგ ჩართულია „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ხოლო ბოლოში ერთვის შემდეგი თავები:

- ა. ზვარაზმასაგან ტარიელის დანეუღების ცნობა,
- ბ. ესმა ინდოთ მეფეს მოაღვა ზვარაზმელთა ინდოეთში.
- გ. გამარჯვება ზვარაზნთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ზედან,
- დ. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილსა და ფრიდონთან საშველად.
- ე. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისა საშველად,
- ვ. აქა ავთანდილისა და ფრიდონის წასვლა ზვარაზმას საომრად,
- ზ. ომი ზედ დასხმით ზვარაზნთა, ინდოთა, არაბთა და თურქთაგან.
- წ. ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალბოდა, მის ქაპის ნათქვამი.
- თ. სიკუდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან-დარეჯანისა.
- ი. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ქაშა.

ზეღნაწერი მნიშვნელოვანია პოემის ვრცელი რედაქციის ვარიანტების შესასწავლად.

### 32

#### შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი —[XIX ს.]

III † 185 ფ.: 30×21; ქალაქი: ტყავგადაკრული ხის აკარდნილი ყდა (II კედის ზე დაკარგულია); სრული; მხედრული (ოზნაბენტებით, სათაურები და სტროფის საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია ნინო ზედგინიძისაგან XIX საუკუნის დასაწყისში (ჭვირნიშანი—1809); დაუწერელია: Ir—IIIv.

„ამბის დასაწყისი პირველი, ამოდ სასმენელად მშვენიერად  
ტარიელს და ნესტარდარეჯანს ვეფხის-ტყაოსნობით უშ-  
მობენ.—

რომელმან შექმნა სამყარო-ძალითა მით ძლიერთა“...1r—159v.

შენიშვნა: პოემის ტექსტი გადაწერილია ვახტანგის გამო-  
ცემიდან. ბოლოში ერთვის: ა. გამომცემლის ანდერძი, ლექსად თქმული  
(159r) და ბ. „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა, თქმული  
ბატონიშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“ (159r—185v). „თარ-  
გმანი“ წყდება ყბ სტროფზე.

ანდერძი (გადამწერსა): „ნებითა და შეწვევითა ღთისათა აღიწერა ესე  
ვეფხვის-ტყაოსანი, სრული და უნაკლებო, ზედაგინიძის ქალი ნინო-  
საგანა. ვინც აღმოიკითხოთ ეს წიგნი, შენდობას მიბრძანებდეთ. ამინ“  
(1v).

### 33

შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი—[1816—1850 წ.წ.]

161 ფ.; 33×21; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ავარდნილი  
ყდა; დაფურცლული და დაზიანებული (აკლია თავში და შიგნით, ფურცლები და-  
ზეულია); მხედრული (სათურები და სტროფის საწყისი სიკვებები სინგურით);  
გადაწერილია 1816—1850 წლებს შორის (კვირნიშანი—1816).

„[გული ერთსა დაა]ჯეროს, კუშტი მიხუდეს, თუნდა ქუში;

[მძულს უგულო]დ სიყვარული, ზვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუ-  
ში“... 1r—158v.

შენიშვნა: პოემის ტექსტი გადაწერილია ვახტანგის გამოცემიდან.  
ბოლოში ერთვის: ა. ანდერძი ვეფხის-ტყაოსნის პირველი გამომცემლისა  
(158v) და ბ. „საძიებელი წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა“ (159r—  
160v).

161r-ზე მიწერილია 1850 წლის 17 მაისის თარიღით ოთხსტრიქო-  
ნიანი ლექსი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს სვიმონ მეღვინეთ-  
უხუცესს.

### 34

შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი—[XIX ს.]

47 ფ.; 33×21 ქაღალდი; უყდო (დაფურცლული); დაზიანებული (აკლია  
თავსა და ბოლოში); მხედრული; გადაწერილია ულამაზო ხელით XIX საუკუნის  
30-იან წლებში (კვირნიშანი—1821).

„გულსა უთხარ ნუ მოჰკუდები, არას გარგებს ცუდი წოლა,  
გიჯობს გაქრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბენა“..

1r—4v.

წყდება:

„...ფატმან ღმერთსა დიდება, საქმენი მოხვდეს ორანი:  
დღეს რომ მესმნეს ამბავნი უკვდავებისა სწორანი“...,

**შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი—[1863 წ.]**

130 ფ.; 34×21; ქალაქი: ტყავადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია თომა არხუმანასშილისაგან 1863 წელს (124r); დაუწერელია: 1r—2v, 7v, 124v—139v.

„ამა ამბის დასაწყისი პირველი. ამო და სასმენელად შვენიერი. სწავლისათვის მოზაირეთასა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხის-ტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“... 8r—123r.

შენიშვნა: პოემას წინ უძღვის: ა. „წინასიტყვაობა“ (3v—7v) და, ბ. ბოლოსიტყვაობა, ლექსად თქმული აკად. მარი ბროსეს მიერ (123v—124v); ხელნაწერი წარმოადგენს „ვეფხის-ტყაოსნის“ მეორე გამოცემის პირს.

ანდერძი (გადმწერისა): „დასრულდა ეს ვეფხის-ტყაოსანი, და აღიწერა კელითა თომა არხუმანას შვილისათა. ეს წიგნი დაბეჭდილი წიგნიდან გადაეწერე და, რომელმაც მაში ნაკლებობა ჰპოვოთ რაზე, ნუ მწყევით; გვედრებით, ყოველთა წამკითხველთა: თითო პირი შენდობა მიბრძანოთ; ან ასო ნაკლები იყოს ან ცუდი დაწერილი, მომიტვეთ ყოველთა. აღიწერა მარტის ი დღესა ჩუგაგ წელსა“ (124v).

**შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი—[XIX ს.]**

IV +152 ფ.; 31×20; ქალაქი: მუყაოს ყდა (შეკინძულია 1918 წელს); არასრული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც); მხედრული (სათაურები და სტროფის საწყისი სიტყვები სინგურიით); გადაწერილია XIX საუკუნის 20-იან წლებში (კვირიანიშანი—1802); დაუწერელია: 1r—IVv, 91r-v, 151r—152v.

„ხამს მიჯნური გონიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში, რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთმა, უში...“  
1r—150v.

წყდება:

„ვპოვე და ლექსად გარდავსტკვი, ამითა ვილაყბეთანი...“

შენიშვნა: პოემის ტექსტი მოკლე რედაქციისა და იმეორებს ვახტანგისეულ გამოცემას.

შენიშნა: „ს. სამთავისის ეკლესიის დიდმა დეკანოზმა (ასე უწოდებდნენ თურმე მას) ბესარიონ ილურიძემ გაატანა მხოთვად თავის ქალს ნინოს ეს ვეფხის-ტყაოსანი. ნინო იყო ჩემი დიდედა დედი-დგან, მიხვილ იოსების-ძე კანდელაკის მეუღლე. დიდედამ მე მაჩუქა დაგლეჯილ-დაფურცლული, რომელიც მე დაეაკერე და ავკინძე. არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი, 1918 წ.“ (7r).

**შოთა რუსთაველი: ვეფხის-ტყაოსანი — [XIX ს.]**

239 ფ; 21X30; ქალღმერთი; მუყაოს მოცილებული ყდა; დაშლილი; ნაკლული (შიგადაშიგ ამოხეულია ფურცლები); მხედროული (სხვადასხვა ხელი, სათურები და სტროფის საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია XIX საუკუნის დასაწყისში, ნაკლული ადგილები შევსებულია სალომე წვიმეტიალის მიერ 1853 წელს (გვ. 462). დაუწერელია: გვ. 66, 76, 82, 86, 94, 111, 140, 142, 146, 156, 168, 178, 184, 196, 224, 228, 232, 242, 266, 284, 342, 348, 356, 374, 382, 388, 392, 398, 401.

„ამა ანბისა დასაწყისი პირველი. ამო და სასმენელად მშვენიერი, სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელ და ნესტან-დარეჯანს ვეფხის-ტყაოსანობით უხმობენ.—

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“... .

გვ. 1—462.

შენიშვნა: ტექსტი გადაწერილია „ვეფხის-ტყაოსანის“ ვახტანგისეული გამოცემიდან. ბოლოში ერთის სალომე წვიმეტიალის ხელით მინაწერი: „განახლებულ იქნა წელსა ჩუნგს, იელისის ლ დღესა“ (გვ. 462), და მოკლე გალექსილი ანდერძი-ანბანთქება (გვ. 463—4). შემდეგ იწყება რუსთაველისეული შაირით:

„აწ დასრულდა ან დერძი ანბანთ-ქებითა მცირითა,  
 მკითხველო, თავს ნუ შეიწყენთ, ცრემლს ნუ მოიდგენთ ძალითა,  
 ნურც ამას მიძახებთ, უგვანი ლექსი შეგმზადე წბილითა,  
 და ვერცა ვარ კარგი რიტორი, ვერც მოშაირე ძირითა.

ვერც დავიქადებ ძირიფგან კვლუსტქესობა სვიანსა,  
 მაგრამ ცოტა რამ ლექსითა სიტყვასა ვაწყობ წყლიანსა,  
 გემუდარებით ყველასა: ჩემებრ სოფლისა მჩივანსა,  
 და უბრძანოთ მცირე შენდობა სალომე წვიმეტიანსა.

აწ მებრძანა გადაწერად ეს ანდერძი ჩემგან თქმული,  
 გადავწერე, მას მიუძღვენ, ვის მზედ საზავს ჩემი გული,  
 ღმერთმან ასრე მოახმაროს, არ დააჩნდეს გულსა წყლული,  
 და სიკვდილის ეამს დამიტროს, მოიხსენოს ჩემი სული.

მიჯნურსა გული რკინისა და ფერხნი ჰქონდეს ქვისანი,  
 თვალნი ქორულად მხედველნი და მუხლნი შევარდნისანი,  
 გონება აზრით შემტყობი მართ აგრე, ვითა მისანი,  
 და მაშინა შეგკვივარებენ ულამაზესნი მზისანი.“ გვ. 464—465.

ამას მოსდევს გრცელი ანდერძი-ანბანთქება, დაწერილი იმავე რუსთაველისეული შაირით:

„ან დერძს დავიწყებ კენესითა, ველარ მტყველებს ენანი,  
 ახლოს მამსგლია სიკვდილი, ყურსა ეზშობის სმენანი,  
 აწ რა ყოფილა საწუთრო, სოფლისა გამოჩენანი,  
 ადვილად დასთმოს სურვილსა, არს ძნიად დასათმენანი“ გვ. 465—473.

და მთავრდება:

„ჩი, მოკვდა ჭირნახული, ზშირად მოდით, ცრემლნო ცხელნო“.

მინაწერები: ა) „ეს წიგნი ვეფხის-ტყაოსანი ეკუთვნის კონია ბაქრადისანა“,

გვ. 462.

ბ) ილარიონ იაგორის-ძე ბაქრადის წერილი მიჯნურთან, გვ. 473—5.

გ) სხვა დანარჩენი მინაწერები იხ. გვ. 74, 77—8, 476—7.

## 38

### კ რ ე ბ უ ლ ი — [1860—1862 წწ.]

III+267.; 33×21; ქალღედი: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია ივანე იოსების-ძე ბროძელის მიერ 1860—1862 წლებში (გვ. 229, 298), დაუწერელია: Ir—IIIv, გვ. 230, 253—282, 299—334.

1. [შოთა რუსთაველი]: „ამბისა დასაწყისი პირველი, ჰამო და სასამელად შუშნიერი, ჰსწავლისათვის მოშიირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხვის-ტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ გვ. 1—299.

შენიშვნა: პოემის ტექსტი გრცელი რედაქციისაა: ჩართული აქვს რამდენიმე ტაგი, რომელიც ვახტანგის გამოცემაში არ მოიპოვება, და „ინდო-ბატელთა ამბის“ ნაწილი. ბოლოში ერთვის „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილითა ძნელთა ლექსთა“ (გვ. 231—241).

2. „წამება წმიდა გიორგისა: თვესა აპრილსა კდ-სა, წმიდისა და დიდებულისა და ძლევაშოსილისა და ახოვნისა დიდისა მოწამისა ქრისტესისა გიორგისი. პირველი საკითხავი წამება მისი.— რაჟამს იგი დაეპყრა კერპთ მსხურებასა ეშმაკისასა ყოველი სოფელი, იყო ბერძენთა ზედა მეფე, რომელსა სახელი ერქვა დეოკლიტიანე“... გვ. 283—297.

ანდერძი: (გადამწერისა): ა. „სრულ-იქმნა წიგნი ესე, დიდება დმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზისა დამბადსა, ჩყ-სა წელსა, აპრილის ზ-სა დღესა. კელითა კოლლესკის სეკრეტარის, აზნაურის ივანე იოსების-ძის ბროძელისათა. კელი მშრომელისა მიწდების, ზოლო შრომილი მისი შთების.“

წამკითხველნო ვეფხვის-ტყაოსნისა ამის, შენიშვნენ შრომისა ამა ჩემსა არა ღირსად ამისთვის, რომ დაბეჭდილიცა მრავალნი არიანო. მართალია, გარნა უწყოდეთ, რომ წიგნი ესე დაწყობილი იყო ჩემგან მაშინ, როდესაც ხსენება არსად იყო დაბეჭდილის ვეფხვის-ტყაოსნისა. ზოლო რადგანაც უმეტესი იყო დაწერილი და მცირედი მიკლდა, ამისთვისცა აღარა დაუტრევე ძველი შრომა ჩემი და აწმყოსა წელსა შევასრულე. ი. ბროძელი“ (გვ. 229).

ბ. „მოიხსენე, უფალო, და შეიწყალე მეოხებითა წმიდა გიორგისათა ახნაური ივანე ბროძელი სახლობითურთ და მოყვასითურთ და მისი ძეგლი იდ-სა მარტსა, ჩუაბ-სა წელსა სრულ იქმნა კელისა მისისაგან.“ (გვ. 278).  
მინაწერები მოიპოვება. ივანე ბროძელის შვილის მიერ მიწერილია: „მამა, ივანე, გარდაიცვალა 1874 წელსა, 22 იანვარსა, 12 საათს დღესა, გოსპიტალსა“ (IIr).

## 39

### ჩარდავრიშანი—[1874 წ.]

148 ფ.; 21×17,5; ქალაღი; სქელი მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია 1874 წელს ქ-თბილისში (გვ. 285); დაუწვრელია: გვ. 286—291.

„კარი პირველი. დასაწყისი და შესაქცევარი, რომელთაცა არა გსმენდეთ. ამა წიგნსა ეწოდება ჩარ-დავარი შიანი, ესე იგი ოთხი დავრიშის ანბავი არის.—იყო კელმწიფე კოსტანტინეპოლესა შინა, მო[რ]კმული, გამდიდრებული და ყოველს სახელს განთქმული. არა იყო გულისა მისისა შექირვება“... გვ. 1—285.

შენიშვნა: წინ უძღვის თავფურცელი: „დავრიშანი (ოთხი დავრიშის ანბავი)“.

ანდერძი (გადამწერისა): „როგორათაც ისინი თავ-თავიანთს საწადელს მიხედნენ და ეწივნენ, [მ]კითხველნო და მსმენელნო ამ წიგნისა, ისევე თქვენც მიხედებით თქვენს საწადელსა. 1874-სა წელსა, ქრისტიშ[ობის] 1-სა დღესა. ტფილისს.“ გვ. 285.

მინაწერები მოიპოვება 292—294 გვ.-ზე. საყურადღებოა ლექსი „ქვირივის სიმღერა“:

„ქვირივო, მიყვარს ლხენა მე,  
აღერსი და შტვენა მე.“

## 40

### ჩარდავრიშანი—[XIX ს.]

68 ფ.; 20,5×17,5; ქალაღი; უყდო; დაშლილი; არასრული (აკლია თავსა და ბოლოში); მხედრული (სათაურები სინგურით); გადაწერილია XIX საუკუნის დასაწყისში (ჰვირნიშანი—1819).

„...ასაც ეთაკილა ჩემი ასე გახდომა და თავისი მამის ოჯახის. და მცრობა კაცი შემომეყარა, კელი მომიკიდა და წამიყუნა. რა მიველ, ჩემი დაჲ ტირილით კარზე გამომეგება. რა ისე გამხდარი მნახა, დაიკივლა და გულს შემოეყარა, დიდხანს უსულო ვგდო. მეც ვტიროდი, მაგრამ სირცხვილით რას ვიტყოდი“... 1r — 68v.

წყდება „...მოვიდა ქაჯთ ჯარი და გამოიტანეს ზურმუხტის ტახტი ჩემთვის და მუმბარაქისათვის და იაგუნდის კუბო ქალისა-



თვის მოიტანეს. დაგვსხეს. სამის წლის სავალი სამს დღეს გაგვატარეს. ქალმან შეიტყო, რომ ქაჯებისათვის მიგვეყანდა, ტირილი, თავში ცემა, საბრალოთ მოთქმა: «რას მემართლებოდითო ჩემის მოტყუებით»...

## 41

### ჩარდავრიშინი—[1830 წ.]

114 ფ.; 21×17; ქალაღდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია გიორგი იაღლეზიძის მიერ 1830 წელს (გვ. 164).

„კარი ბახტიერ ჯელმწიფისა. ამბავი ესე არს ისტორია შესაქციევი და წიგნსა ამას ეწოდების ჩარდავრიშინი.—იყო ხელმწიფე კოსტანტინეპოლეს შინა, მორკმული, განმდიდრებული და ყოველსა ქვეყანასა განთქმული და სახელითაც დიდად ქებული. არა იყო გულსა შინა მისსა შეჭირვება...“ გვ. 1—221.

ანდერძი: „სრულ იქმნა ჩარდავრიშინი შეწეენითა ღვთისათა“ (გვ. 221).

შინაწერები: ა. 164 გვერდზე გადამწერს მიუწერია: „ეს გვერდი შემცდა და მეორეს გვერდზე გადამბტარვარ. აღწერილ არს ახნაურის გიორგი იაღლეზიძის ხელით წელსა ჩყლ-სა“.

ბ. 223 გვერდზე მიწერილია ლექსი „დავრიშინის“ შესახებ:

„მე წიგნი ვარ პირის-მზისა,  
ოთხ მწუხარე დავრიშისა,  
გაკვირება ბევრი ნახის;  
ხან ხმელეთის, ხანა ზღვისა;  
დაივლიდნენ გულკმუნვარნი,  
პოვნა უდით მიჯნურისა.  
მზებრ ბრწყინვალე ბევრი ნახეს  
ხემწიფის და ვეზირისა:  
ხან იპოვნეს, ხან დაკარგეს,  
ცეცხლად შამაედით ისა,  
მერმეთ ისევ ღირსი იქმნენ  
თავთავისის მურაზისა.“

## 42

### კრებული—[1809-1811 წწ.]

186 ფ.; 21,5×17; მოღურჯო ქალაღდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დაზიანებული (ჩარდავრიშინიდან ამოგლეჯილია სამი ფურცელი); მხედრული (ბარამგულანდამიანის სათაურები სინგურით); გადაწერილია არუთინ აბოვის მიერ 1809—1811 წლებში (97 v და 180 r), დაუწერელია: 180 v.



1. [ჩარდავრიშინი]. — იყო კელმწიფე კოსტანტინეპოლისა შიგა, მორკმული და გაგებიანი, არა იყო გულისა მისისა შეკირვენი... 1 r—97 v.

2. [ბარამ-გულანდამიანი]. — „ქვეყანასა ურუმეთისასა იყო კელმწიფე ქიშვარ, გაძრიელებული, მოვლენილი და სიმდიდრისაგან გალანებული. ღვთის მოწყალებისაგან არა ნივთი არა აკლდა რა“... 98 r—180 r.

ანდერძი (გადამწერისა): ა. „როგორც კელმწიფე და ოთხი დავრიშინი თავიანთ საწადს მიხედნენ, მკითხვენი და მსმენელნი, თქვენც თქვენს საწადსა და კაი ბედს მიხედით, ამინ. ქორონიკონს უფო. ამის ახლივ ვნახე, პირი ავიღე. თუ უმეტრად იყოს და ან სიტყვა ნაკლები, მე უბრალო ვარ. რაც ვწერა, ის გადმოვწერე. მკითხველნი, არამც ავი მითხრათ ან დამწყველოთ. რაც მინახავს, გულისყური დამიდევნია, წორეთ დამიწერიო. არუთინ აბოვე“ (97 v).

ბ. „კურთხეულ იყოს, ვინც ამისთანა თუ სხვა კარგი ანბავის წიგნები ნახოს და ის გადასწეროს და იმაზე იკირნახულოს, რომ ქვეყანაზე პირველი ანბავები არ ამოვარდეს. ვნახე ესა ბარამიანი და ამაგი დავდე და გადმოვწერე მე არუთინ აბოვემ. ავასრულე გიორგობის იე, ქორონიკონს უფო.“ (180 r).

მინაწერები მოეპოვება სომხურ ვნახე, 181r — 186v.

## 43

### კრებული—[XIX ს.]

110 ფ.; 21×17; ქალაღი; უყდო (შეკინძული); არასრული (აკლია თავსა და ბოლოში); მხედრული („სიბრძნე-სიცრუისა“-ს სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია სხვადასხვა ხელით XIX საუკუნის პირველ ნახევარში. (ჭვირნიშანი—1834).

1. [სულხან-საბა ორბელიანი: სიბრძნე-სიცრუისა]: „... მეფე ესე სახით გლახაკათათა. წარიყვანა და, რომელი სხუათა თვის წესი იყო, იგი მას უქმნა. რა შემოსა, ნახა დიდად საპატო იყო“... 1 r—67 v. („სიბრძნე სიცრუისა“, 1938, გვ. 4—152).

წყდება: „... უთხრა მარტვილმან: წმიდასა იმით ვცნობ, ვინცა ვინ უკან მისდევენ, მას ყური დაუგდევ. წელან ყველანი ასე ამბობდნენ: კარგი და ღირსი იყოვო და-უწყინარიო, ღმერთის მამებელიო, და ვიცი...“

2. [ჩარდავრიშინი]: „... სარმეზიანი და ოქროს არგნოსანი მომეწია, სალამი მომცა და მითხრა: ძმო, დაბრუნდი ჩვენის გულისთვინ, ერთი ჟამი ჩვენთან გაისვენე, ნურც ჩვენ დაგვადებ შე-

ნის სამსახურისაგან უნაწილოსა. დიად, შვესწუხდი და უთხარა  
იქნება, მეჩქარება, გზასა ჩემსა მივეჩქარებია. არ იქნა, არ მომეშენენ.  
სამი დღე იქ დამაგვიანდა“... 68 r—110 v.

წყდება: „... იმას მკვდარი ვეგონე, ჩამდვა ზანდუქში და  
წყალში ჩამაგდო. მეტის სიჩქარით ვერა გაიგო რა და არც ღმერთმა  
გამიშეტა. წყალში აღარ ჩავვარდი, ჰმელზე დავეცი...“

## 44

### ყარამანიანი—[XIX ს.]

115 ფ.; 34, X 21; მოღურჯო ქალაღდი; ტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული  
ყდა (მოცილებული); დახიანებული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც. რამ-  
დენიმე ფურცელი დახეულია); გადაწერილია XIX საუკუნის 20-30-იან წლებში  
(კვირნიშანი—1815).

„აწ აქ უშანგისა და რაიაზამის ამბავი მოიხსენეთ. კარი დ.—  
მას ჟამსა ოდენ უშანგმან ქეთან-შაა ხლმითა დაიმორჩილა, იმის  
უფროს ძმას რაიაზამს მოხსენდა, რომ ერანიდამ ერთი ტელმწიფე  
მოსულა, სახელად უშანგ ჰქვიანო...“ 1 r—119 v.

წყდება: „... ყარამანმა სამანისაკენ ესრეთის ვრისხვანის  
თვალით შეხედა, სამანს ასე ეგონა, ცა და ქვეყანა თავს დამეცაო.  
ყარამანმა სამან-ნარას მიმართა და ასეთი შესძახა ღვთის სახელი,  
რომ“...

## 45

### ყარამანიანი—[XIX ს.]

141 ფ.; 21, X 33; ქალაღდი; უყდო (დაშლილი); არასრული (აკლია თავში და  
შიგნითაც); მხედრული (ხოგან სინგურით); გადაწერილია არტემ სულთანოვის  
მიერ XIX საუკუნის 40-იან წლებში (დასაწყისი ფურცელი გადაწერილია სხვა  
ხელით); კვირნიშანი—1833; დაუწერელია: 29 r—v, 72 r—v, 99 r—v.

„აქა ჰინდოს მეორე ძმის ქეთან-შაის ამბავი. აქა დაიწყობის  
ამბავი ხოსროვ-შირისა და გული-ჩინისა, კარგი და მოსასმენელი.—  
იმ ჟამათ ყარამან და ყათრან და ბარამ-ჯიბილი და გარდან-ქეშანი  
რომ ინდნისტნის (!) ქვეყანიდამ და შაფალი-შასაგან მოსული ფერიე-  
ბით გულისტამ ირამში ქეივან დევის საომრათ მოსულიყვენ“...  
1—141.

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა და დასრულდა ეს ყარამანიანი-  
ნი თვით პატრონისა მიკიტანი ზესარიონის შვილის—არტემ სულ-  
თანოვის ხელითა და პატრონს შვილობაში და ბენდიერებაში მოხმარდეს  
საკითხავათ. და ძველათ ანბის საგონებლათ და ყრმათათვის სამო საკითხა-



ვათ. რომელმანც ეს შესაქცევარი აღმოიკითხოთ, კეთილად სენიეთ ამის აღმამწერი: მანამ ცოცხალი იყოს, ღღერძელობა უთნარით და, როცა მოკვდეს, ცზონება აღიარსეთ, რომელნიცა თქვენცა იყოთ წინაშე ღვთისასა. ამინ. დროულნო და ყრმანო, მტერნო და მოყვარენო, ამას გვედრებათ ამი[ს] აღმამწერი: ვინც რომ ეს ყარამანიანის წიგნი ითხოვოთ, შეგქეცი[თ] და ისიამოვნეთ და კიდევ პატრონს შევიდობით მიაბარეთ. ვინც რომ და[აკ]ლოთ და ამბიოთ, პირველათ ღმერთი რისხამდეს და მერმე ბეთენის (I) ღვთიშობელი და წმინდა გიორგი, ქაშვეთისა ღვთაება უცვალებელი, თელეთი, ბოლნისი, ფეთხანი, ვანქი, ჯიგრაშენი და, რაც წმინდანნი და საყდარნი არიან, გაუწყრეს იმათი მადლი, ამინ. და ვინც რომ ჩემზე ფასი გაიღო და ე[... ]რნე წიგნი მასწავლა, ღმერთმა სასუფეველი და[უ]მკვიდროს. დასრულდა ეს ყარამანიანის წიგნი დიდმარხოში, თებერვლი[ს] თერთმეტსა დღე[სა]. თვით პატრონს შევიდობაში და ვაჟების ბედნიერობაში მოხმარდეს. ამინ“ (141r—v).

46

ყარამანიანი—[XIX ს.]

139 ფ.; 35×21; ქალღდი; მუყაოს აგლეჯილი ყდა (დაშლილი); არასრული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც); მხედრული (ზოგან სათაურები სინგურით; გადაწერილია სხვადასხვა ხელით XIX საუკუნის შუა წლებში (კვირნიშნები: 1843 და 1848).

„ქარი მეხუთე. ყარამანიანი. ამბავი ყარამანისა, კულად იწყება ამბავი ყაპარისა, ადლან ჰანდილისა, ჩალაქ აიარისა, არყას სალიმისა, ჯანსუზ აიარისა, შემდგომად სულეიმანის ბალისა და ფარმანია ციხის ამბავი და ზღვის კოშკისა, დროსა ინდოეთის ჯელმწიფის რაიაზამისასა, რომელსაც ეწოდებოდა შამალ-შაჰა.—იმ ეამად, ოდეს ყარამანის შემწეობით უშანგ-შაჰამ ინდოეთი დაიპყრა და საბრძანებლად თვისად ჰყო...“ 1r—139r.

წყდება: „...გაიარა და ზორაბ-შაჰას კარავის კართან მივიდა. იქაც სხვა ყარაულნი იდგნენ. რა მათაც იხილეს, რომე ერთი ლამაზი ქალი მიადგათ, მაშინვე ჰკითხეს: ჰქვი, მნათობო, ვინა ხართ ანუ სად მიბრძანდებით...“

## ყარამანიანი—[1868 წ.]

XIV+291 ფ.; 36×22; ქალაღი; მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (ზოგან სათაურები სინგურით); გადაწერილია 1868 წელს იაგორ ტერ-ოჭანეზოვის მიერ კ. თბილისში; დაუწერელია: IVr—VIIv, XIIv—XIVr—v.

„ამბავი ყარამანიანი.—პირველ ჟამად სპარსეთ[ს]ა შინა იყო ტელმწიფე დიდი, რომელსაც საჯელად თახმურად ეწოდა“... გვ. 1—582.

შენიშვნა: თხზულებას წინ უძღვის: ა. თავების საძიებელი, ფ. Ir—IIIv.

ბ. გერმანულ-სომხური ლექციონარი ქართული ტრანსკრიპციით, VIIIr—XIIv.

ანდერძი (გადამწერისა): „წელსა წყაღ, კათავის კ-სა დღესა ესე დავთარი დავაბოლოვე ჯადმოწერისა მე დიაკვან იაგორ ტერ-ოჭანეზოვმა და ეკუთვნის შირაჯ იაგორ[ას]. ვინაც წაიკითხოთ, დღეგრძელობა მოახსენეთ ამის პატრონსა. და ვინიცობა არის თუ დიკარგოს, ვის ხელ-შინაც იყოს, უბოძოთ იაგორასა. ვინაც უღალატოს ამ დავთართასა, მოვა-ლე იყო[ს] ღმერთთან უკუნითი უკუნისამდენ, ამინ“ (გვ. 582).

მინაწერები მოეპოვება II ყდის v-ზე.

## ყარამანიანი—[XIX ს.]

163 ფ.; 20×15; ქალაღი (მოლურჯო და თეთრი); მუყაოს ყდა; არასრული (აკლია თავსა და ბოლოში); მხედრული (სათაურები სინგურით); გადაწერილია 1802 წლის შემდეგ (კვირინიანი—1802); დაახლოვებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხელნაწერი რუსტავირებულა (დაკაზმულია და ნაკლული ფურცლები შევსებულია).

„კარი მესამე. ყარამანიანი. აქა რაჟნდის ძმის სინდთა ტელმწიფის ქეთან-შაჰის მოსვლა უშანგის საბრძოლველად ურიცხვის ჯარით, ხოსროვ-შირისა და გულიჩინის ამბავი. ქეთან-შაჰისაგან ყარამიჯინისა და ოჰყალი ჯადოს მოყვანა მათის საბრძოლველათა.—იმ ჟამად ინდოეთი სამ საჯელმწიფოთ იყო განყოფილი, სამნი ძმანი ტელმწიფობდნენ“... 1r—163r.



წყდება: „...უშანგ გელმწიფე, ყარამან, სარვი ხურამან და სხვანი, ვინც მუნ დარჩნენ, მარადის ლხინსა და შესაქცევასა შინა იმყოფებოდნენ, და ღვთით მწუხარება აღარა ჰქონდათ რა და სიხარულსა და შვებასა შინა დროს ატარებდნენ. კარი მეხუთე...“

## 49

### კრებული—[XIX ს.]

53 ფ.; 32×21,5; ქალღიმი; მუყაოს ყდა (აგლეჯილი); არასრული; მხედრული; გადაწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში; დაწერილია: გვ. 98,103—106.

1. [შვიდვეზირიანი]: „თავი პირველი, რომელიც დაიწერა ჰრომეთ-კაისერის და შვიდთა ფილასოფოსთა და გემწიფის ძისა და დედინაცვლისა ყოველი გარდასავალი.—იყო და არა იყო [რა, იყო] ჰრომთ გემწიფე, სახელი მისი მულულუ კაისერი“.. გვ.1—97,

შენიშვნა: თხზულება წარმოადგენს შვიდვეზირიანის შემოკლებულ ვერსიას, რომელიც შემუშავებულ უნდა იყოს XIX საუკუნეში. ვეზირთა მაგიერ აქ ნახსენებია ფილოსოფოსები და მოყვანილია მათი სახელები: პანცილიე, ჩინთულიე, გათანე, მალაქიე, იოსებ, კლფოპე და იოვაკიმე. კეისერის სახელია ფანციანე, ხოლო მისი შვილის—დიოქტიანე. ამავე ვერსიის არასრული ხელნაწერი ინახება საქართველოს საბ. მუზეუმში, S 2586; შდრ. აგრეთვე, „თიმსარიანი“ (თეიმურაზ მეორის თხზულებათა კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939, გვ. 139—223).

2. [ომიანიანი]: „აქა სხვა ამბავი დასაწყისი ტარიელისა შვილის სარიდანის-ძის, ომიანისა და უცხო კაბუკისა ცხოვრება, [რომელიცა] მოაბამსა ამბავსა ვეფხის-ტყაოსანიასა.—აქა ანბისა დასაწყისი, რომელი მიერიდგან მიილოს სიტყვამან მოხსენებათ: დიდება შენთა, დიდება, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო.

ჩვენ უღირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო...“ გვ. 99—102  
წყდება: „ადამს შეუნდო მოცდომა, ჩვენცა შენი ვართ ყოველი, ეშმაკთ ნუ მოგვცემს—ესეა მართ ჩვენი მოსათხოველი...“

## კრებული—[1872—1890 წ.წ.]

97 ფ; 34×21; ქაღალდი; მუყაოს მოცილებული ყდა (დაშლილი); სრული; მხედრული; სხვადასვა ხელი, „ჩარდავრიშიანი“ გადაწერილია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1872 წელს (65r); სხვა დანარჩენი კი—შუცნობი პირის მიერ 1890 წელს (94 r). დაუწერელია: 65r—67r, 74r—75r, 86r, 91r, 95v—97v.

1. „ჩარდავრიშიანი. დაიწყების წიგნი ესე ამო და ტკბილი, რომელ[ს]ა ეწოდების ჩარდავრიშიანი და დავრიშთა ანბავი დიდი ხემწიფის კოსტანტინეპოლის დამპყრობელისა და ძრიელისა.—იყო ხემწიფე ერთი კოსტანტინეპოლსა შინა, მორკმული და გამდიდრებული, ყოველსა ქვეყანასა სახელგანთქმული“... 1r—65r.

2. [ამბავი ამირანისა და მარალასი]: „ძველი ისტორია.—იყო ერთი ჯელმწიფე, დიახ, დიდი ქონების ბატონი, უთვალავი ოქროსა და ვერცხლისა და თვალ-მარგალიტისა“... 67v—73v.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილი აქვს: „გათავდა ამბავი ამირანიანი“ (73v). შგადაშიგ ჩართულია 16 მარცვლოვანი სტროფები. მოთხრობილია ხელმწიფის შვილის ამირანისა და მარალას სიყვარულის ისტორია.

3. „ანბავი ბეჟანიანისა. აქ ამბავი დასაწყისი ბეჟან და მანიეავისა.—

თურანს ტახტი დევ არგა, ხორციელად ყველა სცნობდა,  
 დაემოყვრნენ თაეადები, ქაიხოსროს ყველა ჰყმობდა“...  
 75v—85v.

4. „დასაწყისი ვიქაკი აღსასხნელი, წმინდანთაგან თქმული“, 86v—90v.

5. „დასაწყისი სიზმრის აღსასხნელი წერილისა, თქმული დანიელ წინასწარმეტყველისაგან, მთვარის ანგარიშზე დაწყობილი,“ 91v—94r.

6. [პავლე თუმანიშვილის ლექსი: „ფული, ფული, ფულეზო“]:

„სულ ფული და სულ ფული, საითაც მივიხედე,  
 ვისაც კი რამე ვკითხე, ყველგან ფული, სულ ფული“...  
 95r—94r.

შენიშვნა: ამ ლექსს, რომელიც პოეტურად ძლიერ მდარება, ბოლოში მიწერილი აქვს: „პაველე თუმანიშვილი, წელსა 1863-სა იანვარის პირველსა“ (95r).

ანდერძი (გადამწერთა): ა. „ჯასრულდა წიგნი ესე ამო და ტკბილი, რომელსა ეწოდების ჩარდავრიშინი და დავრიშთა ანბავი, ამო სასმენელი, ნიკოლოზ ქაიხოსროს-ძე ჩაჩიკოვის ხელითა. ღმერთმან შეიდობაში მოახმაროს პატრონსა და ბედნიერებაში. წელსა 1872 და ქრისტიშობის 23 დღესა“ (65r).

ბ. „წელს 1890, აპრილის 18-სა დღესა. ეს წიგნი არის სირაჯ იაგორ ტერუნოვისა“ (94r).

## 51

### კრებული—[1864 წ.]

95 ფ.; 20×16,5; ქალღიმი; მუყაოს ყდა; დაშლილი; არასრული (აკლია ბოლოში); მხედრული; გადაწერილია 1864 წელს (გვ. 184); დაუწერელია: გვ. 12—20, 42 და 156.

1. [ასოთა სამღერო]: „დასაწყისი ასოთა სამღერისა, ნათქვამი დანიელ წინასწარმეტყველისაგან, ალექსანდრე მაკიდონელი-საგან და ეგნატესაგან, მართალი და ქეშმარიტი.—სრული თავი უმღეროდეს, ყოველი მისი საქმე კეთილათ მოუვიდეს“... გვ. 1—11.

წყდებდა: „... მარჯვენა ზევითი ტუჩის მხარე უმღეროდეს, ჩხუბი და ლაპარაკი მოუვიდეს, სხვათაგან გული დააკლდეს, ანუ შვილი ეყოლოს, იხაროს დიდი სიხარულითა“...

2. „აქა ანბავი ქალისა და ვაჟისა. დიდი ბრძოლანი იყვნენ.—იყო ერთი კაცი, დიახ, მდიდარი და ქონდა მოხელობა დიდის ქალაქისა“... გვ. 21—41.

3. [მირიანი]: „აქა ანბავი დასაწყისი მაშრიყის ხემწიფისა.—იყო ხემწიფე ხოსროვ-შაჰი ჩინეთში მდგომარე. იმისთანა ძრიელი და მაღალი ხელმწიფე არა იყო...“ გვ. 43—155.

4. [ზღაპარი ექიმისა და ავადმყოფისა].—„ერთი სახელოვანი ექიმი (რომელიც) ცხოვრობდა ვენგრიის სატახტო ქალაქში“... გვ. 159—184.

შენიშვნა: ზღაპარს ბოლოში მიწერილი აქვს: „ნათარგმნი არის ვენგრიულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად. შეთხზული აიბლოელსა (?) 1864-ს წელსა“ (გვ. 184).

5. [გიორგი ერისთავი]: „თანამოგზაური,—გამომეცხადა, მე პირველ მახსოვს, იმ ქამსა ხეს ქვეშ ვიწექ, კმაყოფილი განვისვენებდი“... გვ. 185—190.



## ისტორია საპყარან ამარამზასი და ბაბამარისა—[XIX ს.]

285 ფ.; 34X21; ქალაღდი; უყდო (შეკინძული); არასრული (აკლია ბოლოში და შიგნით); მხედრული; გადაწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

„ისტორია ანუ მოთხრობა საპყარან ამარამზასი და ბაბამარისა. პირველი [ნაწილის] დასაწყისი.—მეისტორიანნი ასე მოუთხრობენ, რომელ ბაღდადსა ქალაქში ერთი ვარსკვლავთმრიცხველი კაცი იყოვო, დიდად მეცნიერი და მდიდარი, სახელათ ჯამირმა ერქვა“... გვ.1—570.

წყდება: „...აბულბათ ამბობდა, რომ ამ გზაზედ ერთი კაცი მოღდის, ერთი აკიდებული ვირი წინ მიუძღვის, ერთი მხრიდან შენ მოექცე და მეორე მხრიდამ მეო. ეხლა იმ მეორე ამხანაგის მაგიერ იძახთა: არა ორთავ ერთათ შეგუტიოთო. ბაბამ რომ ორი კაცის ხმა გაიგონა“...

შენიშვნა: თხზულება შესდგება ორი ნაწილისაგან, ნათარგმნია სპარსულიდან შამშადინის მოურავის სოლომონ თარხნიშვილის მიერ (А. хаханов, Очерки, III, 230, და ტრ. რუხაძის—„ქართული ეპოსი «გარდამავალი ხანის» ლიტერატურაში“, 1939, გვ. 217).

## კრებული—[XIX ს.]

104 ფ.; 17,5X22; ქალაღდი; ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით); სრული; გადაწერილია XIX საუკუნის დასაწყისში (ჭვირნიშანი—1834); დაუწერელია: გვ. 203—210.

1. „[ფირმალიანი]. კარი პირველი. ამბავი დიფნისის ქალაქისა. მორქმა დიდებითა, ცხოვრება და მოქალაქობა ჯელმწიფისა ფირმალისა და მისის შეილის აბულაყისათვის.—იყო დიფნის ქალაქში სიმდიდრე მორქმული და მოვლენილი ასეთი, რომ ქუყყანა მისის განძითა და ქონებითა რჩებოდა და ყოველი ჯელმწიფე მით მდიდრდებოდა...“ გვ. 1—105.

2. „[ხალუმჯანიანი]. კარი პირველი და დასაბამი ჯელმწიფისა დიდისა და ამაღლებულისა სახელკეთილისა გულაზარისა და ძისა მისისა ახოვანისა ხალუმჯანისა.—ესე დიდებული

გელმწიფე გულაზარ ფლობდა და გელმწიფობდა განგებითა კეთილნი  
თა სრულიად ერანსა და აღრიბეფანსა...“ გვ. 106—202.

წყდება: „...რა ვეზირის შვილმან ეგრე უთხრა, გელმწიფის  
შვილსაც მოუწონა მისგან ეგეთი თათბირი“.

შენიშვნა: „ფირმალიანის“ მთარგმნელია ფეშანგი. ტექსტს ბოლოში  
ერთეის კორნილიოს ჩაჩიკაშვილის ანდერძი: „გასრულდა დიფნის ქალაქის  
ანბავი კელითა ჩაჩიკაშვილის ნიკოლოზის-ძის კორნილიოს-  
საგან აგვისტოს ივ, ქორნიკონს უოა“. (გვ. 106). უნდა ვიფიქროთ რომ  
აღნიშნული ზელნაწერი კრებული გადაწერილია ჩიჩიკაშვილისეული ნუს-  
ხიდან (შდრ.:S 1145).

„ფირმალიანი“ გამოცემულია პროფ. ა. ხაზანაშვილის მიერ სათაუ-  
რით „ანბავი დიფნის ქალაქისა“ (მოამბე, 1904, № 4, 1—58).

## 54

### სირინოზიანი—[1858 წ.]

118 ფ.; 34×21; ქალაღდი; ტყავგადკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრუ-  
ლი; გადაწერილია 1858 წელს ავთანდილ ბეგთაბეგოვის მიერ (გვ. 236).

„პირველი კარი, მაშრიყის გელმწიფისა არდაფისა და ძისა  
მისისა ამბავი, სასმენლად შესაქცევი.—იყო გელმწიფე ქვეყანასა  
მაშრიყისასა, რომელსაც ეწოდებოდა სახელად არდაფ“... გვ. 1—236.

შენიშვნა: თხზულება შესდგება ორი კარისაგან.

ანდერძი (გადამწერისა): „თვისსა მორჩილებასა შინა დასრულდა  
კარი მეორე სირინოზისა და მაროზისა. მსმენელნო და მკითხვე-  
ლნო, თქვენცა დაუსრულებელ იყვენით ქვეყანასა ზედა ბედნიერებითა.  
დაიწერა ჩუნც წელსა, თებერვლის შვიდსა დღესა კელითა თავადის.  
ავთანდილ ბეგთაბეგოვისათა“ (გვ. 286).

## 55

### სირინოზიანი—[XIX ს.]

154 ფ.; 34×21; ქალაღდი; მუყაოს მოციღებული ყდა; დაშლილი; არასრუ-  
ლი (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც); მხედრული; გადაწერილია XIX საუ-  
კუნის მეორე ნახევარში, 1870 წელზე ადრე.

„...მარამ ჯადოს სული ამოხდა, მისწურვოდა სირინოზის  
დაშორებით და იმის სიყვარულით და ამას იტყოდა გულსა შინა:  
აახლა დრო არის. აქედამ რომ მივალ, ქორწინებას გარდავიხდი  
და მასთან დავტკბებიო“... 1r—154v.

წყდება; „...მაშინ მარიხმან მოახსენა: ჰო, მამაო, მე შემიქირს იარაღთა მათ მოხმარება, ვინაითგან ბრძოლა მათი და, უკეთუ მე ძლეულ ვიქ...“

## 56

### სულხან-საბა ორბელიანი: სიბრძნე-სიცრუისა—[1826 წ.]

144 ფ.; 17,5×21; ქალაღდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავნაკლული; მხედრული; გადაწერილია დეკანოზ რაქდენ ქაიხოსროს-ძე ჯაფარიძისაგან 1826 წელს ქ. პეტერბურგში; დაუწერელია: 1r—v, 40r, 130v და 144r—v.

„სიბრძნე-სიცრუის წიგნია.—...წესი იყო, იგი იმას უქმნა, რა შემოსა, ნახა დიდად საპატო იყო, კითხა სადაურობა და ვინაობა და ყოველივე ანბობინა“... 2r—142v.

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა მალხენელი და მარადის განმადლებინებელი სიბრძნე-სიცრუისა ხელითა თავადის ჯაფარიძის ქაიხოსროს-ძე, ონოფრეს ძის ძე, რაქდენ დეკანოზისათა, სამეფოსა ქალაქსა საწყო-პეტერბურლსა, წელსა ჩუკვ, სექტემბერს კვ. დედანიც საკირო წასაკითხავი იყო, ფთის კალამსაც ვერ ვხმარობდი. შენდობას ვითხოვ, ვინც წაიკითხო, შეცდომა ნახო, დიალ, აზრის და ტყუის გამომაცხადებელი და მოსახმარისი წიგნი ესე, ძმანო და მამანო, ას ოცი სხვადასხვა კითხვა-მიგება არაკის მეფის, ლეონის, რუქასო, ვეზირისა“ (134r).

## 57

### სულხან-საბა ორბელიანი: ქართული ლექსიკონი—[1839 წ.]

177 ფ.; 21×35; ქალაღდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; სრული; მხედრული (სიტყვის საწყისი ასოები სინგურით); გადაწერილია ნიკოლოზ სვიმონის-ძე წერეთლისაგან 1839 წელს. დაუწერელია: 1r—v, 2v—4v.

„სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი.—ანი არს პირველი ასო და ვმოანი“... 8r—168v.

შენიშვნა: თავში ვრთვის: ა) „შთამომავლობანი ადამ პირუშლისა მავისა, ვიდრე იესო ქრისტეს შობამდის.—ღმერთმან შექმნა ადამ მიწისაგან“... და წყდება: „...იოსებისა თვით მაცხოვარი იესო ქრისტე“... 2r.

ბ) ქართული ანბანის შესასწავლი სახელმძღვანელო, რომელიც წინ უძღვის „ქართული ლექსიკონის“ რაფიელ ვრისთავისეულ გამოცემას (გვ. VII—XXIV), 5r—8r.

ბოლოში ერთგის: ა) საბას შესახებ ბიოგრაფიული ცნობა-ანდერძი: „ამ წიგნისა მოღვაწებელსა სულხან-საბა ორბელიანსა“... 168 r.

ბ) [ლექსი]: „თქმული თვით საბასი.—ამ ლექსიკონის რიგებში თუ ბრძნეთა დამიწუნოთა“... 168v.

გ) [ლექსი] „საბა-სულხან ორბელის-ძე, სიბრძნით აღკდა ორბების-ზე“, იქვე.

დ) [ლექსი]: „თქმული ქართულთა მეფისა, მესამე ვახტანგ ლეონისძისა.—რადგან დაშურა ასე საბა, ქება მმართვეს აწცა მეცა“... იქვე.

ე) [ლექსი] „თქმული სახლთხუცესის დიმიტრი ორბელიანისა.—სიბრძნის ტრფიალთ დამზირონ, რასა სწერს სულხან-საბანი“... 168r—169r.

ვ) „რიცხვი ჩინელთა, რომელ ათორმეტთა წელიწადთა ათორმეტთა პირუტყვთა სახელსა უწოდენ და თუთოს წელს თუთოს აუფლებენ, რომელთა სახელები ესე არს“... 169r.

ზ) „სახელნი თევთანია“ [ელლინთა და ლათინთა, ქართულთა, ქართული გლეხთა, ებრაელთა, მაკედონელთა, არაბთა, თათრული, ეგვიპტური, ინდოური, სომხური, არაბული], 169r-v.

თ) „მოხელენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელიმე არდარა უწოდენ და დავიწყებოეს და სხუა თურქთა ენათგან მისდა ნაცულად“... 170v—171r.

თ) „იესოს ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა სამეოცდათორმეტ მოწაფეთა სახელები და ვინ იყუნენ და სად ეპისკოპოს იქმნენ“... 171v—172v.

ი) [კვლთა და ამონაწერები ბიბლიიდან], 172v—175r.

კ) „ქართნის თვლების სახელი“... 175r.

ლ) „შემსგავსებული სახენი“... იქვე.

მ) [ერთსტოფიანი ლექსი]: „კჳონდიდელი როდინდელი, ჭარონისებრ ძველი მღვდელი“... იქვე.

ნ) [ლექსი]: „ნებროთიანი თარგამოს ქართლს იუდა პირველ ძეობით“... იქვე.

ა) [გაბაასება ნიბლიასა და ტურუასი]. „თქმული გოდერძის [ფირალიშვილის] მიერ.—

აბა, ჩემო ტურუავ, კით ვალობა მოიწყე,

ნიბლიას გაბრიყუება ეშმაკობით რად იწყე?...“ 275v—176r.

ო) [ერთ სტროფიანი ლექსი]: „დიპტის მისტიკოს, ზიგის ტიტინე, ამრჩობლე, მოდი, რა იტიტინე“... 176r.

ანდერძი (გადამწერისა): „თხოვნისა თანავე სატრფოასა და საკუთრისა დისა ჩემისა, კნიაღინია ვახვახოვისა, ნინა სვიმონის ასულისათა, მყისევე შეუდექ გარდაწერასა ამა ლექსიკონისასა, რომელ არს სიტყვი-სკონი, თავადმან ნიკოლოზ სვიმონის-ძე წერეთელმან. ხოლო ვითხოვ აღმომკითხულთაგან: უკუეთუ ჰპოვოთ შეცდომა და, არა საეჭოდ ვხედი მრავალსა, ნუ მსწყვეთ, ვინაა თვინე პირველგზის იყო ესე ვითარი შრომა ჩემ მიერი. ხოლო სრულ იქმნა 1839-სა წელსა, აგვისტოს 14 დღესა. პრაპორჩიკი თავადი ნიკოლოზ წერეთელი“... 176v.

მინაწერები გადაწერის ხელით: ა) „ლექსიკონი ეს დავიწვე გარდა საწერად ჩულო-ს წელსა, მარტის იე-ს დღესა თავადმან ნიკოლოზ სვიციანი-ს ძემან წერეთელმან და მივიღე ჩინი პრაპორჩიკობისა ამავე წელს მარტის 25-ს, დღესა ხუთშაბათსა პრიკაზითა. თავადი ნიკოლოზ წერეთელი“... 1r.

ბ) „მამა ჩუენი თავადი სვიმონ გიორგის-ძე წერეთელი მიიკუალა ჩუმა-ს, იანვრის 10-ს, რომელმან იცხოვრა დაბადებიდან სამოცდა ექვსი წელი და სამოცდა ცამეტი დღე“... 176v.

გ) „ალექსანდრე ზაქარიას-ძე თავადი ვახუზოვი დაიბადა ჩუმა-ს წელსა, ოქტომბრის 14-ს დღესა. ზაქარია რევაზის-ძე შტაბს-კაპიტანი თავადი ვახუზოვი გარდაიცვალა ჩუმა-ს წელსა, თებერვლის 10-ს დღესა, იცოცხლა ოცდათვრამეტი წელი. ნინა სიმეონ წერეთლის ასული, კნიალი-ნია შტაბს-კაპიტნის ამა ზაქარია ვახუზოვისა, გარდაიცვალა ჩუმა-ს წელსა, აპრილის 10-ს დღესა“. 176v.

## 58

### სულხან-საბა ორბელიანი: ქართული ლექსიკონი—[XVIII ს.]

214 ფ.; 20×30; ქალღიმი; უყდო; დაზიანებული (თავდაკლული და ზოგიერთი ფურცელი შიგადაშიგ ამოხეული); მხედრული; [XVIII ს.]

„და ას წავლა: სწავლა მისცა“... 2r—213v.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის საბას შესახებ ბიოგრაფიული ცნობა: „ამ წიგნის მოღვაწესა სულხან-საბა ორბელიანსა“ და სხვ... (შდრ.: ს. ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, 1928, გვ. 277—278), 214r.

## 59

### ქართულ-რუსული ლექსიკონი—[XIX ს.]

191 ფ.; 17×21; ქალღიმი; მუყაოს ყდა (II ყდა მოცილებული); ბოლოდაკლული; მხედრული; გადაწერილია XIX საუკ. პირველ ნახევარში (კვირნიშანი—1838 წ.).

„ა.—აბარგე—Собири в путь к'езду“... 1r—191v.

წყდება: „...ხბოს ხორცი—Телятика“...

## 60

### ოხე გაბაშვილი: თავგადასავალი, წერილები—[XIX ს.]

10 ფ.; სხვადასხვა ზომა; ქალღიმი; უყდო; დაზილილი; ნაკლული; მხედრული („თავგადასავალი“ ნუსხურით); ავტოგრაფი; [XIX ს.]

1.[თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი].—...„მხოლოდ დატევებული მასვე სენსა და შელონებული მხურვალეებითა ძლით განვერე მომსრველსა ამას სენსა კაცთმოყვარებითა ღმრთისათა“... 1 ფ.

მთავრდება: „აწ რამე ვყო, არა უწყი მარტომან უცხოეთსა ამას ნათესავსა, უცხო მან გარნა მკადრებელმან და მოხოველსა ყოველთა აღმომკითხველთა შენდობისამან.“

განსრულდა, #, ყოვლად უბადრუკო და ყოვლითა მანკიერებითა აღსავსეო... გვ. 2.

2. წერილი ანასტასია გაბაშვილისადმი (1ც., 1831 წ.), 1 ფ.

3. წერილები იმერეთის დედოფალ ანასადმი (3ც., 1835., ორი უთარილო), 4 ფ.

4. წერილი პოდპოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლისადმი (1ც., უთარილო), 2 ფ.

5. წერილი თავად დავით წულუკიძისადმი (1ც., უთარილო), 1 ფ.

6. კონვერტი წარწერით: „მის ბრწყინვალებას, გაბაონის ასულს ანასტასიას უმდაბლესად. ბელელოროთის მონასტრით. ლოგსიანთ ხეგს“.

## 61

### ვახტანგ VI: სამართლის წიგნი—[1820 წ.]

69 ფ.; 21×17; ქალაღი; ტყავგადაკრული ზის ყდა; სრული; მხედრული (სათაურები სინურით, აბზაცის საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია 1820 წელს დიმიტრი ოქროაშვილის მიერ კ. გორში; დაუწერელია: 1r—v, 24r—v, 29v, 33r—v, 41v, 43v, 62r—v, 69r—v.

„თქმული და ნალუაწი და ნასიბრძნი ვახტანგისა, დავით[ი]ან ბაგრატიონისა, ჟამსა ბატონიშვილის უფლისწულობისა თვისისასა. შესავალი პირუწლი. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგის ბრძანებული. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა, დაამა არსისა მკებელი, არათუ ღირსად, არამედ შეძლებისაებრ ჩემისა მკებელი და მმონებელი.—უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეველნი ჯელითა მარგალიტთა შინა...“ 2r—61v.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის „სარჩევი წიგნისა ამის სასამართლოასა ანბანზედ გამართული“ (63r—68v).

ანდერძი (გადანწერისა): „ალიწერა კელითა მღუდლის დიმიტრი ოქროაშვილისათა ნოემბრის კ-სა დღესა, ჩუკ-სა წელსა, გორის ქალაქსა შინა“ (68v).

მინაწერები მოეპოვება. 1r, 69r.

**ვახტანგ VI: სამართლის წიგნი—[1853 წ.]**

99 ფ.; 17×11; ქალღმერთი; ტყავგადაკრული ხის ყდა; არასრული (აკლია შესავალი); მხედრული (სათაურები და საწყისი სიტყვები სინგურით); გადაწერილია გრიგოლ მიქელაძის მიერ 1853 წელს საირმის უდაბნოში; დაუწერელია: გვ. 182 და 198.

**წიგნი სასამართლო ვახტანგ მეფისა.**—ჯერ ეს გადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და ყოველს სამართალშიდ მჯდომს კაცსა: ეს იცოდეთ, დამარხვით გონებაშიდ გქონდესთ... გვ. 1—181.

**შენიშვნა:** ბოლოში ერთვის „საძიებელი წიგნისა ამის სასამ[არ]თლოისა,“ გვ. 183—197.

**ანდერძი:** „ალიწერა წიგნი ესე სამართლისა კელითა მღვდელმონაზუნის გრიგოლ მიქელაძის მიერ საირმის უდაბნოს შინა. ნაკლულევანება თუ რამე იხილოთ, ნუ მწყევთ, ფრიად მოხუცებულმან ესწერე, ვიდრე სამეოცდა ათოთმეტის წლისამან, ცხოვნებას მიბრძანებდეთ. წელსა ჩუნგ-სა, ივნისის ია-სა“ (გვ. 181).

**ვახტანგ VI: სამართლის წიგნი—[1810 წ.]**

II+73 ფ.; 21×16,5; ქალღმერთი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; სრული; მხედრული (სათაური სინგურით და საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია 1810 წ. (74r); გვირნიშანი—1808; დაუწერელია: Ir,—IIV, 73r—v.

„მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა და ამა არსისა მქებნი, არა თუ ღირსად დ<sup>ე</sup> შეძლებისა ჩემისამებრ მქებელი და მმონებელი. — უღებად მქონე მპოვნელი ვიქმენ, ვითარცა მეფენი...“ 1r—66v.

**შენიშვნა:** თხზულებას ბოლოში ერთვის: კანონთა საძიებელი (67r—72v).

**ანდერძი** (გადამწერისა): „ეს სასამართლო წიგნია. წელსა ჩუი, აპრილის 8. მე ფრიად ცოდვილმან ხუცესმან აღეწერე საქართველოს სასამართლოს წიგნი და შევზღვენ დეკანოზ [ხაქარია] მამაცას-ვილსა და მივიღე ღვაწლისა და შრომისა ჩემისა შესახვედრი კმაყოფილება. დმერთმან ანმაროს“. (74r).

**შინაწერები:** „ეს სამართლის წიგნი მამაცაშვილი დეკანოზისა ხაქარიასი არის...“ (1r). იწ. აგრეთვე სხვა შინაწერები: ფ. Ir—IIv.



**ვახტანგ VI: სამართლის წიგნი—[XIX ს.]**

41 ფ.; 16,5×20,5; ქალღი: უყდო; დაშლილი; თავდაბოლონაკლული; მხედრული; [XIX საუკ.] კვირნიშანი—1808 წელი. დაუწერელია: 41r—v.

„...ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ. ხოლო ესეცა ჰსცანთ, იგულეთ და იგულისმოდგინეთ და, რომელი გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით ჰსჯიდეთ და სამართალსა და მართალსა იქმოდეთ“... 1r—36v.

წყდებთ: „...ცოლისათჳს იმ კაცმა მართებული გოგო მისცეს და საუბატოდ გაწბილებისათჳს—მოახლის“...

შენიშვნა: ბოლოში ერთვის „პინაქსი წიგნისა ამის“, 37r—40v.

## 65

**ვახუშტი ბატონიშვილი: საქართველოს ცხოვრება და გეოგრაფია (ნაწყვეტები)—[1829 წ.]**

116 ფ.; 19×31; ქალღი: ტყავადაკრული მუყაოს ყდა; თავდაბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); გადაწერილია იოსებ გრიგოლისძე ჯაფარიძის მიერ 1829 წელს პეტერბურგში (გვ. 169); დაუწერელია: გვ. 23—24, 194—198;

1. „ტომობა და ჰშთამომავლობა ქართულთა, ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.—აწ ზნეთათვის ვიწყოთ ძველიდამ ახლადმდე საქართველოდსათა ზნეთა და ჩუქულებათა და წესთა მათთა...“ გვ. 1—22.

მთავრდებთ: „... ხოლო წალმართი უწყის ღმერთმან და, ვითარცა ჰნებაეს, იყავნ ეგრეთ“.

2. „აღწერა ეგრისის ქუწყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა.—ქუწყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“... გვ. 25—64.

მთავრდებთ: „...გარნა თუ აქუსთ ზოგთა ენანი სხვანი საკუთარნი თვისნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქვს, თვინიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“.

3. „ცხოვრება ეგროსისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა.—ხოლო ძე თარგამოსისა ეგროს რა მოვიდა წილხდომილსა თუსსა ძმათა შორის ქუცყანასა ამას თუსსა, ამან ეგროს ჰპოვა აღდილი ზღუის კიდის აღმოსავლით მთასა შინა“... გვ. 65—152.

4. „ქორონიკონები ჩუენ მიერ პოვნილნი წიგნებთა“... გვ. 153—186.

5. [წელი და რიცხვი ქართლისა და იმერეთისა მეფეთა], გვ. 187—190.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის: 1. გადამწერის, იოსებ ჯაფარიძის, ბოლოსიტყვაობა „მკითხველთადმი“:

„ვითხოვ შენდობასა თქუენგან, კეთილნო მზილველნო, რათა დასაწყისი წიგნისა ამის თუმცა არს ესე: «ტომობა და შთამომავლობა ქართველთა», მაგრამ მყოფემან რუსეთსა შინა სანკტ-პეტერბურდს სხვადასხვა ვითარებისა გამო ვერა ვიპოვე ეამი ოდენ, რათა სრულ მეყოს წიგნი ესე ქართლის ცხოვრება და შემეძინოს მით ერთისა ნაბრჭკილისა (!) ოდენ სარგებელი ქუცყნის კაცისათჳს ჩემისა. არამედ მაქუს პატრივი აღწერად აქა პინაქსისა, რომლითაცა იხილავთ, თუ რაოდენ იყო წიგნსა მას შინა და ანუ არს აქა აღწერილი. იოსებ ჯაფარიძე“, გვ. 191.

2. „პინაქსი წიგნისა მის“ [რომლიდანაც გადმოიწერა ეს წიგნი], გვ. 191—192.

3. „პინაქსი წიგნისა ამის“, 192.

4. [რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი, დადებული 1783 წელს]. გვ. 199—232.

ანდერძი (გადამწერისა): „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა, ყოვლისა კეთილისასა. სრულ იქმნა აგვისტოს 6%, ქენს უფე, კელითა ყოვლად უნდობასა და ცოდვილისა აღექსისძის დეკანოზის სოლომონის მიერ მზილველთადმი შენდობის მოქენე. ხოლო იქიდან, ესე იგი ზემორე ნეტარ-ხსენებულის დეკანოზის სოლომონის მიერ წერილიდან გადმოვსწერე იოსებ გრიგოლისძე ჯაფარიძემ ქრისტეს შობას აქეთ ჩუკთ-სა წელსა, იანვრის ე-სა დღესა სანკტ-პეტერბურდს“. გვ. 193.

## 66

რად არს თანამდებობანი კაცისა და მოქალაქისანი—[1807—1816 წ.წ.]

76 ფ.; 21,5×16,5; მოღურჯო ქალაღი; მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია 1807—1816 წლებში (კვირნიშანი—1807 და შინაწერი I-v ფურცელზე); დაუწერელია: Ir—v, IIv, Vr—v, VIIv—VIIIv, გვ. 149—158.

„შეყუანილება. ზოგადისა კეთილმდგომოობისათჳს.—1. ყოველი კაცი მდგომ არს თავისა თუსისათჳს კეთილმდგომაროობისა“... გვ. 1—148.



შენიშვნა: თხზულება თარგმნილია რუსულიდან ვასილ მათეს-ჭილაძის მიერ 1801—1807 წლებში, როდესაც იგი იოანე ბატონიშვილს ახლდა. თარგმანს წინ უძღვის:

ა. თავფურცელი: „რ ა ა რ ნ თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა ნ ი კ ა ც ი ს ა და მ ო ქ ა ლ ა ქ ი ს ა ნ ი. წიგნი აღმოკითხულად დაწესებული ზოგადთა სამოქალაქო შკოლათა შინა რუსეთის იმპერიისათა, განცემული უმაღლესითა ბრძანებითა მფლობელისა იმპერატრიცა ეკატერინა მეორისათა, სანკტპეტერბურგსა შინა. 1788 წელსა“, (ფ. II).

ბ. წინასიტყვაობა (მთარგმნელისა): „ყოველსა შეილსა მამულისასა თანა-აძს, რათა ჰსჭურეტდეს ყოვლად სატრფიალოთა შედრგინებათა მათ მომავალისა დროასათა, რომელთაცა ძალ-უძსთ წარმოებაჲ კანონიერისა განათლებისაგან კაცთა გონებისა, და აქუნდეს დადებულ თჳს ზედა შეკრულებეჲ, ვითარცა ვალი ბუნებითი, რათა დლითი-დღე შეძლებისამებრ თჳსისა უმეტეს განამრჩობლებდეს და აღაორძინებდეს თჳს შორის გულს-მოადგინებითსა შეცადინობასა ხმევად ძალთა და შემძლებელობათა გონებისა თჳსისათა, სასარგებლოდ საზოგადოობისა და თანამემამულეთა თჳსთა. და ეგრეთ მართლითა განსჯითა მპოენელი სიბრძნისა და მეცნიერებისა აღსპობდეს სიბნელესა უმეცრებათა მათთასა, რათამცა შემდეგად იგინიცა, მჭურეტნი ეგვეითარისა ფრიად სასარგებლოესა მაგალითისა მის, ჟამითი ჟამად უმეტეს წარმატებულნი მას შინა მოუპოვებდენ საზოგადოობასა ახალთა და სხუადასხუათა სწავლათა და კელოვნებათა, არათუ მხოლოდ სასარგებლოთა, არამედ საჭიროთაცა მიწდომად უმაღლესისა წარისხისადმი სრულებათასა, და მათ მიერ შესძინებდენ თავსა თჳსსა ბედნიერებასა და და კეთილდღეობასა, რომელთა შინა მდგომარეობს ყოველი სარგებლობაჲ კაცისა და მოქალაქისა, ვინაჲთგან გარდა ამისა საცნაურ არს ყოველთადმი და თუთ გამოცდილებითცა ცნობილ, ვითარმედ: ვინცა რაოდენ აღმატების სწავლითა და განათლებითა, მით უმეტეს განუმრავლდების მას შინა-განი იგი კმაყოფაჲ და წინააღმდეგ ამისა, ვისაცა არა აუტს განათლებაჲ და ჯგეროვანი გულისკმის-ყოფაჲ გავითარებული, მას არა ძალ-უძს მართუა და წინაძლომაჲ არა თუ სხუათა, არამედ არცაღა ოდენ თავისა თჳსისა. მაშასადამე, ნამდვილ საჭირო არს ყოველისა კაცისათჳს განათლებეჲა.

ამისათჳს შეცა უკანასკნელ ესევეითარითა მგრძნობელობითა და სწავლისა ტრფიალებითა აღტყინებულ კმნილი აღძრულ-ვიკმენ გარდამოღებად რუსულით კართულსა ენასა ზედა თქუენ ახალთა სწავლისა შინათა ყრმათათჳს წიგნისა ამისა, რომელსა შინა კეთილ-კარგითა გარდამოიცივიან, თუ რაჲ არნ თანამდებობანი კაცისა და მოქალაქისანი და შემდგომი. და რომელსაცა შინა ძალ-გიძსთ თქუენ პოვნაჲ უძვირფასესთა კანონთა კაცობრივისა ბუნებისაგან წარმომდგართა და ჭეშმარიტებასა და ქველის-მოქმედებასა ზედა დაფუძნებულთა და მტიცედ დამტიციებულთა სამარაოდღეოჲთა გამოცდილებითა. ვიტყვი უკუჲ კანონთა მათ, რომელთაცა ნამდვილ ადვილადრე ძალ-უძსთ განათლება, განბრძნობა, სრულყოფა და უკანასკნელ ბედნიერყოფაცა კაცისა, მაშასადამე ყოველსა კაცსა თანა-აძს არათუ მხოლოდ შედგომად მათ, არამედ მოქცევაჲცამებრ მათთა.

და ესრეთ მიიღეთ უკუჲ მცირედა შრომა ესე ჩემი, სატრფიალონო და საწადრო იმედნო მამულისანთ, რომელიცა განათლებისათჳს თქუენისა

მით უმეტეს აღტაცებულ არს დაუცბრომელითა სიხარულითა, რომელსა ყოფთაცა მისგან წარმოსადგენთა მოელის მოუთმენელად და სთხოვს საზოგადოსა მამასა მამულისასა და მიზეზსა ესევეთარისა უმეტეებისა წყვედიადითა გარემოცულთა ერთა შორის განათლებინასა, რათა გამოუთქმელითა ერთ-მთავრულითა მოხედვითა თუსითა სადიდებელად თუსად არცა კვლად დაგიტევებდეს თქუენ და აღაცებდენ ნაკლულევენებათა თქუენთა. და თქუენცა თანა-გაძსთ, საყუარელნო, რათა განამართლოთ და აღმოაჩინოთ უზემამობრივი თქუენთს ზრუნვა მისი თქუენითა მისდამი ერთგულ ქვეშევრდომებისა მადლობისა გრძნობითა. იხმიეთ სიტკბოებაჲ სწავლისა და ძალიცა გამოცდილებისა და ყურადღებითითა წარკითხვითა ამით კანონთათა კეთილგანჭკარგეთ ქცევაჲ თქუენი ცხოვრებასა შინა თქუენსა და, უკეთუ წადილი ესე ჩემი მიემთხუვის საწადელსა საგანსა, მაშინ ჰქმნარიტსა მას სარგებლობასა ძვირფასთა კანონთა მათ კეთილზნობისათა, რომელთაცა ნამდვილ მოგიძღვნის წიგნი ესე წინამდებარე თქუენ, სწავლისა მოყუარეთა ყრმათა, შერაცხს ნიჭად თქუენის ბედნიერებისა და კეთილდღეობის ტრფიალი წიგნისა ამის გადმომთარგმნელი, რომელსაცა მსურის რა უსაწადელესითა და უმწუშრეაღესითა მოსწრაფენითა გულინათა, რათა ხალისი და გულსმოდგინებაჲ სწავლისადმი ჭამითი-ჭამად უმეტეს ყუაოდეს და ორძილობდეს, საზოგადოდ შევილთა შორის ქართულთასა დაეშთები. კეთილ-მოწადე თქუენი და უერთგულესი ვასილიძე კილაძე. (გვ. IIIr—IVv).

გ. „ხანდუკი საძიებელი“ (ფ. VIr—VIIr).

მიწაწერება: 1. „ესე ყრმათ სასწავლებელი წერილი მივიღეჲ უმწვერვალესისა ჩემდა მამისისა მეგობრობისა საქართველოს კანტორასა შინაპროკურორისა უფალის კოლეგსკი ასესორისა ვასილი მათვევიჩის კილაძისაგან. წელს 1816, ივლისის 12. ნიკოლაჲ დადიანი“ (ფ. I v).

2. „ეს წიგნი აჩუქა ნესტორ წერეთელს და ვით მენგრელთა სამთავროთა მემკვიდრე და დიანმა ჩუღწველსა, იანვრის ვ-სა“ (ფ. IIv).

3. 1836 წლის ახლო ხანში უნდა იყოს შესრულებული ეს მიწაწერი:

„ვნახე ბერი ყრმათა უყრმე და ყრმა ული ბერთ უბერე, ბერი ცუდად მწვე აჩქარდა, ყრმა დაწყნარდა, რაც უბერე. უბუცესი არას ნალელობს, უმცირე სწუხს, ვარ უბერე, და ეს უფროსი იბერება, ის უმცროსი არს უბერე. ყრმა კნიაზ ნესტორ წერეთელი“ (ფ. Ir).

**დავით ბატონიშვილი: ეპისტოლენი და სიმგვალი — [1820 წ.]**

56 ფ.; 17×10; ქალაღი (თეთრი და მოლურჯო); კიისაგან შეკმული მუჯაოს ყდა; სრული (ერთ ადგილს გვერდების თანმიმდევრობა არეულია); მხედრული (სათაურები სინგურით); გადაწერილია 1820 წელს თბილისში (მოლურჯო ქალაღის ჰერინიანი — 1819 და „ეპისტოლენის“ თავფურცელი); დაუწერელია: 34r.

1. [ეპისტოლენი]. — „მათს უწმინდესობას მამათმთავარს პატრიარხს, უყოვლითადეს მეუფეს! უკრძალულესად თაყვანსცემას გავუბედავ კვარცხლბეკსა ფერხთა მათთასა“... 2r—33v.

შენიშვნა: თხზულება წარმოადგენს რიტორიკის სახელმძღვანელოს ახალმოსწავლეთათვის. იგი ასწავლის მკითხველს, თუ როგორ უნდა დაიწეროს მიმართვა ან წერილი პატრიარქის, არქიეპისკოპოსის, არქიმანდრიტის, მეფის, ნათესავის ან მეგობრის მიმართ. ამის სანიმუშოდ მოყვანილია 19 მიმართვა-მოკითხვითი ბარათი და 30 წერილი (ეპისტოლე) სხვადასხვა პირებისადმი. „ეპისტოლენი“ საყურადღებოა დავით ბატონიშვილის მსოფლმხედველობის შესასწავლად და საერთოდ „გარდამავალი ხანის“ აზროვნების ისტორიისათვის.

თხზულებას წინ უძღვის: ა. თავფურცელი (ასომთავრულით): „ეპისტოლენი ტიტულითურთ თჳსით, სახმარნი სხუადასხუათა შემთხუშეთა შინა, ქმნილნი ახალმოსწავლეთათვის რიტორებასა შინა. ტფილისს, 1820 წელსა“ (1r).

ბ. მიმართვა გიორგიწილანი მეფისადმი: „ყოვლად შვენიერო კრძალულებისა გიორგიწილო! თქუენ მიერ ებძანა უმეტრებასა ჩემსა ამისა ჳელყოფად, თუმცა არა ძალ-მედვა, გარნა ურჩებასა ვეკრძალე, დაღაცათუ არა ეგრეთ სარგებელ არს, არამედ თუ ვისმე მწადნელთაგანსა ენებოს, ეპოების სიტყუთა კეთილშეწყობილი და შეფერებული მიზეზისამებრ და ჰაზრისა“ (1v).

2. „დავითის მიერ დავითიან-ბაგრატიანისა, საქართველოს მეფისა ირაკლი მეორისა პირმშოს ძის, გიორგის, პირმშოს ძისა ჳელხება სიმეოლი. — ლექსი ესე ზემოჯსენებული, რომელია სიმეოლი, არა არს ჩუშნისა ენისა ლექსი, არამედ ბერძნული და ესე ჳნიშნავს ჩუშნისა ჳმასა ზედა აღსარებასა სარწმუნოებისასა, გინა მრწამსსა“... 43r—56v.

შენიშვნა: თხზულებას წინ უძღვის წინასიტყვაობა: „ვინაჲთგან ვერ იყო ჩუშნა კეთილსამსახურთა ერთათვის, რომელნიცა აღბეჭდულვართ ბეჭდითა წმიდისა ნათლისღებისათა, რამეთუ ვიცოდეთმცა აღსარებაჲ წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა, ამის კმასა მიზეზისა ძლით ვჳყავ შრომაჲ და აღვჳსწერე განმარტებაჲ სულთა განმანათლებელისა ამის სიმეოლისა, რომელიცა არს აღსარება წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა. ვინაჲთგან ზოგთა ვიეთთამე არა უწყიან განმარტებით აღსარება ესე გამოუცდელობისა ძლით წერილთასა, რომლისა მეცადინობაჲ მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის ფრიად არს საჭირო და თვინიერ ამისა სათნოყოფა ღვთისა ვერ შესაძლებელ არს, ვითარცა იტყვის მოციქული: <თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნოყოფა ღმრთისა და არცა განმართლება>. ვითარცა კვალად ჰსწამებს თვითვე მოციქული და იტყვის: <რამეთუ არა განმართლდების კაცი საქმეთაგან ჰსჯულისათა გარნა სარწმუნოებითა ქრისტე იესოსითა>. ამისთვის მეცა საჭიროდ აღმიჩნდა შემეცნებად ამისა ერთა ჩუშნთა და აღვჳსწერე განმარტება აღსარებისა ამის,

რაოდენ ძალ-ედეა უძლურებასა ჩემსა. და უკეთუ ჰპოთო რაიმე ცთომულ ვითხოვ მოტეებასა, ვინაძთგან ჯერეთ ჰასაკითა ჰსწავლისათა ვარ გამო-  
უცდედ და არათუ მხოლოდ ამით, არამედ ეამითაცა. საქართველოს მეფის  
ირაკლი მეორისა პირმშოს ძის, გიორგის, პირმშო ძე და ვით.  
სრულიქმნა წელსა ქრისტესსა ჩლჟგ, ხოლო ქართულსა ქორთონიკონსა უპა,  
თებერვალს იქ " (42r—v).

მინაწერები მოვკოება რუსულ და ქართულ ენებზე. რომელიდაც  
უცნობ პირს ცარიელ ფურცლებზე ჩაუწერია „საუკუნო თვის დადგენი“  
(34v—41r).

## 68

### უან-ფრანსუა მარმონტელი: ველისარიანი—[XIX ს.].

109 ფ.; 21×17; ლურჯი ქალაღი; სრული; მხედრული (სათაურები და  
აბზაცის საწყისი ასოები ასომთავრულით); გადაწერილია XIX საუკუნის 30-იან  
წლებში (კვირიანიშანი—1824); დაუწერელია: გვ. 1—2, 212—218.

თავი ა.—მოუძლურებული განგრძელებულითა მძრუქლობითა  
პრომის იმპერია (სახელმწიფო) დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულო-  
ბისათა დაუახლოვდა უკუქ სრულსა შემოსრუასა...“ გვ. 3—211.

შენიშვნა: უან-ფრანსუა მარმონტელის (1723—1799) რომანი  
„ველისარიანი“ 1768 წელს იმპერატრია ეკატერინე მეორის ბრძა-  
ნებით ფრანგულიდან ითარგმნა რუსულად და ცალკე წიგნად გა-  
მოიცა ქ. მოსკოვში. ქართული თარგმანი შესრულებულია რუსული გამოცე-  
მიდან არქივანდრიტი გაიოსის მიერ 1782-1787 წლებში. (თხზულების  
თავფურცელი ხელნაწერიდან ამოხეულია. მისი ჭაღდგენა შეიძლება საქ-  
სახ. მუზეუმის ხელნაწერების წყალობით: „[ველისარიანი] კმნილი  
ჟფლისა მარმანტელისაგან, რომელიცა იყო წვერი ჭარანცუზის აკადე-  
მიისა. თარგმნილი რუსულად იმისის იმპერატორების დიდებულებისა ეკატე-  
რინა მეორისა იმპერატრიცისა და თვითმპყრობელისა ვსა რუსეთისა და  
სხუათა და სხუათა და სხუათა ვოლგასა ზედა, ხოლო რუსულით ქართულ-  
სა ზედა ვიწყე თარგმნად გაიოსს, წელსა ქრისტესით 1782, ოკტომ-  
ბერს 24, კრემენჩუკს“ (S 172).

ბოლოში ერთვის მთარგმნელის ანდერძი: „სრულ-გვაგ წელსა  
1787, თთუქსა დეკემბერსა 14, კრემენჩუკს. გაიოსი“ (გვ. 211).

გადამწერის ვინაობა უცნობია.

„ველისარიანი“ საქართველოში დიდი ინტერესით იკითხებოდა,  
მას იცნობდა XVIII საუკუნის გამოჩენილი მოსანი ბესიკი და იმ დროინ-



დელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია (იხ. ვრცლად გიორგი ლეონიძის წერილი — „ბესიკი, მარმონტელი, ლესაქი“: ლიტერატული საქართველო. 1938, № 24). XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს რომანი ხელახლა უთარგმნია დავით ესტატეს-ძე ციციშვილის. უკანასკნელის თარგმანი შესრულებულია გრაფინია ქანლისის (1746—1831) „ველისარიანის“ რუსული თარგმანიდან, რომელიც გამოცემულია 1821 წელს ქ. მოსკოვში (S 1421).

## 69

### ბარონ დე პოლნიც: მიმოსვლა—[XVIII ს.]

76 ფ.; 21×16; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია XVIII საუკ-ში.

„მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი მისგანვე. წიგნი პირველი. უფლისადმი დე...—გელმწიფეო ჩემო, სიცოცხლემან, რომელიცა განვაგრძელე მე პარიჯსა შინა, შემაწუხა და მრავალთათვის მიზეზთა, რომელთაცა არა მნებაეს თქვენდა თვითოულად მოხსენება, განვიზრახე მგზავრობა განდევნისათვის მწუხარებისა ჩემისა“...5r—75r.

შენიშვნა: თხზულება შესდგება ორი ტომისაგან, ხოლო თითო ტომი—ორთრი წიგნისაგან. სულ ოთხი წიგნია. წინ უძღვის: ა. თავფურცელი; „მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი ისტორიულის და ლეოლრაჰიულის გვართ თვით მისგანვე. რუსულით ქართულსა ენასა ზედა არხიდიაკონის გაიოსის შიერ მოსკოვს, 1776 წელსა, ივნისს 25“ (1r, 46r).

ბ) მთარგმნელის მიძღვნა და წინასიტყვაობა, 2r, 3r. (მათი შინაარსი გამოქვეყნებული საქ. საზ. მუზ. ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში, გვ. 71—72, ხელ. № 96, შენ.)

გ) ავტორის წინასიტყვაობა (4r-v.)

ანდერძი (მთარგმნელისა): „აღსრულდა იუნისს დღესა, 1776 წელს“ (75r).

შინაწერები მოეპოება: 75v—76v. საყურადღებოა იუმორისტული ლექსი (11 სტროფი): „დავით ჯიმშერის შვილის დაწერილი თამაზთან—ღერანალ(!) ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ“ (იხ. „თეატრი“, 1887, № 9—10, გვ. 20—21)

## 70

### აბატი მილოთი: ყოვლად ზოგადი ისტორია—[1833 წ.]

196 ფ.; 21×17; ქალაღი; უყდო (დაშლილი); სრული; მხედრული (საწყისი ასოები და სიტყვები ასომთავრულით); გადაწერილია 1833 წელს დავით დადიანის მიერ (ფ. IIr); დაუწერელია: ფ. I, IIv—IIIv, გვ. 384, 388—392.





„ყოველად საზოგადო ისტორია. ძველი ისტორია. ნაწილი პირველი. ზოგადნი შესწავლებანი ძუშლთა ერთათუს. პირუშლნი კაცნი იყუნენ კინლა ველურნი მრავალთა კერძოთა შინა. პირუშლ დასაბამოობითი ყოფა საზოგადოობათა. ბერძენნი, მოყუარენი ზღაპარ-სიტყვაობათანი.—ძუშლნი გა[ლ]მონაცემნი დიდითა ნაწილითა მოუთხრობენ“.. გვ. 31—383.

**შენიშვნა:** თხზულება თარგმნილია რუსულიდან იასე გარსევანი-შვილის მიერ დავით დადიანის დაკვეთით 1833 წელს. წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ყოველად ზოგადი ისტორია. ძუშლი და აწალი დასაბამოობით სოფლისათ, ვიდრე აწინდელ ეამადმდე, რომელი იპყრობს პირველთა ოთხთა ნაწილთა შინა ისტორიასა ეგვიპტელთა, კიტაელთა, ასურთა და ბაბილონელთა, ფინიკიელთა, ებრაელთა, მიდთა და სპარსთა, ჰინდთა, სკვითთა და ცელტთა, ბერძენთა, ჰრომთა და კართაღენელთა შეერთბამებთურთ. ზოგადთა სოლიოთა სხვათა ძუშლთა აზის ერთათვის, ხოლო შემდგომთა ნაწილთა შინა ყოველთა იმპერიათა საკოროლოთა საზოგადოებათა და სხვათა სამფლობოთა აწე ევროპასა შინა საცნაურთა. თხზუელი აბბათ მილოთისი. თარგმნილი ღრანცუხთა ემათაგან რუსულად და მიერ ჭართულად, ნაწილი პირუშლი. მოსკოვი. სტამბასა შინა სელივანოვსკისასა. ათას რვაას მეცხრამეტესა წელსა“ (ფ. IVr).

**ბ. წინასიტყვაობა (დამკვეთისა):** „ისტორია ესე ყოველად საზოგადოელსა აღნაქუსი აბბატას მიერ მილოთისა, ვინაჲთ იყო პირუშლსა ზედა ენასა განათლებულთა ერთათასა, ხოლო ჩუშნ ერსა ენასა ზედა არასაღამე იპოვებოდამცა და არცა ყოფილ-არსმცა. ამისთჳს ფრიად მოწყულელი გონებითა არაქონასათჳს საშენებოსა ზედა ენასა, ვუბრძანე ჭართუშლთ ვისმე ხუცთაგანსა იასე გარსევანოვს და გარდა მოვანებინე ჭართულსა, ვიდრემე ზედა ხმასა როსიელით ათსამეტი ტომი ამა ისტორიისა, მეოცე წელსა შინა შობითგან ჩემისა ათას რუაასს მეოცედ აცამეტესა წელსა, ხოლო მთავრობასა მამისა ჩემისასა მეოცდაშვიდესა. უუმორჩილესად გთხოვთ თქვენ, კეთილ სინიდის ნებათ მპყრობნო პატროსნებისანო, მიიღეთ მორჩილებრივი წინადადებითი თხოვნა ჩემი და ოდესცა ჰყოთ გარდაწერილ კარგთა მიერ მწერალთაგან, ესე ნაწერიცა არა დაანაშროთ და არცა გამრყენელთა მწერალთა ველთ უგდოთ. აღმასრულებელი ამისი პატროსნებით პატროსნად, ხოლო არ მექმი ამისი არა პატროსნად. სამეგრელოას მემკვიდრე დავით დადიანი“.

- (IIIr).
- გ. „წინასიტყუაობა მთხუშლისა“, გვ. 1—4.
  - დ. „მოკლე წინადადება დასაბამოობითისა განცხადებისათჳს ყოველად საზოგადოელსა ისტორიისა, საერთოდ განცხადებულისა ავტორის მიერ ჩადე წელსა“, გვ. 5—13.
  - ე. „შეყუანილება.—რაოდენ სარგებელ არს ისტორია კაცთათვის“... გვ. 14—30.

ისტორია განიყოფება ორი ნაწილისაგან:



ნაწილი I: ზოგადნი შესწავლებანი ძუძულთა ერთათჳს, გვ. 31—34. ეგვიპტელნი (ოთხი თავი), გვ. 35—96. კიტელნი, გვ. 95—105. ასსირბელნი და ბაბილონელები (ორი თავი), გვ. 106—124. ფინიკიელნი, გვ. 124—134. ებრაელნი ანუ იუდიანნი, გვ. 135—142. მიდნი და სპარსნი (ოთხი თავი), გვ. 143—184. ჰინდოელები, გვ. 185—192. სკივთნი და ცელტნი, გვ. 192—195. ზოგადნი შესწავლებანი ძუძულთა ერთათჳს აზიისათა, გვ. 195—198.

ნაწილი II: ისტორია ბერძენთათჳს (ხუთი თავი), გვ. 199—274. პირველი სარიცხველი. დაწყებიდან ბრძოლისად სპარსთათანა ვიდრე მმართველობამდე პერიკლოსისა, გვ. 275—327. მმართველობისაგან პერიკლოსისა: ვიდრე მეფობამდე ფილიპე მაკედონელისა, გვ. 328—383.

მინაწერი: „ჩუგლ-სა წელსა, ნომბერს ვ-სა და ვით და დიანს ებოძა ჩემთვის. თავადი გრიგოლ წერეთელი.“ (IV).

სხვა მინაწერები იხ. IIr და გვ. 385—387. ამით შორის საყურადღებოა ჯუზეპე გარიბალდის მიერ აღბეჭდილ წარმოთქმული სიტყვა.

# 71

## ვოლტერი: ალზირა ანუ ამერიკელი — [XIX ს.]

36 ფ.; 20×31; მოლურჯო ქაღალდი; მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია მე-19 საუკუნის 20-იან წლებში (ჭვირნიშანი—1819).

„ალზირა ანუ ამერიკელი. ტრალედია. მოქმედება პირველი. გამოცხადება ა. ალვარ და გუსმან.—ალვარ: მადრიტისა უზენაესსა მმართველობასა აწურწმუნებიეს შენდა მოადგილობაჲ ჩემი, საყუარელო შეილო“... გვ. 1—71.

შენიშვნა: „ალზირას“ თარგმნა ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძეს.

მინაწერები: ა. „ორ ბელიანის სარდლის იოვანეს ასულის ელისაბედისა ვარ“ (71).

ბ. სოლომონ ციციშვილის ლექსი:

„უგვაროს წიგნის წაკითხვა რა საამო არს ვისთვისა, რას არგებს ცუდნი შრომანი, ანუ რომელმა ითვისა? ეს გვარნი ვისაც ეკუთვნის, ყურად სმენ, თქმულა სხვისთვისა, განვადგოთ ესე ალზირა, დაშთეს, ვისაც ჰსურს, მისთვისა. ბარსა შინა თუმცა თქმულა: ოდეს ჰკუას დაკარგვიან, მოჰსძებნიან მთასა შინა, იპოვიან ეამზედ გვიან, ამა წიგნსა ვერცა ერთი ვერა ვჰპოვეთ, თუ რა ჰქვიან, გვითარგმნეთ კარგათ, მსმენელნი: ალვარ, გუსმან რას მოსთქვიან?“ (გვ. 72).

გ. სოლომონ ციციშვილს ლექსითვე გვამათება [ორ ბელიანი?]

მ ი ხ ე ლ ი :

„ვიხედ ვინ ეპობს, ნეტარ, თუ დაუწუნია მთა ვისა, მთასა მომღელსა და პატრონს მართებს დიდ ქონა თავისა,

თვითვე განაგოს ყოველი, იყოს აშტანი ავისა,  
მთის ხალხი ყოველთვის ნაქები, თუნდა იკითხეთ ფშავშია,  
მართლად უთქვამთ: ყოველთვის ტყუა მთიდან გამოდის ბარშია,  
მათ რომ აღარა რჩებათ რა, რაღა ედებათ თავშია?  
აღვარ რადგან დაგვიწუნეთ, მართებს, რომ ჩაჯდეს შავშია“ (იქვე).

დ. ამას მოდევს ლექსი, თქმული [ორ ბელიანი] იოანესაგან:  
„საკვირველია, არ გვესმის, არც გვიჭია ლექსი სხვისი,  
არც ჩვენ ძალ-გვიძს შედგინება, დავიწუნეთ შეთხზვა ვისი?  
გვონებ შევედით, რომ დავსწერეთ, დაგვემღურება ჩვენ თვისი,  
მოგფიტვიეთ შგოვლდა, რადანც ჩვენ გვანლდა ბახუსი“. (იქვე).

## 72

### გოჩა: სოფლისა სარჩიელნი და ბჰობანი — [XIX ს.]

14 ფ; 11×18; ქალღი; უყდო; მხედრული; ბოლონაკლული; გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკ. პირველ ნახევარში. შექმნილია ილია ტყონიას თჯან-ნიდან.

„აწ ჩვენ დავიწყოთ სოფლისა სარჩიელნი და ბჰობანი,  
თუ რამ დავაბჰოთ სოფელსა, თქვენც დაგვაწიეთ ბჰობანი,  
ერთ დღეს ერთია ყველანი, ფასს მის ჯიხის (!) ბჰობანი,  
და არც ვაიკითხავს გლახაკსა, არც იცის შინიქებანი“. გვ.1—28.

წყდება:

„—ადამ რომ ცდა, რას მამბრალეზ, რას ვერიე მე მაშია?  
მე აღამსაც ვერ ვიცნობდი, არც მენახა სიზმარშია,  
ცოლი მისი გვერდსა უჯდა, ქალი მცდარი მის ეამშია,  
და დალაქმან ქმარი“...

## 73

### დავითიანი — [1825 წ.]

109 ფ.; 21×34; ქალღი; მუყაოს მოცილებული ყდა; თანაკლული; მხედრული (სათაურები და სტროფის საწყისი სიტყვები სინგურით) გადაწერილია დიმიტრი ოქრიაშვილის მიერ 1835 წელს კ. მოსკოვს; დაუწერელია: 55v და 109r.

„ჰქმნეს სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ შენთვის ესო  
და დიდება მოთმინებას შენსა, უფალო იესო“... 1r—107r.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის დავითიანისა“, 107v—109r.



ანდერძი (გადამწერისა): „იანერის თვის კთ ვიწვე წერა ამის დავითიანი სისა და განსრულდა წიგნი ესე დავითიანი ქელითა ჩემ[ითა] ცოდვილის მღვდლის დიმიტრი ოქრიაშვილისა, გიორგის ძისა, იერუსალიმის მომხილველისა და წმიდასა ჭრისტეს საფლავს თაყვანისცემად ღირს ქმნილსა, და წმიდათა ალაგთა მომლოცველ ყოფად ნუშტა დასრულდება მწერლისა ამის შვილი[სა] და შვილის შვილი[ს] კსენება ქვეყანასა ზედა. ვინც იხილოთ, შენდობასა და მშვიდობას ყოფდეთ ჩემთვის, ამინ. დაიწერა წიგნი ესე სახელმწიფოს სამეუფოსა ქალაქსა [შინა-მოსკოვის, მარია მ დედოფლის სახლში. თვესა მარტსა, წელ[სა] ჩუღუ-სა“ (109r).

74

დიმიტრი ბაგრატიონი: წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა—  
[XIX ს.]

6 ფ.; 18x21,5; ქალაღი; უყდო; დაშლილი; თავდაბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]

„კვლავ შეემთხვია ხატებსა, იგი ცხოვლად დანახატები, დასთხია ცრემლი ოფლითურთ, ღვაწლისა მისამატები“... გვ. 1—12.

წყდება:

„მწადდა მყისვე დასახევლად, რადგან ვარგობს ვერა-ვერად მაგრამ მითხრეს, უჯეროა დამაშვრალსა მის საწერად“...

შენიშვნა: ტექსტი გადაწერილია 1819 წლის ნაბეჭდი გამოცემიდან.

75

დიმიტრი ბაგრატიონი: ლექსები—[XIX ს.]

2 ფ.; 22x55; ქალაღი; უყდო; სრული; მხედრული; [XIX საუკ.]

1. „ელისაბედიანი, ლექსი ალერსიანი, მამისგან ნათქვამი, აღარ დასაგვიანი, ღმერთმან ინება აღორძინება, ამით მოგვეცა კაცთა ღზინება“, გვ. 1.
2. „ვეტყვი ახოსნანასა, მისა შესაგვანასა, ტკბილად რასმე ძილისა, აღრე მოსაყვანასა“... გვ. 2.
3. „ჩემო მთვარეო, შენთვის ვარეო, სრულიად მოვლახე თემთა არეო“... გვ. 2.
4. „სულის ყვავილო, გჟულისა ვარდო, შვების წალკოტო, მო, სანავარდო...“ გვ. 2.

5. „ჩემს ქალს მიემართამ გულსეველიანი,  
მას აქვს საშვებლად ვარდი-იანი,  
შევალ დამხედება კარნი ღიანი,  
ფერად ტურფანი, სურნელიანი“... გვ. 2—3.
6. „მკვრეტელად სწყლავს ისრით გამოსული  
ნარგიზის ფერი თვალები, ეშხით დამამოვრალეები“... გვ. 3—4.

## 76

**ბაგრატ ბატონიშვილი: ახალი მოთხრობა—[XIX ს.]**

III+30 ფ.; 23×30; ქალღიმილი; ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]

„ახალი მოთხრობა. § 1.—ხოლო წელსა 1713 აჯი-ჩა-  
ლაბახმა გამოსრულმან შაქელმან ქედხუდამან, რომელმანც ალაშაღლა  
თავი თვისი თვისით შირვანსა შინა, ამან დაიპყრა ნუხი და შამახია“...  
გვ. 5—60.

წყდება: „...ბელაქნისა შესავალი იგი არს ვიწრო და ქანკო-  
ბი და ქაცვიერი და ტყიანი, რომელიც გზისაგან კიდე არა შეიძ-  
ლებს მუნ ვლა მხედრობისა. ამისმა არ მკვრეტთა რუსთა მხედრო-  
ბამან“...

**შენიშვნა:** წინ უძღვის ფეტორის ორი წინასიტყვაობა:

ა) „ძალითა ღვთისათა მე საქართველოს მეფის გიორგის 13 ძემან  
ბაგრატმან აღესწერე ახალი მოთხრობა ესე“... გვ. 3—5.

ბ) „მე საქართველოს მეფის გიორგის ძემან და რუსეთის იმპერა-  
ტორის კარის კამერგერმან“... გვ. 1—2.

ტექსტი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების მიხე-  
დვით მეორედ 1941 წელს გამოქვეყნდა პროფ. თ. ლომოურის რედა-  
ქციით. ბაგრატ ბატონიშვილის წინასიტყვაობის ორივე ვარიანტი ამ გამო-  
ცემაშია მოთავსებული (გვ. V—VI, 47—48).

**შინაწერი:** „ეს რეჟული შეიცავს 60 გვერდს. გიორგი ლეო-  
ნიძე. 1933 წ., მაისი“ (გვ. 60).

## 77

**იერომონახი ნიკოლაოსი: საგალობელი ხარებისა—[1849 წ.]**

5 ფ.; 21×32; ქალღიმილი; ჟუდო; დაშლილი; სრული; მხედრული; გადაწერი-  
ლია 1849 წელს იოსებ ოსიტოვისგან. დაუწერელია: გვ. 9—10.

„საგალობელი ხარებისა იამბიკოდ წყობილი, უღირსის  
და ყოვლად კნინის იერომონახის ნიკოლაოსის მიერ კმნი-

ლი. ვალოზა ა. სძლისპირნი. ალაღე პირნი.—ცემა ქნარისა, შენი  
ვის არს დაეთისა, ასულო ყრმავე, მზაქმნილო შობად ღეთისა“...  
გვ. 1—8.

ანდერძი: „სრულ იქმნა, თქუშნო კეთილშობილება, უ. გ რ ი გ ო რ ი  
პ ა ვ ლ ე ს-ძ ე ვ ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე მ ი ი ღ ე მ ც ი რ ე ე ს ე ძ ლ უ შ ნ ი თ ქ უ შ ნ ის მ ო რ-  
ჩილის მონის აზნაურთაგანის დიაკონის იოსებ ოსიტოვისაგან სახ-  
სოვრად ჩემდა, რომლის წარკითხვის დროს გთხოვე მომიგონებდეთ კეთილად.  
დიაკონი იოსებ ოსიტოვი. გადიწერა წიგნი ესე ჩემთ წელსა, იენისის ეზ  
დღესა“ (გვ. 8).

## 78

### ქალვაჟიანი—[XIX ს.]

12 ფ.; 17×21; ქალაღდი; თხელი მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწე-  
რილია გრიგოლი ხითაროვის მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში (ჭვარნიშანი—  
1818 წ.); დაუწერელია; გვ. 24.

„წიგნი ესე ქალ-ვაჟისა.—ერთი კაცი იყო მდიდარი, დიდისა  
ქალაქის პატრონი იყო. დიდი ხაზინისა და ოქრო და ვერცხლისა  
და თვალი და მარგალიტისა პატრონი იყო“... გვ. 1—23.

ანდერძი (გადამწერისა): „დასრულდა ქალ-ვაჟისა წიგნი. გ[რი-  
გოლ] პ[ეტრეს-ძე] ხ[ითაროვი]. ესე წიგნი ვკუთვნის გ რ ი გ ო ლ პ ე ტ რ ო-  
ვ ი ხ ი თ ა რ ო ვ ს. ვინც ეს წიგნი მოიპაროს, გაუწყრეს მაღალი ღმერ-  
თი“ გვ. 23.

## 79

### ბეჟანიანი—[XIX ს.]

15 ფ.; 17×20,5; ქალაღდი; თხელი მუყაოს ყდა; მხედრული; თაენაკლული;  
[XIX საუკ.] ; ჭვარნიშანი—1818 წ.; დაუწერელია; გვ. 19—22.

„ეს წიგნი ქალვაჟიანისა, ბეჟან და მანიქავისა.—

ასტირდა და მოახსენა: ბედნიერო ხელმწიფეო,  
ჩვენი სარჩო ქალა იყო, სანადირო იგი ტყეო.

იგი ტახით თლათ აღესილა, არ ეტევა სიმრავლეო,  
ტანათ თვითონ სპილოს მსგავსი, კბილები აქვს ხმლის  
სიგრძეო“... გვ. 1—18.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია როსტომისა და ხურაბის  
ამბავი, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ხალხურ ზეპირ-

სიტყვიერებაში. თბრობა მთავრდება ბეჯანის ორმოდან ამოყვანით. **ანდერძი** (გადამწერისა): „დასრულდა ეს მოთხრობა ბეჯანის და მანიქავისა“ (გვ. 18), და ბ) ლექსი: „ცისკარის სარეკლათ გამოველ პირი გინახე დილიმე, ვაი, როდის მეღირსება შენთან წოლა და ძილი მე“ (გვ. 23—30), რომელიც მთავრდება შემდეგ სიტყვებზე: „ნახვა შენი და გვერდს ხლება მე აღრე მეღირსებოდეს“..

## 80

### კრებული—[1833—1859 წ წ.]

90 ფ.; 11×18; ქალაღდი; უყდო; დაზიანებული; სრული; მზედრული (შიგადა შიგ სინგურით) გადაწერილია 1833—1859 წლებში ანასტასია დავითოვის მიერ (71v, 90r). ხელნაწერი აღმოჩნდა ივ. მაჩაბლის არქივში.

1. „[ცხოვრება იოკიმ და ანნასი და შობა] წმიდისა მარია მისი [ი]. — იოკიმ და ანნა დაბერებულნიყვნენ და შვილი არ ყამდათ(!). და ერთს დღეს ტაძარის დღეობა მოვიდა და წაიყვანა იოკიმმა სამლოცო ცხვარი და წავიდა თაყვანის საცემლათა“... 1r—71r.

**ანდერძი** (გადამწერისა): „დედოფალო ღუთისმშობელო, შემოწყალე და მაცხოვნე ფრიად ცოდვილი მზევალი შენი ანასტასია, დამწერი და პატრონი ამისი, დავითოვის ასული. მკითხველთაგან შენდობას ვითხოვ, უკეთუ ნაკლები იხილოთ სადმე. აღიწერა წიგნი ესე მღუთისმშობლისა წელსა ფებერვალის გასულს, მარტის ერთსა ჩემით“ (71v).

2. [განზრახვანი]: „შეერთებულთა განყოფა არს, ესე იგი ხორცად განწვალვა, განზრახვა სიკუდილისა. — სიკუდილისათვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით მღუღარითა გულითა და ცხელითა ალითა... 72 v—90r.

**ანდერძი** (გადამწერისა): „აღიწერა ჩულგ, აპრილს“ (90r).  
**მინაწერები** მოეპოვება (72r, 90v).

## 81

### სვინაქსარი—[XVIII ს.]

254 ფ.; 9,5×13; ქალაღდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული (აკლია თავში, ბოლოში და შიგნითაც); მზედრული; გადაწერილი უნდა იყოს XVIII საუკუნეში; შექმნილია გიორგი ნათაძის მიერ ჩრდ. კავკასიაში, ყიზლარის მაზლობლად, გაყახახე 'ულ ქართველ მამუჩაროვისაგან.

„... სისა ოხითა, ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა შენი, რომელმანცა შეიწყნარა სიტყვა შენი, რომლითა ღთივ შევნიერად ქადაგე.



ბუნება და სარწმუნოება დაბადებულთან გამოაცხადენ და წესნი  
კაცთანი გამოაბრწყინვალენ და სამეუფო იგი მღრღელ[ო]ბაგანს  
შვენე. წმიდაო მღვდელთ-მოძღვარო ვასილი, ვევედრე ქრისტესა  
ღმერთსა“... 1r—254v.

წყდება: „... იბ: წმიდისა ტატიანესი, რაჟამს იორდ[ანეს]. ივ:  
წმიდის ერმოლეს, რაჟამს იორდ[ანეს]. იღ: წმიდათა მამათა სი-  
ნელთა, რაჟამს იორ[დანეს]. იე: წმიდისა პავლე თებელისა. ივ:  
თაყვანისცემა პატიოსანთ“...

## 82

### თეიმურაზ პირველი: ვარდბულბულიანი — [XIX ს.]

10 ფ.; 17,5×32; მოღურჯო ქალღი; უყდო; ბოლონაკლეო; მხედრული;  
გადაწერილია XIX საუკ. დასაწყისში (ჭვირნიშანი—1804 წ.).

„ლექსი მუნასიბი და ტკბილი, მსმენელთათვის საამოვნო ვარდ-  
ბულბულის გაბჭობა, ნათქუამი ღუთივ გვრგვონის ცხებულის  
ტელმწიფე მეფის თეიმურაზისა. სუფევითმცა ჰყოს უფალმან  
უკუნითი უკუნისამდე, ამინ.—

ა. ჰაერისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლი ფერი:

ცა, ქუეყანა, ზღუა და ვმელი, დარი მზისა მონაფერი“...  
1r—10v.

წყდება:

აზ. „კარში მიჰვკრიდენ მეფეთა, ქორ-ბუდაჰნსა, კარებსა,  
ვერ შორჩნენ, ვერ გაატანონ ივ მაგრა, განა კარებსა“...

## 83

### გრიგოლ ორბელიანი: სადღეგრძელო — [1876 წ.]

12 ფ.; 20×30; ქალღი; კალენკორგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედ-  
რული; გადაწერილია უცნობი პირის მიერ 1870 წელს, შემოწმებული და ხელ-  
მოწერილია გრიგოლ ორბელიანისაგან.

„სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერევნის  
სიახლოეს. სადღეგრძელო.—

შეჰსწყდა ბინდისას ომი საზარი,

დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა“... 2r—10r.

შენიშვნა: თავში ერთვის ძღენა გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერით:  
„მის ბრწყინვალეობას კნენია ჰელაგია წერეთელისას!“

როს დახედავდე, წაიკითხავდე, გაიღიმებდე, მომიგონებდე,  
მაგრამ, ვაი, თუ მე ესრედა ვარ შესაბრალო ბედისა,  
რომ აღარ მოგაგონდები მეორედ წაკითხვამდისა.

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. 1870 წელსა, 17 მაისს\* 1v.

ბოლოში ერთვის გრ. ორბელიანის ლექსი: „თა[ვად] აღ[მქსანდრე] ვახ[ტანგის-ძე] ორბელიანს.—აწ სად არიან იგინი, მას უამსა ლხინში ვინც იყვნენ? ... 10r - v.

„სადღეგრძელოს“ ტექსტს, რომელიც საყურადღებოა თავისი ვარიანტული თავისებურობით, სქოლიებში ერთვის ავტორის შენიშვნები.

# 84

## გრიგოლ ორბელიანი: ლექსების კრებული—[1846 წ.]

10 ფ.; 22x35; ქალაღი; უყდო; დაშლილი; სრული; მხედრული; უცნობი პირის ხელით გადაწერილი და გრიგოლ ორბელიანის მიერ ნასწორები; 1846 წელი; თბილისი; შექმნილია არტემ გაბუნიასაგან 1933 წელს.

1. „მუხამბაზი.—ნუ მასმევ ლვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალი შენის ეშხით“... გვ. 1.
2. „მ...ს.—ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფას მიჩნს კვალად სიცოცხლე“... გვ. 1—2.
3. „ს...ს.—ვარდი ხარ?—არა! ზამბახი?—არა! მარამ შენ ღაწუთზე აღყვავებულნი“... გვ. 2—3.
4. „ვირი და ბულბული (კრილოვიდამ)—ვირმა ბულბული ერთხელა ახლოს მჯდომარე იხილა“... („ნოვეგოროდი, 1832“). გვ. 4—5.
5. „სოფლელნი და მდინარე (კრილოვიდამ).—საღლატა ერთსა სოფელსა პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა“... („ნოვეგოროდი, 1832“), გვ. 5—6.
6. „ნადირთ კირი (კრილოვიდამ).—ჯოჯოხეთს შინა ნაშობი ქუწყუნისა შესაძრწუნებლად“... („ნოვეგოროდი, 1833“), გვ. 6—9.
7. „ჩემს დას [ეფემიას].—ჩემდა ნუგეზად, ჩემდა შვეზად, სასიხარულოდ, ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამქნარისა“... გვ. 9—12.
8. [სადღეგრძელოდან].—გელმწიფევი ჩუწნო, ძლიერო ბრძენო, ნიკოლოზ, დიდო სულგრძელებითა“...

წყდება: „მეფე გვიცოცხლე მრავალ ჟამიერ“...

(„5 აპრილს, 1854 წელსა. თემირხანშურაში“); გვ. 13—15.

შენიშვნა:—ეს ლექსი ავტორის მიერ გადაწახულია და გვერდზე ფანქრით მიწერილი აქვს: „ესეც ტოლუმბაში არის და უნდა ცალკე ჩაიწეროს“... გვ. 13.

9. „წვირილი ლექსები: ა. „ამა სოფელს დამშთენიეს“... (გვ. 17); ბ. „ვინც გიხილოს, ის ურვობდეს“... (გვ. 18); გ. „სიყვარულსა ჯერ არს, რათა მარად სურვა დაჰბერვიდეს“... (გვ. 18); დ. „როს ბულბული ვარდს შესტროფოდეს, უგალობდეს შეჭბაროდეს“... (გვ. 18); ე. „საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპყრას“... (გვ. 18); ვ. „რა მგამა თუ ქუსყანაზე დაჰსკენების ვარდი-ანი“... (გვ. 19).

10. „გრ. ოპ.—აჰა ადგილი, აჰა ის არე,

სად ჭელმწიფებდი მშუშნიერებით“.... გვ. 19—20.

შენიშვნა: ალ. ქავკავაძის რამდენიმე ლექსი გადამწერს გრ. ორბელიანისა ჰგონებია და მის კრებულში შეუტანია, მაგრამ გრ. ორბელიანს ისინი ფანქრით გადაუხაზია და გვერდზე მიუწერია: „ალექსანდრე ქავკავაძისაა“. ესენია:

1. „კრიკინა და კიანკველა“, გვ. 3—5.

2. წვირილი ლექსები: ა. „ნეტარ მას, ვინცა შენს აბლოს“ (გვ. 15); ბ. „სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი ჰგოდნობს“... (გვ. 16); გ. „შენი უღლისგან გამოსვლა“... (გვ. 16); დ. „მეორეთ მოსვლას ვამგსგავსო“... (გვ. 16); ე. „მცირე სენის ეგზომ შიში“... (გვ. 16); ვ. „თუ ხე ბუნებით მწარეა“... (გვ. 16); ზ. „ეს ცეცხლი, რომ მე შეგზნების“... (გვ. 17); თ. „სიყვარულო, ძალსა შენსა“... (გვ. 17); ი. „ერთიან ბრძენნი, მეტყველი“... (გვ. 17); ი. „სიბრძენე და გონიერება“... (გვ. 17); კ. „ენა მღუმარბებს“... (გვ. 17); ლ. „შენი გამცდელნი ჩივიან“... (გვ. 17); მ. „როს შენ ვერ გზედავ“... (გვ. 17).

სამ რუბაის მიწერილი აქვს გრიგოლ ორბელიანის ხელით: „არ ვიცი ვისია“. ესენია: ა. „ახ, ვინც იცის ტანჯვა ჩემი დღის თუ ღამის“... (გვ. 18); ბ. „გვედრი თვით მიზედე, მიკვირს ცნობად გემწელე ბიან“... (გვ. 18); გ. „გით ქარი ცეცხლსა“... (გვ. 18);

მინაწერი: „ამ რვეულში არ არის შემოტანილი მშვენიერი ლექსები ჭრაფინია ოპერმანს ალბომშია, ამისთვის საჭირო იქნება, რომ შეიქმნოს ეს რვეული მისდა გასამშვენებლად ამ ლექსის შემოტანით“. (გვ. 20).

გრიგოლ ორბელიანი: წერილები — [XIX საუკ.]

12 ფ.; სხვადასხვა ზომა; ქალაქი; უყდო; დაშლილი; ავტოგრაფი.

1. ალექსანდრე დიმიტრის-ძე საგინაშვილისადმი (3 ც.; 1. „29-ს აგვისტოს, 1878. ტაბახმელით“; 2. „25-ს იელისს, 1882. თბილისი“; 3. „21 აგვის., 1882, თბილისი“), 6 ფ.
2. დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძისადმი, (1 ც., „14-ს აგვისტოს, 1854-ს წელსა; ქ. ტფილისში“), 1 ფ.
3. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ასტაფიევისადმი (1 ც.; რუს.: „30 мая, воскресенье“), 2 ფ.
4. სახუმარო მოხსენებითი ბარათი ალექსანდრე საგინაშვილისადმი და წერილი მის მეუღლე ბაბალესადმი (1 ც.; რუს.: „6-го сентября, 1864“), 2 ფ.
5. ივანე მირონის-ძისადმი (1 ც.; რუს; უთარილო), 1 ფ.

წერილები გრიგოლ ორბელიანის არქივიდან — [XIX საუკ.]

14. ფ.; სხვადასხვა ზომა; ქალაქი; უყდო; დაშლილი; მხედრული.

1. ზაქარია და ილია ორბელიანი—გრიგოლ ორბელიანისადმი (1 ც.; „თბილისი, თებერვლის 18, 1835 წ.“), 2 ფ.
2. ეკატერინე წერეთელი—გრიგოლ ორბელიანისადმი (1 ც.; „1862-სა წელსა, თებერვლის 3-სა, ქ. გორს“), 1 ფ.
3. ისაკ თუმანიშვილი—ეკატერინე წერეთლისადმი (1 ც.; „22 დეკემბერს, 1863 წელსა“), 2 ფ.
4. სოლომონ შინამძღვრიშვილი—დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძისადმი (1 ც.; „20 მარტს“), 2 ფ.
5. ესტატე მაჩაბელი—დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძისადმი (1 ც.; 1854 წლის 3 აპრილი), 2 ფ.
6. ილია თარხანოვი—დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძისადმი, (1 ც.; „აგვისტოს 21-ს დღეს“), 2 ფ.
7. მანანა ორბელიანი—ეკატერინესადმი (1 ც.; უთარილო), 1 ფ.
8. ნინო—კონასადმი (1 ც.; უთარილო), 2 ფ.

## მასალები გრიგოლ ორბელიანზე—[XIX საუკ.]

1. ორბელიანების გენეალოგიური შტო, შედგენილი გრ. ორბელიანის მიერ (რუს.; უთარილო), 2 ფ.
2. ელიზბარ და ორბელი ყაფლანიშვილების საიჯარო თამასუქი (1 ც., უთარილო), 1 ფ.
3. ჩანაწერი მანანა ორბელიანზე (გამოცანის სახით): „სამს რიგს ქალს მოერიდო: ანანასა, მანანასა და ნანასაო“... (უთარილო), 1 ფ.
4. „მოგონებები გრ. ორბელიანზე პოეტის მოურავის არტო იოსების-ძე ყაზაროვისა (ჩაწერალა 1940 წლის 12 მაისს).—მე კუმისელი გლეხის შვილი ვარ“... გვ. 1—10.  
 შენიშვნა: ტექსტი ჩაწერილია 1940 წლის 12 მაისს გ. აბზიანიძის მიერ. ხელნაწერს ერთვის რემინგტონის მანქანაზე გადაბეჭდილი ასლი. 4 გვ.
5. ვახტანგ ორბელიანის პოემა „განკითხვა“ (დაბეჭდილი ეურ. „ივერიაში“, 1881 წლის ნოემბერში) გრ. ორბელიანის შენიშვნებით.
6. გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვის წესი (2 ფ.; რუს., ასლი, გადმოღებული ივანე ენიკოლოფოვის მიერ ერიციანის არქივიდან, № 261).

## ვახტანგ ორბელიანი: ლექსები—[XIX საუკ.]

7 ფ.; 20×23; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი; დაუწერელია: გვ. 4, 11—12, 14.

1. „ორი შენობა.—  
 ორს შენობასა ვხედავ თვალწინ, რა გათენდება“... გვ. 1—2.
2. „გალია.—  
 ნუ დაატყვევებთ შროშანსა, ნუ ჩასომთ გალიაშია“... გვ. 3.
3. [იმედი].—  
 „გმირო, სცან ტკბილი განსვენება მხოლოდ იმ ქამსა,  
 როს ქართველნი დასტიროდნენ თელავში შენს გვამსა“...  
 გვ. 5—8..

4. [იმედი].—

“ან რალათ უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი,  
თუ ქართველთ მეფეს დიერქმევა ყენის ვალი“... გვ. 9—10.

წყდება:

„თაყვანს გცემ დილით და მზის ჩასვლით თაყვანს გცემ კიდევ“...

5. [თ. გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე].—

„ღარ გვყავს იგი, ვისაც გულით ჩვენ შევხაროდით,  
ვინც იყო ერთი, მარტო ერთი ჩვენი შევენება“... გვ. 13.

## 89

მოგონებანი და სხვა მასალები ვახტანგ ორბელიანზე—[XIX საუკ.]

23 ფ.; სხვადასხვა ზომა; ქალაღდი; უყდო, დაშლილი; მხედრული (ნაწილი რუსულად); ავტოგრაფი; [XIX საუკ.]; დაუწერელია: გვ. 8, 16, 27—32, 35—36, 39—40, 44.

1. «კონსტანტინე მამაცაშვილი»: „Генерал-майор князь Вахтанг Вахтангович Джамбакуриан-Орбелиани.—Князь Вахтанг Вахтангович Орбелиани родился в 1812-ом году 5-го апреля“... (,1891 года, 21 октября“), გვ. 1—7.

შენიშვნა: ამ მოგონების ქართული თარგმანი შესრულებულია ნათაძის მიერ და იბეჭდება „ლიტერატურის მატინეს“ მეხუთე ნომერში.

2. „პეტრე მირიანაშვილი“: „თ-დი ვახტანგ ვახტანგის-ძე ორბელიანი (1812—1890).—ლამაზი ბუნება სამშობლო ქვეყნისა და მის წალკოტად შეკრებილ ნორჩ კეკლუცთა მომხიბლავი თვალტანადობა საკმაო როდი იყო“... („აპრილის 5, 1912 წ., ქ. ტფილისს. პეტრე მირიანაშვილი“), გვ. 9—15.

შენიშვნა: ტექსტი გადაბეჭდილია რემინტონის მანქანაზე და ავტორის მიერ შესწორებულ-ხელმოწერილია.

3. ზაქარია გძელიშვილი: „სიტყვა თავადის ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანის დასაფლავებაზედ.—ყაყი ის არის, ვის გულსაც ესმის ციური სიტყვა: ძმობა, ერთობა“... გვ. 17—26.

შენიშვნა: სიტყვა ხელმოწერილია ასე: „ბლადონინი, მღვდელი თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის, ზაქარია გძელივი“. გვ. 26.

4, ვახტანგ ორბელიანის მეუღლის ეკატერინე ილინის დაბადების მოწმება (რუს.), გვ. 33—34.

5. ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების მიერ 1846 წლის მაისში გაცემული განთავისუფლების წერილი ყმა დავით სტეფანაშვილზედ (რუს.), გვ. 37—38.

6. თეკლე ბატონიშვილის ჩანაწერი: ა) „დაიბადა ვახტანგ ორბელიანის ძე, ალექსანდრე, მაისის 18-ს, დღესა სამშაბათსა, შუადღიდან მეექვსე საათსა, მთვარისასა 1-ს, წელსა ჩუბ-ს, ქორონიკონს უფ-ს“, გვ. 41.

ბ) „დაიბადა ვახტანგ ორბელიანის ძე, ნიკოლოზ, ივლისის 18-ს, მთვარისასა 3-ს, დღესა სამშაბათსა, შუადღიდან მეათე საათსა, წელსა ჩუგ-ს, ქორონიკონს უფა-ს“ (იქვე).

გ) „დაიბადა ვახტანგ ორბელიანის-ძე, დიმიტრი, მარტის 15-ს, მთვარისასა 18-ს, შუალამიდან მეორე საათსა, შაბათი თენდებოდა, წელსა ჩუშ-ს, ქორონიკონს უფვ-ს“ (იქვე).

დ) „დაიბადა ვახტანგ ორბელიანის ძე, ვახტანგ, აპრილის 15-ს, დღესა პარასკევსა, შუალამიდან მეთორმეტე საათს, მთვარისასა 9-ს, წელსა ჩუიბ-ს, ქორონიკონს ფ-ს“ (იქვე).

მინაწერი გიორგი ლეონიძისა: „თეკლე ბატონიშვილის ხელი“.

7. ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერი: ა) „დაიბადა ალექსანდრე ორბელიანის ასული, დარია, აგვისტოს 10, მთვარის 18, შუადღიდან მეათე საათზე, წელსა ჩუკშ“, გვ. 42.

ბ) „დაიბადა ალექსანდრე ორბელიანის ასული, მარიამ, თიბათვის 18, მთვარის რვას, შუადღიდან მეთერთმეტე საათს, წელსა ჩულგ“ (იქვე).

გ) „დაიბადა დიმიტრი ორბელიანის ასული, ელისაბედ, ქრისტიანობის 18, მთვარის 18, შუალამიდან 18 საათზე, წელსა ჩულგ“ (იქვე).

დ) „დაიბადა ვახტანგ ორბელიანის-ძე, ნიკოლოზ, მარიამობის 18, წელსა ჩუმე“ (იქვე).

ე) „დაიბადა ვახტანგ ორბელიანის ასული, მარიამ, კათათვის 18, წელსა ჩუნბ“ (იქვე).

მინაწერი გიორგი ლეონიძისა: „ალექსანდრე ორბელიანის ხელი“.



8. პ.: „სამოცდათხუთმეტი წელი უხუცესის პოეტისა.— აღ-  
გომის სასიხარულო დღეს ქართველთა გვაქვს ერთი სხვა სიხარუ-  
ლიცა„... (ნაბეჭდი ფურცელი, ამოკრილი 1887 წლის გაზ. „ნივე-  
რიიდან“).

ალექსანდრე ორბელიანი: ჩანაწერები—[XIX ს.]

16 ფ.: სხვადასხვა ზომა; ქალაღდი; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი, შაი-  
რები ჩაწერილია სხვადასხვა ხელით.

1. „სიყვარული.—რა ხარ ასეთი, რომელ ხან მაცოცხლებ,  
ხან მაცხოვრებ, ხან დამიტკობ“... 1r—v.

2. „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა.—ერ-  
თხელ ვკითხე თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს სხუადასხუა ლექსების  
ქების ჩვენს ლაპარაკში... 2r.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილი აქვს თარიღი: „15-ს აპრილს 1840  
წელსა, ქ. ტფილისს. ეს რომ თქვა, თვით იმასთან იყო, მეც რომ შოველ  
შინა, ასე დავწერე“ 2r.

3. „მამაჩემის მოსამსახურეები.—მინამ მამაჩემს მოჭ-  
კლავდნენ კახეთში (1812-ს) მანამდისინ იმას კიდევ ჰყუანდა თორ-  
მეტი მოსამსახურე“... 3r—v.

4. „[თავგადასავალი] ჩემი რუსეთიდან მოსვლის  
შემდეგ.—იტყვიან შეუძლებელი არ არის რა ქვეყანაზეო“... 4r—v.

5. თითო სტროფიანი ხალხური შაირები:

ა) „თუ ლექსი გინდა ისწავლოთ, მიებარეთ ფერშანგოვსა“... 5r.

ბ) „გაქებ, გაქებ, გელექსები, სულ შეგიმკობ ქალთა, რძალთა“... 6r.

გ) „ალარ მომეშვი, მაიავე, გამომითხოვე, ვთქვა ვითა?“... 7r.

დ) „მძახალი ხარ, მძახლის კირით, რათ მოსულხარ, ზიხარ  
მანდა?“... 8r.

ე) „ლექსის სწავლას თუ აპირებ, მიებარეთ თამაზ ფილდსა“... 9r.

ვ) „ჩვენ არა ვართ აქედ [.....] გამწესებული“... 10r.

გ) „ჩვენსა ფლიდობას ვინ იტყვის, შენ ხარ არწივი გველისა“... 11r.

დ) „რომელიც გახლავს, მოიფიქრე, არ არის სომხითელია“...  
12r—v.

თ) „ვიყავ მწყურვალ ტრფობისათვის, შენ ალერსს და ბაგე-  
თათვის“... 13r.

- ო) „მძახლო, რად ხარ მეშურნე თამარის გათხოებისათ“... 14r  
 ე) „თეთრი მტრედი თეთრსა მტრედსა შეხვედროდნენ, შეჰკონოდნენ“... 15r.

6. [გამოცანა]: „სასურველო დავ ბარბარე, ჩემის პატარას ქალის გამოცანა თქვეს და ვერაფერს გამოვიცანით“... 16r.

## 91

### ალექსანდრე ორბელიანი: წერილები—[XIX ს.]

76 ფ.; სხვადასხვა ზომა; ქალღიმი; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი. ეკატერინე ორბელიანისადმი მიმართული პირველი 10 წერილი დაწერილია თბილისის ციხეში საიდუმლოდ.

1. ეკატერინე დავითის ასულ ორბელიანისადმი (40 ც.; 1—10 [1833—34 წწ.]; 11. „23-ს ივლისს, 1834-ს, სტავროპოლით“; 12. „25-ს ივლისს, 1834-ს, ჩერკასკით“; 13. „13-ს აგვისტოს, 1834-ს, ქ. ორენბურლით“; 14. „20-ს აგვისტოს, 1834-ს, ქ. ორენბურლით“; 15. „26-ს აგვისტოს, 1834, ქ. ორენბურლით“; 16. „4-ს სენტემბერს, 1834-ს, ქ. ორენბურლით“; 17. „22-ს სენტემბერს, 1834-ს, ალექსანდროვკით“; 18. „6-ს იანვარს, 1835-ს, ალექსანდროვკით“; 19. „11-ს მარტსა, 1835-ს, ალექსანდროვკით“; 20. „29-ს ივნისს, 1835-ს, ქ. ორენბურლით“; აქვეა წერილი დავით ბარათაშვილისადმი; ამის შემდეგ ყველა წერილი დაწერილია ქ. ორენბურგში: 21. „23-ს ივლისს, 1835-ს“; 22. „30-ს ივლისს, 1835-ს“; 24. „13-ს აგვისტოს, 1835“; 25. „24 სექტემბერს, 1835-ს“; 26. „8-ს ოქტონბერს, 1835-ს“, 27. „5-ს ნოემბერს, 1835-ს“; 28. „10-ს დეკემბერს, 1835-ს“; 29. „14-ს დეკემბერს, 1835-ს“; 30. „21-ს იანვარს, 1836-ს“; 31. „4-ს თებერვალს, 1836-ს“; 32. „19-ს თებერვალს, 1836-ს“; 33. „26 მარტს; 1836-ს“, 34. „28-ს აპრილს, 1836-ს“; 35. „1836-ს წელსა, მაისის 5-ს დღესა“; 36. „1836-სა წელსა, მაისის 12-ს დღესა“; 37. „1836-ს წელსა, მაისის 19-ს დღესა“; 38. „1836-ს, ივნისის 2-სა დღესა“; 39. „1836-სა, ივნისის 30-ს დღესა“; 40. „1836-სა, ივლისის 13-ს დღესა“), 1r—65r.

2. თეკლე ბატონიშვილისადმი (5 ც.; 1. „20-ს ივლისს, 1834-ს, ყაზიბეგის სოფლით“; 2. „20-ს ივლისს, 1834-ს, ვლადიკავკაზით“; 3. „31-ს ივლისს, 1834-ს წელსა, სარატოვით“; 4. „23-ს ივლისს, 1834-ს წელს, სტავროპოლით“; 5. „1836-ს, ივლისის 13-ს დღესა, ქ. ორენბურლით“), 65r—64r.

3. დიმიტრი ორბელიანისადმი (1 ც.; „ქ. ტფილისს, 1842-ს წელსა, 31-ს ოქტონბერს“. ბოლოში მიწერილია: „გაიგზავნა სოფელს პოლკონიკოს“), 75r—76v.

**აღ. ორბელიანის არქივიდან (წერილები)—[XIX ს.]**

59 ფ.; სხედასხვა ზომა; ქაღალდი; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი.

1. დ ი მ ი ტ რ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—ალექსანდრე ორბელიანისადმი (23 ც.; 1. „5. სექტემბერს, 1834, ქ. კალუგით“; ამის შემდეგ მე-14 წერილის ჩათვლით ყველა დაწერილია ქ. კალუგაში; 2. „3-ს ოქტომბერს, 1834“; 3. „1835, თებერვლის 6-ს დღესა“; 4. [1835]; 5. „4 მარტს, 1836“; 6. „8-ს აპრილს, 1836 წელსა“; 7. „29-ს აპრილს, 1836“; 8. „2-ს ივნისს, 1836“; 9. „1936 წელს, თიბათვის 3-ს“; 10. „11-ს კათათვეს, 1836“; 11. „1-ს აგვისტოს, 1836 წელსა“; 12. „29-ს აგვისტოს, 1836“; 13. „14 ოქტომბერი, 1836 წელი“; 14. „24-ს იანვარს, 1837“; 15. „31-ს იანვარს, 1838 წელს, ტფილისს“; ამის შემდეგ მე-20 წერილის ჩათვლით ყველა დაწერილია თბილისს: 16. [1838]; 17. „22-ს მაისს, 1839 წელსა“; 18. „12-ს ივნისს, 1839 წელსა“; 19. „1-ს აგვისტოს, 1839 წელს“; 20. „23-ს ოქტომბერს, 1839-ს წელსა“; 21. „1-ს იანვარს, 1840 წელსა“; 22. „27 ნოემბერს, 1839“; 23. „7 ნოემბერს, 1842, პოლკონიკლოთ“), 1r—7v, 9r—13v, 15r—55v.

2. ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—ალექსანდრე ორბელიანისადმი (2 ც.; 1. 1835 წლის 20 დეკემბერს, ქ. კალუგა; 2. 1836 წელი, 29 აპრილი, ქ. კალუგა), 8r და 14r.

შენიშვნა: ალექსანდრე ორბელიანის ხელით ყველა წერილს აწერია მიღების თარიღი.

3. თ ე კ ლ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—ეკატერინე ორბელიანისადმი (4 ც.; 1. „ჩუღუ-ს წელსა, თებერვლის 6-ს დღესა, კალუგით“; 2. უთარილო; 3. „აპრილის თერთმეტს“; 4. „მარტის 6-“, 46r—53v.

4. ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—მარიამ ივანეს ასულ ორბელიანისადმი (1 ც.; „1-ს თიბათვეს“), 54r.

5. ნ ი ნ ო ე რ ი ს თ ა ვ ი—ეკატერინე ორბელიანისადმი (1 ც.; „წელსა ჩუღუ, ივლისს 6-ს, თელავი“), 55r—56v.

6. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ი ს პ ა ტ რ ი ა რ ქ ი—თეკლე ბატონიშვილისადმი (1 ც.; ბერძ.: საღერბო ბეჭედზე აღნიშნულია 1808 წელი), 57r—58v.

7. ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—თეკლე ბატონიშვილისადმი (1 ც.; უთარილო), 59r—v.

## ალ. ორბელიანის არქივიდან (ხაზუთები)—[XIX ს.]

32 ფ.; სხვადასხვა ზომა; ქალაქი; დაშლილი; მხედრული შექმნილია ნიკო ქობულაშვილისაგან,

1. ალექსანდრე ორბელიანის განცხადება წალკის პრისტავ თავად მაჩაბლისადმი (2 ეგზ.; „28 აგვისტოს, 1862-ს წელსა, ს. კაზარეთი“), 2 ფ.

2. „შეწევითა ღვთისათ უწყება. ჩუკთ-სა წელსა ნოემბრის, კდ დღესა, თავადის ალექსანდრე ორბელიანის მეუღლის კნეინა ეკატერინას, თავადის დავით ბარათოვის ასულის, [მ]ზითვისასია, რომელიცა მიეცა მამობელთა თვისთავან და სახელებით აღნიშნულ არს მზითვეი მისი.—მაცხოვრის ხატი“... 10 ფ.

3. აზნაურ როსტომ თუხარელის ხელწერილი („12 იანვარს, 1866 წელს“), 1 ფ.

4. მთავარმართებლის კანცელარიიდან გრიგოლ ჩერნიშევსკის—უარყოფითი პასუხი ეკატერინე ორბელიანის თხოვნაზე ალექსანდრე ორბელიანის საქართველოში დაბრუნების შუამდგომლობის შესახებ (რუს.; „19 января, 1835 года, Тифлис“), 2 ფ.

5. ალ. ორბელიანის საანგარიშო ბარათები, 4 ფ.

6. თომა ანდრონიკაშვილის ხელწერილი თეკლე ბატონიშვილისაგან ბარბარესათვის მიღებული ძვირფასი სანიშნო ნივთების შესახებ, 2 ფ.

7. ალექსანდრე ორბელიანის მინდობილობები ივანესტეფანეს-ძე კანდინოვისადმი ვალის მიღების შესახებ (2 ც.; რუს.; თითოეულ მინდობილობას ბოლოზე აწერია: „25 ноября, 1844 года, г. Тифлис. Сия доверенность принадлежит коллежскому регистратору Ивану Степановичу Кандинову“), 2 ფ.

8. ნიკოლოზ პირველის მანიფესტი, გამოცემული 1841 წლის 16 აპრილს დიდი მთავრის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის ქორწინებასთან დაკავშირებით (რუს.; ასლი; 8 ფ.).

9. „Илюстрированная газета“-ს (1872, № 26) პირველი გვერდი, სადაც მოთავსებულია ალ. ორბელიანის პორტრეტი და ნიკო ბერძენოვის წერილი ალ. ორბელიანზე, 1 ფ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი: ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა—(1844 წ.)

2 ფ.; 20×27; ქაღალდი; უყდო; სრული; მხედრული; ავტოგრაფი; 1844 წ.; დაუწერელია: გვ. 3—4.

„ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა, მძლევანლობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის თავადის დიმიტრი თამაზის-ძის ორბელიანისა.—

ძრწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!  
 შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა“...  
 გვ. 1—2.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის თარიღი „სენტებრის 23-სა, 1844 წელსა ტფილისი“. ხელმოწერილია: „თ-ის ნ. ბარათაშვილის მიერ“.

## 95

ნიკოლოზ ბარათაშვილი: წერილები—(1841—1844 წწ.)

8 ფ.; 13×21; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი; 1841—1844 წწ.; შედენილია 1945 წელს კ. მეჭველიასაგან.

1. გრიგოლ ორბელიანისადმი (1 ც.; „წელსა 1841-ს, მაისის 28-ს დღესა, ქ. ტფილისით“), 2 ფ.

2. ზაქარია ორბელიანისადმი (3 ც.; 1. „წელსა 1844-სა, აპრილის 15-სა, ქ. ტფილისით“; 2. „წელსა 1844-სა, მაისის 10-სა, ტფილისით“; 3. უთარილო), 6 ფ.

## 96

ფრიდრიხ შილერი: ვილჰელმ ტელი—[XIX ს.]

84 ფ.; 18×22; ქაღალდი; კალენკორგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 82r—84v. შედენილია ილია ჭყონიას ოჯახიდან.

„ვილგელმ ტელი. წიგნი პირველი. მეგობარნო სათნოებინანო, მოკუდავნო სულგრძელნო, მარად ეამსა მყოფნო შესაწირავად



თავისა თქუწნისა და დიდებულობისათჳს კაცობრიობისა, მოაქცნენ სმენა თქუწნი მოთბრობისადმი ჩემისა“... 1r—81v.

შენიშვნა: ტექსტი შესდგება ოთხი ნაწილისაგან, თარგმანი შესრულებულია კარგი ქართულით მირიან ჟჳონიას მიერ. სათაურის ზევით იღია ჟჳონიას მიერ მიწერილია: „Перевел Мириан Чкония“. 1r.

## 97

### ცხოვრება ქალაღდის მოთამაშისა—[XIX ს.]

60 ფ.; 19X23; ქალაღდი; უჳდო; დაშლილი; დაზიანებული; ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.].

„ოცდა ათი წელი ანუ ცხოვრება ქალაღდის მოთამაშისა. დრამა სამთა შინა მოქმედებათა... მოქმედება პირველი. გამოცხადება პირველი. (თეატრი წარმოადგენს რაოდენსამე განათებულს ოთახთ. შიგნით პირველი სტოლი ბანკომეტრისა, რომელსა გარე ახვევიან მოთამაშენი. პირველი ნაწილი სცენისა მებელიროვან არის სკამებით. შუა ღამე. ყოველს ოთახში ჰსჩანან მრავალნი ხალხნი, რომელნიცა მოძრაობენ ხშირად. უკრავს 12-ს საათს. ვარნერ, რუდოლფ, შემდგომ ჟონე დე-ჟერმანი).—ბანკომეტრი: უფალნო, ტალია დაიწყების, ქალაღლები ხომ ყველამ დააწყევით?“... 1r—60v.

წყდება: „...ამალია: იპოვნე? (შიშით) ღმერთო ჩემო!“...

შენიშვნა: თხზულება თარგმნილია ივანე კერესელიძის მიერ. ტექსტი გამოქვეყნდა 1866 წელს ჟურ. ცისკარში“, № 8, 9, 10. ხელნაწერი იძლევა საგრძნობ ვარიანტულ სხვაობას.

თავში ერთვის მოქმედ პირთა სია.

## 98

### ბაღრბეგ ბახტამოვი: ჩემი თავგადასავალი—[XIX ს.]

34 ფ.; 22X35; ქალაღდი; უჳდო; დაშლილი; მხედრული; ავტოგრაფი (შიგადაშიგ ავტორის მიერ მწვანე მელნით ნასწორები); დაწერილია 1845 წლის შემდეგ.

„1827 წელსა ღვინობისთვის 13-ს დღეს თავრიზი დაიმორჩილა რუსის ჯარმა“... გვ. 1—67.

მთავრდება“... წავედ წმიდა ერუსალემისაკენ და იეგიპეტსა, რომელიც ჩემი მოგზაუროება სხვა ცალკეთ სწერია წერილათ, როგორ ტფილისით გავველ მგზავრათ წმიდა ალაგთ სალოცავათა. გა-

ველ ტფილისით 1845-ს, ენკენისთვის 30-ს კვირას 3-ს საპატოს, **„დილს უკანა“** (გვ. 67).

**შენიშვნა:** ხელნაწერი ცუდი ქართულითაა დაწერილი, ზოგიერთი უბრალო მომენტი გაკვირვებულა, მაგრამ საერთოდ ტექსტი საინტერესო შინაარსის შემცველია. ხელნაწერს შეიძლება ვუწოდოთ „ჩემი თავგადასავალი“, თვით ავტორი აღნიშნავს: „მოვიწოდო... ჩემი თავის გადასავალი ჩემთა საყვარელთა წარმკითხველთა გამოფუცხადო“ (გვ. 1). ბალრბეგ ბასტამოვი თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით რუსეთისაკენ გაემგზავრა 1829 წლის 28 მაისს (იხ. იქვე), ე. ი. ორი დღის შემდეგ, როდესაც ა. პუშკინი საქართველოში ჩამოვიდა. „თავგადასავალში“ აღწერილია 30-იანი წლების მოსკოვის და სანკტ-პეტერბურგის არისტოკრატიული ცხოვრება, ლახარევის ინსტიტუტი, მოსკოვის „ორუფენია პალატა“, კრემლი, პეტერგოფი, პეტერბურგში მყოფ ქართველებთან შეხვედრა, პოლონეთში ცხოვრების პერიოდი, პოლონელ ხალხთა ჩვეულებანი და სხვ... განსაკუთრებით საყურადღებოა ბალრბეგ ბასტამოვის შეხვედრა ისტორიკოს თეიმურაზ ბატონიშვილთან:

„... ამავდ თვის ხუთს მიველ ს.-პეტერბურლსა შინა და დილიჯანის კანცელარიაში მივედით და იქ ჩამოვბტით. და ყოველ დილიჯანში მჯდომნი თავისი ბარგს მიიღებენ და იქირაგებენ დროშკას და თავის საქმეზედ მიდიან. მეც ვიქირავე დროშკა და ჩემადანი წინ დავიდე და მიემართე ხელი ნავასილევსკის ოსტოვაში, მეცბრეღინისაკენ. თანა მქონდა მამიჩემისაგან [სარგომენდაციო წიგნი] პავეტ ბატონის-შვილთან, თეიმურაზ გიორგისძესთან. როდესაც მიველ ქვევით სადგომში, ჩემადანიდამ ამოვიღე რეკომენდაციას წიგნი და აველ სადგომში, წირვა იდგა. სახლში აქვთ სალდარი და ქართველის ღვდილი. მე შეველ და არ ვიცოდი, თუ ბატონიშვილი თეიმურაზი რომელი ბრძანდებოდა, ამიტომ რომ იქმრავალნი იყვნენ ქართულის ტანისამოსით. ბატონის რძალნი და დედოფალნი, მერეთ სულ ყოველნი შემომხედეს და მნახეს. რომ უცხო კაცი ვარ და წიგნი ხელში მიჭირავს. მაშინვე ბატონისშვილი თეიმურაზი მოვიდა ჩემთან და წიგნი გამომაართო. წაიკითხა, ადრესი ნახა, რომ თავისთან იყო მოწერილი. მე მოვახსენე, რომ ბატონისშვილზედ თეიმურაზთან არის მოწერილი.—მე თვითონ ვარ თეიმურაზიო. მაშინვე ხელთა ანუ გულთა ვაკოცე. მიმილო, როგორც თავისი ძე, და ასე მითხრა: ან, ჩემო ბალრბეგ, ბევრი ხანია, რაც შენ გელოდი მოსკოვიდგანო. მე მაღლი მოვახსენე და ყოველს დროს სადილს თუ ვახშამს ერთათ ვიახლებდით და სატულაობთ კარგით ბატონისშვილი, თავისი მეუღლე და სულ ერთათ ვგულაობდით ხვალზე და ასე კარგად ვიყავი მიღებული“... (გვ. 20—21).

ხელნაწერს ავტორის ხელით პირველი გვერდის არშიაზე მიწერილი აქვს შემდეგი: „1826-ს ვიყავე 20-ის წლისა, ვარ მცხოვრებელი საქართველო ტფილისიდან, სახელად მქვიან ბალრბეგ იაკობის-ძე ბასტამოვი. როდესაც ერთა ხელმწიფეთა ანლორეულოზა მოუხდა რუსისა და პერსიის შუა, მაშინ მოვიწოდო სამსახური ხელმწიფისა. რჯულისა და მამულისათვია ვემსახურე პერსიის კამპანისა შინა ტურციასა. მერეთ





1829-ს წაველ რუსეთისაკენ მოსკოვსა და ს—პეტერბურლსა შინა. პეტერბურლსა პოლშაში ანდრეულობა მოხდა და არხა მივართვი ზელმწიფესა, პეტერბურლსა ლიც გაემწესდი ვლიასტიცკის გუსარის პოლკში და წაველ პოლშაში, მივიღე წინი 1831-სა და მერეთ კიდევაც მივართვი არხა და გადმომიყვანეს დრაგუნის პოლკში და მთელი [.....] დეკემბერი...“ (გვ. 1).

**გიორგი აგიაშვილის კრებული—[1865—1894 წწ.]**

III+98 ფ.; 22×34; ქაღალდი; მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; გადაწერილია 1865—1894 წწ. გიორგი თეიმურაზის-ძე აგიაშვილის მიერ; დაუწერელია: ფ. I—III და გვ. 194-196.

1. ეს ქრისტეს განჩინება პილატესგან ბერძნულდგან ქართულად გადმოეთარგმნინებინა ახტალელს იოაკიმ არქიელს, ხოლო ნათესავით ბერძენს. წელიწადს ქრისტესით ჩყვ-ს.—ქრისტეს აქეთ ასორმოცდაათხუთმეტს, ეამსა კოსტანტინეპოლის პატრიარხის იერემიასა, მოსრულ იქმნა განჩინება პილატეს მიერ“... გვ. 3-6.

2. „სიტყვა, წარმოთქმული საქართველოსა და იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორასა შინა, გორის ეპისკოპოსის, საქართველოს ვიკარის გაბრიელის მიერ.—ყოვლად უსამღვდელოესნო მწყემს-მთავარნო და მამანო საქართველოს ეკლესიისანო! მრავალთა აღგილთა შინა საღმრთო წერილთასა გამოიცხადების პაზრი ესე“... გვ. 6—8.

3. „ესე წარუწერიეს თავისა თვისისა საფლავისა ქვასა ზედა ვირგილიოს, ათინელთა პიტიკოსთა მთავარსა.—

ვიქმენ მწყემსი, მიწისმოქმედი და მხედარი“... გვ. 9.

4. „ქარლოს მეხუთესა დაუწერიეს საფლავის ქვასა ზედა თვისსა.—სიკვდილი მხოლო არს თანასწორ მყოფელი ყოველთავე“... გვ. 9.

5. „კავკაზიის ნამესტნიკის კნიაზ ბარიათინსკისაგან თქმული კავკაზიის განყოფილების კორპუსისადმი ციხესა პეტროვსკსა შინა.—მხედარნო კავკაზიისანო, გხედავთ რა თქვენ და განკვირვებულნი თქუენგან აღვიზარდე და გავმამაცდი“... გვ. 9.

6. გრიგოლ დადიანისაგან მიწერილი თეიმურაზ აგიაშვილისადმი.—

7. „მთავრის დავით დადიანისაგან მიწერილი თეიმურაზ აგიაშვილისადმი.—

მე თუ შკითხავ, სახლსა ვზი,  
მოწყინებულად სულ მარტო“... გვ. 10.

8. „მის მთავრის დადიანისაგანვე მიწერილი თეიმურაზისადმი პირველის შეიდეულის ორშაბათსა.—

ფარისეველის ხომ გასმია ზვაობა“... გვ. 10.

9. „პასუხისგება თეიმურაზ აგიაშვილისაგან.—

რა არს ზვაობა, ან მჩვენებლობით სახე“... გვ. 10.

10. „ნიკო გიორგისძის დადიანისაგან მიწერილი საქართველოს თავადის ბეგლარ ორბელიანისადმი.—

იამბთა შენთა მხილველი ველმოზ მეცა“... გვ. 10—11.

11. „თეიმურაზ აგიაშვილისაგან მიწერილი ბიძამისის ნიკო დადიანისადმი.—

წერილმან ამან შეკრებილმან საღმრთომან  
მომითხრა ყოვლად ამბავი საკვირვონი“... გვ. 11—12.

12. „მისგანვე მიწერილი ბარათი ნიკო დადიანისადმი“... გვ. 12—13.

13. „მის ნიკო დადიანისაგან მიწერილი ბარათი თავადის თეიმურაზ აგიაშვილისადმი“... გვ. 13—14.

14. „სიტყვანი, თქმული კავკასიის ნამესტნიკის მურავიოვისაგან სამენგრელოს საზოგადოებისადმის. ქვაშიხორს.—გავიგონე მე მმართუშლასაგან თქუშნისა, რომელ თქუშნ მსახურებთ მას გულსმოდგინეთ და იგი კმაყოფილ არს თქუშნის ერთგულეობით“... გვ. 15—17.

15. „გრიგოლ ლეონისძის დადიანისაგან თქმული.—  
უყვარს ყოველსა ცხოველსა სამშობლო თვისი ყოველი“... გვ. 17.

16. „პასუხისგება თავადის დავით ჩიქოვანისაგან.—  
თუმც მყვარებოდა სამშობლო, თვით ყოფილვეყავ მგრძნობელი“... გვ. 17.

17. ქუთაისის ლენერალ გუბერნატორის კნიაზის [დიმიტრი] მირსკისაგან მიწერილი სამძიმრის ბარათი კ[ნენინა] სოფიო წულუკიძის ასულისადმი. გვ. 18—19.

18. „შესხმა გრიგოლ ბერის დადიანისადმი, თქმული საქართველოს თავადის იოვანე ერისთვის ასული მარია მისაგან.—აწ დამრჩობლდა მხიარულება სისხლით შენთა მახლობელთა სახლობათა ამათ“... გვ. 19—20.

19. „მისგანვე თქმული საქართველოს თავადის ზაქარია გიორგის ძის ერისთავის გარდაცვალებაზედ.—

კავკასიის ერნო, მოკრბით მხნენო, გლოვით აღესილი“... გვ. 20—21.

20. „კნენინა ჩიჯავაძის ელენეს გარდაცვალებაზედ, თქმული სვიმონ აზაშიძის ასულის ნინასაგან.—

ოცნებით ვნახე მშვენიერი, ტურფა ქმნილება... გვ. 21—22.

21. „მისივე თქმული სოფლის მღურვა.—

საესე არს ესე სოფელი შურით, ვაებით, ბოროტად... გვ. 22.

22. თქმული თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისა: მაკას ავადმყოფობა და ექიმის ნახვა.—

ოდეს პირველმა კაცმა ცნობისა გარდახლომით  
წარწყმედა მოიზიდა უფლისა გულისწყრომით“... გვ. 23—28.

მთავრდება:

„რა მკურნალი შემოწყრა და კარზედ გარდავიდა,  
მაკა დიდად შესწუხდა, გულს წყენა შეუვიდა;  
ეს რა მიყო ამ პლუტმა, რისთვის არ დამდო ხელი,  
ვაი, თუ სენი მჭირდეს ჩემი სულის მიმხდელი?!“...

შენიშვნა: ეს დასასრული სტროფი ა. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში არ არის შესული (1940, გვ. 68—71).

23. „მისივე თქმული შაირი მეგრულის სიმღერის ხმაზედ, რომელიც გამოსთქვა აღდგომას დღეს სასახლესა შინა ზუგდიდს.—

ამა ველს—ნოხს მწვანეს შვენის რაბამად

ტურფათა ქალ-ყმათა როკვა ერთბამად“... გვ. 28.

24. „მიწერილი თავადის გიორგი იოვანეს-ძის ერისთავისაგან კნენინა, მიხაილ წერეთლისა, სალომესადმი მოსავგონებლად იმა დროისა, ოდესცა ივინი იყვნენ ქ. ქუთაისის სობრანიასა შინა, სადაცა ნახეს კნიაჟნა კეკელა, თეიმურაზ ავიაშვილის ასული.—

როს იმერთ მხარეს, შემხვდა იმ არეს,

დაო სასურველ, შენი ხილვანი“... გვ. 29—30.

25. „მიწერილი ნიკო გიორგის-ძის დადიანისა მეორე-საგან თავადის თეიმურაზ აგიაშვილისადმი.— ლმერთსა ესცემ მდაბლად თაყვანსა“, გვ. 31—32.
26. „მისივე მიწერილი კვალადვე თეიმურაზ აგიაშვილისადმი.— ფრიად სიბრძნით ენამკვრო, ვრცელგონება მშვენიერო“, გვ. 32.
27. „თქმული გიორგი დავითის-ძის თავადის ერისთავისაგან, ოდეს იგი იყო პყრობილად.— ვაიმე, მუდამ მტირალი, კენესითა სულდაკონვილი, პირველ ნაბუღვი დაახლა უმზეოდ დაცაქნობილი“... გვ. 33.  
 შენიშვნა: ეს ლექსი გ. ერისთავის თხზულებათა 1936 წლის გამოცემაში არ არის შესული.
28. „ქენინა დარეჯან წერეთლის ასულისაგან მიწერილი თავადის თეიმურაზ აგიაშვილისადმი.— ლექსი თქვენი რიტორული, მოვისმინეთ, სრულმგძნობლო“... გვ. 33—34.
29. „იოვანე ბაგრატიონისაგან მიწერილი სამძირის ბარათი სამენგრელოს მთავრინა ნინა მეფის ასულისადმი“ გვ. 34—36.
30. „ეს ბარათი მიუწერიეს ნიკო გიორგის-ძის დადიანისათვის გაენათის არხიმანდრიტს.— უგანათლებულესო სულო დადიანის ძეო ნიკოლოზ“... გვ. 37—38.
31. „კნიაზ ვასილ ბებუთოვისადმი მიწერილი ბარათი გრიგოლ ლეონის-ძის დადიანისაგან“. გვ. 38—39.
32. „თავადის მამია დავითის-ძის გურიელისაგან ნათქვამი.— მე, სახელ-გვარად ვინ მყო მთვარად, მპყრობი გურიის, ჩაქე-აქარისა?“... გვ. 39.
33. „ჩემ მიერ თქმული ალექსანდრე ელიზბარის-ძის დადიანის გარდაცვალებაზედ.— აწ, ვგოდებთ, ძმაო, განგეშორდი მას მსწრაფლად“... გვ. 40—41.
34. „თქმული კესარია აგიაშვილის ასულის მიერ.— გაზაფხულს შესტრფის სულით ყოველნი“... გვ. 41—42.
35. „მისივე თქმული და მიწერილი თავადის დიმიტრი პაატას-ძის წულუკიძისადმი.— სულით მაღალო, გულით მდაბალო, იმერთ თავალო“... გვ. 42—43.



36. „ნინა აბაშიძის ასულისაგან მიწერილი კესარიასაგან აგიაშვილის ასულისადმი.—  
შენგან მოშორებული, მე სოფლისგან ვნებული“... გვ. 43
37. „პასუხისგება კესარიასგან.—  
მე შენი განშორება სამძიმოთა მაქვს მარად“... გვ. 44.
38. „ჩემ მიერ მიწერილი თავადის აბესალომ მაჩაბლისადმი.—  
ზაფრას უპყრიხარ, მომჩინად გნახე,  
ნეტავ ვიცოდე, რის ზაფრა გტანჯავს“... გვ. 44—45.
39. „ჩემ მიერ თქმული თავადის მამია დავითისძის გურიელისადმი.—  
ოხ, რა გრძნობითაც მე მოვისმინე,  
ძმომ მამიავ, შენი ლექსები...“ გვ. 45.
40. „კვალად ჩემგანვე თქმული ნინა აბაშიძის ასულისადმი.—  
სრულის გრძნობითა კალამს ხელს ვახებ“... გვ. 45—46.
41. „თავადის მამია გურიელისაგან თქმული ნინოს [აბაშიძის] ლექსის პასუხად.—  
ვინც ამას ხელჰყოს გასასწორებლად,  
ღირს არს, მოეჭრას მას ორივე ხელი“... გვ. 46—47.
42. „თქმული ნინა აბაშიძის ასულის მიერ.—  
სოფლით ტანჯული, უიმედო, ამას ვსტირია“... გვ. 47.
43. „ჩემ მიერ თქმული.—  
კაცთ გულის მავნებელო, შენ ბრმაო სიყვარულო“... გვ. 48.
44. „თავადის მამია გურიელისაგან ნათქვამი ჩემდამო.—  
